



ՀԱՅԿԱՅԻՆ ԿԱՏԱՐԱԴԱՆ
ԿԱՄԱՏԱՆՈՂԱԴԱՆ

ՀԱՅԿԱՅԻՆ ARCHEION XXII

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება –
საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous
Republic – Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ქ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

XXII

თბილისი 2021 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, მაკა ალბაგაჩიევა, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო კიქავა, ოთარ გოგოლიშვილი მერაბ კეზევაძე, ჯემალ კარალიძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე, მერაბ მეგრელიშვილი

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze – editor

Editorial Board:

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Makka Albagachieva, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Jemal Karalidze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze, Merab Megrelishvili

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 0422 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაძის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

**იოსებ სტალინი: „თურქეთმა უნდა დააბრუნოს
საქართველოს მინა-წყალი“**

ყარსის კონფერენციის შემდეგ. ლონდონი, 1947 წლის ოქტომბერი. ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია მიმდინარეობს. სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია... მოულოდნელად სესიაზე საქართველოს ტერიტორიების საკითხი წამოიჭრა... კამათი მწვავედება... ემოციები ზღვარს გადასცილდა... რაშია საქმე? რამ გამოიწვია ასეთი დიდი ვნებათაღელვა? რატომ დაისვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიების საკითხი? რატომ დაობდნენ სესიაზე ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დიპლომატიის ისტორიას უნდა გადავხედოთ. მაშ ასე, რა მოხდა ყარსის კონფერენციის შემდეგ...

ორად გაყოფილი აჭარა. მოსკოვისა და ყარსის მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ, თვალსაჩინო რუსი ბოლშევიკი, ლეონიდ კრასინი, ხედავდა რა, როგორც რუსეთ-თურქეთის, ასევე საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელშეკრულებათა ნაკლოვანებას, მიმართავს რსფსრ მთავრობის (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარეს, ვლადიმერ ლენინს, რომ ჩვენ მიერ ამას წინათ დადებული ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა მდ.ჭოროხის აუზი, სადაც არსებობს სპილენძის უმდიდრესი საბადოები და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სპილენძსადნობი ქარხნები (განვმარტავთ, რომ 1920 წლის ბოლოს ამ ქარხნების რეკონსტრუქცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა იმპორტული დანადგარებით). სამწუხაროდ, ხელშეკრულებების ხელმოწერისას ჩვენი მხრიდან არ ყოფილა რაიმე მცდელობა, რათა უზრუნველგვეყო ამ ქარხნებისა და საბადოების იჯარით აღება მაინც. ვფიქრობ, ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს... ჩვენ დიდ მატერიალურ დახმარებას ვუწევთ თურქებს და სამართლიანი იქნება კომპენსაციის სახით საბადოების დამუშავების უფლება მაინც მივიღოთ...

„გვიანდა იყო თითზე კბენანი... თურქები ჯერ ყოყმანობდნენ, შემდეგ კი უარი თქვეს რუსეთის წინადადებაზე. არადა, დღეს მურღულის სპილენძსადნობი ქარხანა რამდენიმე ათას ტონა სპილენძს ადნობს წელიწადში...

ახლა ვნახოთ, როგორ შეხვდა აჭარის საზოგადოება ბათუმის ოლქის ორად გაყოფის ფაქტს. ამ მიზნით მოვიხმოთ ერთ-ერთი იმდროინდელი საიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც 1922 წლის 22 ნოემბერს ბათუმიდან რუსეთის კონსული კონსტანტინ იუსტი უგზავნის გიორგი ჩიხერინს, ლევ კარახანსა და „ნარკომინდელის“ სხვა ხელმძღვანელებს:

“სრულიად საიდუმლოდ. მოხსენება ერთ ეგ ზემპლარად. მიმდინარე მომენტი აჭარისტანში

...უპირველეს ყოვლისა საკითხი საზღვრების შესახებ. აჭარის ინტელიგენცია, მათ რიცხვიდანაც კი, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე დარჩნენ, ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადებისას თურქმა დიპლომატებმა გააცურეს “ჩვენები, უმთავრესად იმ პუნქტში, სადაც მო-

ცემულია საზღვარი საბჭოთა და თურქულ აჭარას (ართვინის ოლქი) შორის. მათი მიზანი იყო შეექმნათ საბჭოთა აჭარის კოლოსალური ეკონომიკური მიზიდვა თურქული აჭარისაკენ და ამ მიზანს თურქებმა ბრწყინვალედ მიაღწიეს.

თურქეთის აჭარა ძლიერ მიისწრაფის ბათუმისაკენ, როგორც საექსპორტო და საიმპორტო პუნქტისაკენ, მაგრამ ბათუმისა და საბჭოთა აჭარის მიზიდვა ართვინისა და არტაანისაკენ უფრო მეტად ძლიერია... ართვინი და არტაანი ბათუმისა და საბჭოთა აჭარის მთავარი ეკონომიკური ბაზაა, რომლის გარეშეც მათ ცხოვრება უჭირთ. ართვინი და არტაანი – ეს ბათუმისა და მთლიანად აჭარის ბეგელია.. წინათ ყველა პროდუქტს ბათუმი აქედან ღებულობდა, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებამ კი დაარღვია ეს მტკიცე ეკონომიკური ძაფები... ხშირად აჭარლები სინანულით იგონებენ მეფისა და ქართველი მენშევიკების დროსაც კი, რადგან მაშინ ართვინსა და არტაანში მისვლა ადვილი იყო. ახლა კი აჭარის ეკონომიკა გახლეჩილია ორ ნაწილად და ამ ორი ნაწილიდან ცხოვრება ყველაზე მეტად საბჭოთა აჭარას უჭირს. თურქმა „მაგრმა“ გააკეთა ეს „გენიალური“ საქმე, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა ამით და არ წახვლა, თურქებმა ჩაიდინეს კიდევ ერთი დიდი ბოროტება ბათუმის მიმართ. ეს ბოროტება გამოიხატება სოფელ აჭარისწყალთან 5 კმ-ის მოშორებით საზღვრის გაყვანაში... აქ თურქების მიერ მოწყობილი საბაჟო ყველაფერს ართმევს გლეხებს, როგორც კონტრაბანდას და ახდევინებს ჯარიმებს... ამის შედეგად გლეხები ბოროტდებიან და ძველი მენშევიკების დროს კვლავ სინანულით იხსენებენ. არადა, საბაჟოს გაუქმება არ შეიძლება, რადგან ეს მოიფიქრეს თურქებმა მოსკოვის ამ ჩვენს საუბედურო მეგობრობისა და ცბიერული ძმობის ხელშეკრულებაში“.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ საკმაოდ კრიტიკული მოხსენების ავტორია ცნობილი საბჭოთა დიპლომატი კონსტანტინ იუსტი! უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს წერილი გახდა მიზეზი ლევ კარახანის პირადი მიმართვისა იოსებ სტალინისადმი, რომელსაც აცნობებდა აჭარის ხელოვნურად გახლეჩვის“ გამო შექმნილ სიძნელეებს. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი გახდა ბათუმში დაარსებული თურქეთის გენერალური საკონსულოს მუშაკების მიერ წარმოებული პროპაგანდა ადგილობრივ მუსლიმანებს შორის, აჭარის მთლიანად ხელში ჩაგდების მიზნით. არქივში დაცულია შესაბამისი დოკუმენტებიც, მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (გეპეუ) უფროსის მოადგილის იოსებ უნშლისტის მოხსენებითი ბარათი:

“რსფსრს რულიად საიდუმლოდ.ინფორმაციის განყოფილება. სავარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კარახანს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო 24 მარტი 1923 წ. ამიერკავკასიის ჰეკადან მიღებული მასალების საფუძველზე ვახდენთ კონსტატირებას, რომ თურქეთის კონსული ბათუმში იბრაჰიმ-ტალი ბეი ეწევა დიდ პოლიტიკურ და სადაზვერვო მუშაობას, ჩვენს წინააღმდეგ მომართულს...

გასული წლის 30 ოქტომბერს იბრაჰიმ ტალი ბეი ართვინს ესტუმრა. მან მონაწილეობა მიიღო ართვინის ადმინისტრაციისა და თურქეთის მომხრე გაველენიანი აჭარლების ერთობლივ თათბირზე. განიხილებოდა ზემო და ქვემო აჭარის გაერთიანების საკითხი, პლებისციტის მოწყობა – ვის პროტექტორატის ქვეშ იქნებოდა გაერთიანებული ავტონომიური აჭარისტანი. იბრაჰიმ-ტალი-ბეიმ გა-

ნაცხადა, რომ საბჭოთა აჭარის მოსახლეობის ნახევარის ხმა უკვე უზრუნველყოფილია თურქეთის სასარგებლოდ...“

ბუნებრივია, რომ თურქი კონსულის მოქმედებას ოფიციალური თუ არა, ფარული მხარდაჭერა მაინც ექნებოდა ანკარიდან. ასე რომ, ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმდროინდელი თურქეთის არცთუ მთლად კეთილმეზობლურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, მიუხედავად უკვე რატიფიცირებული ყარსის ხელშეკრულებისა. რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტების გამომზეურება სულაც არ ნიშნავს თურქეთის 1921-1923 წლების საგარეო პოლიტიკისადმი რაიმე ჩრდილის მიყენებას. ისინი მხოლოდ აფიქსირებენ და ნათლად გვიჩვენებენ იმ მძიმე მდგომარეობას, როგორშიც აღმოჩნდა აჭარა რუსი და ქართველი ბოლშევიკების არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით.

მიუხედავად იმისა, რომ ნათელი იყო საზღვრების ასე უსამართლოდ დადგენა საქართველოსთვის, ბუნებრივია, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. 1923 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის დემარკაციის პროცესი ორმხრივი შერეული კომისიის მიერ, რომელიც დასრულდა 1926 წლის 8 სექტემბერს თბილისში ხელმოწერილი გენერალური ოქმით. ამ დოკუმენტით პრაქტიკულად დაფიქსირდა სოფელ სარფის ორად გაყოფაც.

1925 წლის 17 დეკემბერს მოსკოვსა და ანკარას შორის დაიდო ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შეთანხმება, რომლის თანახმად, მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი და თურქეთი შეინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს და მონაწილეობას არ მიიღებდნენ რაიმე მტრულ აქტში ერთმანეთის მიმართ. მანამდე კი, ლოზანის კონფერენციაზე, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თურქეთი იურიდიულად აღიარეს „ეროვნული პაქტით“ დეკლარირებულ საზღვრებში.

ამ პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას: საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში, რომლებიც რთულად და არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა, საბჭოთა რუსეთის ფაქტორმა და მისმა ჩარევამ ძალზე უარყოფითი შედეგები გამოიღო და უდიდესი საფრთხე შეუქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებმა თურქეთს საშუალება მისცა გარკვეული გავლენა მოეხდინა აჭარაზე, მისთვის სასურველ ხელსაყრელ მომენტში.

ლაზისტანი მოსკოვის გეგმებში. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, პრეზიდენტ მუსტაფა ქემალ ათა-თურქის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებში გაცივების“ სიმპტომები გაჩნდა: ანკარამ გეზი დასავლეთთან ინტეგრაციაზე აიღო, დაიდო ურთიერთდახმარების შეთანხმება ინგლისთან და საფრანგეთთან. ამასთან თურქეთი იძულებული იყო დიპლომატიურად „ეთამაშა“ ფაშისტურ გერმანიასთანაც და ანკარიში გაეწია მესამე რაიხის ინტერესებისთვის. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე ხელი მოეწერა თურქეთ-გერმანიის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. აქვე შევნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომში თურქეთმა მართალია ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ სინამდვილეში გერმანიას სამხედრო მრეწველობისა და ვერმახტისათვის საჭირო სტრატეგიული ნედლეულით ესმარებოდა... გარდა ამისა, საბჭოთა კავშირთან ომში გერმანიის წარმატების შემთხვევაში თურქეთი იმედოვნებდა კავკასიის რეგიონში შემოჭრასა და მის დაკავებას. 1941 წლის ივლისის შუახანებში საბჭოთა დაზვერვის მოპოვებული ცნო-

ბეებით თურქეთის გეგმები კრემლისათვის აშკარა გახდა. ამიტომ შესაძლო აგრესიის მოგერიების მიზნით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი. თურქეთის საზღვარზე ბათუმიდან არარატამდე განლაგდნენ 45-ე და 46-ე არმიის ნაწილები. იმავე პერიოდში, გერმანიის გეგმების ნეიტრალიზების მიზნით, დიდ ბრიტანეთთან შეთანხმებით, სპარსეთის (ირანის) ჩრდილოეთ ნაწილში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილები შევიდნენ და დაიკავეს ქალაქები თავრიზი, ასტარა, არდებილი, ფეხლევო, რეშტი, მეშხედი, ხოი და ურმია (თურქეთის საზღვართან).

სპარსეთში საბჭოთა ჯარების შეყვანა საკმაოდ ადვილს ხდიდა თურქეთთან შესაძლო სამხედრო ოპერაციის წარმოებას. ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერიოდში (1941 წლის მეორე ნახევარი), უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი არ გამორიცხავდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შეყვანას ძველ ქართულ პროვინცია ლაზისტანშიც (რიზე, ტრაპიზონი, გიუმშიშანე, ორდუ). სავარაუდოა, რომ სწორედ მაშინ იქნა შემუშავებული რეკომენდაცია (“სამახსოვრო“) წითელი არმიის მეზობელებისთვის, რომლის თანახმად, ლაზისტანის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანის შემთხვევაში მოსახლეობის წინააღმდეგობა გამორიცხული არ იქნებოდა. თანაგრძნობა შეიძლება გამოხატულიყო მხოლოდ იმ ლაზებისაგან, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ... წინააღმდეგობის გაწევა ძირითადად მოსალოდნელი იყო რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე. „სამახსოვროში“ საუბარი იყო აგრეთვე იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო საბჭოთა ჯარისკაცი თურქეთის ტერიტორიაზე: მკაცრი დისციპლინა, ლაზი ქალებისადმი და უფროსი ასაკის ადამიანებისადმი პატივისცემა და სხვ. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი სპარსული პრეცედენტის გამეორებას ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე ფიქრობდა – თურქეთის ტერიტორიაზე ჯარებს შეიყვანდა და საზღვარზე ერთგვარ ბუფერულ ზონას შექმნიდა. მართალია, იმ ხანებში საბჭოთა ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა – წითელ არმიას უჭირდა, მტერი მოსკოვს და ჩრდილოეთ კავკასიას უახლოვდებოდა, ამიტომ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ნაწილი სასწრაფოდ სხვა ფრონტებზე გადაისროლეს...

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველ წლებში სახელმწიფო საზღვრის საქართველოს უბანზე დარღვევებმა მკვეთრად იმატა. როგორც უშიშროების ორგანოები და ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობა თვლიდნენ, ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში მთავარი მადესტაბილიზირებელი ფაქტორი იყო ადგილობრივი მცხოვრებლები – თურქული წარმოშობის პირები და მაჰმადიანი ქართველები (მესხები). შესაბამისად, მათ მასობრივად დააბრალეს თურქებთან თანამშრომლობა და 1944 წლის ნოემბერში შუა აზიაში გადაასახლეს. ოფიციალურად ეს ოპერაცია თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფის დონისძიებად შეფასდა, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ კრემლი სამომავლოდ რაღაცას ამზადებდა, ზურგის საიმედოობა სჭირდებოდა და ამიტომაც გაწმინდა ტერიტორია „მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან. დაეუბრუნდეთ ისევ თურქეთის მდგომარეობას და საბჭოთა დიპლომატიის ნაბიჯებს.

სტალინის განცხადება. 1943 წლის ნოემბერში, როცა თეირანში „დიდი სამეული“ (სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი) შეიკრიბა, ანკარა ჯერ კიდევ განაგრძობდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებას, თუმცა, როგორც სტალინმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ითვლება დიდი ბრიტანეთის მოკავშირედ და საბჭოთა კავშირის მეგობრად, საჭიროა, მან დაამთავროს თამაში გერმანიასა და ჩვენს შორის“. ანკარა იმ ხანებში აშკარად თავს იკავებდა გერმანიის საწინააღმდეგო ნაბიჯებისაგან, რადგან ჯერჯერობით არ იყო ნათელი, ომში ვინ გაიმარჯვებდა. მხოლოდ 1944 წლის 2 აგვისტოს განაცხადა თურქეთმა, გერმანიასთან კავშირს ვწყვეტო, ხოლო 1945 წლის 23 თებერვალს ომიც გამოუცხადა.

„დიდი სამეულის“ იალტის კონფერენციაზე (1945 წლის თებერვალი), როცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი იხილებოდა, იოსებ სტალინმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში თურქეთის სუვერენიტეტი არ შეილახებოდა. თითქოსდა ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ „მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას ჰგავდა იალტის სამიტიდან ხუთიოდე კვირის შემდეგ, 1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად, თურქეთთან 1925 წლის 17 დეკემბერს დადებული ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შეთანხმება აღარ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას და მოსკოვი მის დენონსაციას აპირებდა. ცხადია, ანკარის ინტერესებში მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭება არ შედიოდა, ამიტომ თურქეთის ელჩმა სელიმ სარფერმა საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ მოლოტოვს ახალი შეთანხმების დადება შესთავაზა. დიპლომატიურმა პაუზამ მაისის ბოლომდე გასტანა, ივნისის დასაწყისში კი მოლოტოვმა სარფერს განუცხადა: „საბჭოთა კავშირი ეთანხმება თურქეთის წინადადებას, მაგრამ ახალი შეთანხმების დადებამდე სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხი უნდა მოგვარებულიყო“. სელიმ სარფერისათვის საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა მოულოდნელი იყო, მან კატეგორიულად უარყო ტერიტორიული პრეტენზიები და ყველაფერი თავის მთავრობას ანკარაში აცნობა, ანკარამ კი თავის მოკავშირეს – დიდ ბრიტანეთს. ამ დროიდან საბჭოთა პრესაში ნელ-ნელა მატულობს თურქეთის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა. „დიდი სამეულის“ პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის ივლისი) თურქეთის ტერიტორიული საკითხი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 22 ივლისს, საღამოს 17 საათსა და 07 წუთზე დასვა. მან აღნიშნა, რომ თურქეთი ძალზე შეშფოთებულია საბჭოთა კავშირის მოთხოვნებით: „მე მსურს გენერალისიმუსის ყურადღება მივაპყრო ამ საკითხზე და განვაცხადო, რომ თურქეთის დაშინება არ შეიძლება. თურქეთი შეშფოთებულია ბულგარეთში საბჭოთა ჯარების თავმოყრით და საბჭოთა პრესაში დაწყებული კამპანიით... მსურს ვიცოდე საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხზე“.

იოსებ სტალინმა სიტყვა ვიაჩესლავ მოლოტოვს გადასცა, რომელმაც უინსტონ ჩერჩილს საბჭოთა მოთხოვნები განუმარტა: „ჩვენი მხრიდან არის საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია... ზოგიერთ ადგილზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარს ჩვენ ვთვლით უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს საბჭოთა სომხეთს და საქართველოს თურქეთმა წაართვა ტერიტორია, რომელიც მოიცავს ყარსის, ართვინისა და არტანის ოლქებს... ამიტომ მე განვაცხადე, რომ სანამ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დავდებთ, მანამდე საჭიროა მოვაგვაროთ თურ-

ქეთის მიერ მიტაცებული საქართველოსა და სომხეთის მიწების ბედი და მათ ეს ტერიტორიები უკან დაუბრუნდეთ“.

აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის წინადადებით, ამ საკითხის განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო. 23 ივლისის სხდომაზე კი იოსებ სტალინმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადება დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდნენ. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ასევე ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვვალდებულობთ დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ასევე ვალდებულობს დაიცვას ჩვენი საზღვარი. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა გაასწორონ საზღვრები და თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“.

ჰარი ტრუმენმა, სხდომის დაძაბული ატმოსფერო რომ განეიტრალებინა, განაცხადა, – ტერიტორიული საკითხი მხოლოდ ორი სახელმწიფოს საკითხია და ის საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის უნდა გადაწყდეს. ამასობაში ანტირუსულ-ანტისაბჭოური მასალები თურქეთის პრესაშიც მომრავლდა. გაზეთები წერდნენ „წითელ ფაშიზმზე“, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა გერმანული ფაშიზმისაგან. გაზეთი „თასვირი“ 1945 წლის 23 ივლისს წერდა: „რუსეთს ჩვენს მიწა-წყალზე თვალი უჭირავს, მას სურს ხელში ჩაიგდოს ჩვენი სამი აღმოსავლეთის ვილაიეთი, მოსკოვი უკვე შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას. დღემდე საბჭოთა რუსეთი თავის დამპყრობლურ პოლიტიკას ფარული წესით ახორციელებდა – ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში გზავნიდა თავის მომხრეებს და მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში ეხმარებოდა, შემდეგ კი ასეთი „საბჭოთა მთავრობები“ მიმართავდნენ რუსეთს მასთან შეერთების მიზნით. ასე იქნა მოსკოვილი საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ლიტვა... მოსკოვს ასეთივე პოლიტიკის გატარება სურს თურქეთთანაც, მაგრამ ეს არ გაუვა... არც ერთი თურქი არ დათანხმდება თავისი ტერიტორიის რაიმე ნაწილის გადაცემაზე“.

თურქეთს ართვინ-არტაანის დაკარგვა არ სურდა, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს (და სომხეთს) უნდოდა საკუთარი უძველესი მიწა-წყლის დაბრუნება. თბილისიდან (და ერევნიდანაც) მოსკოვს გაიგზავნა შესაბამისი არგუმენტები ზემოთ ნახსენები ტერიტორიების კუთვნილებაზე. აი, საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსკოვში ვ. მოლოტოვის, ა. ვიშინსკისა და ვ. დეკანოზოვის (დეკანოზიშვილის) სახელზე გაგზავნილი ცნობა:

„სრულიად საიდუმლოდ. თურქეთის შემადგენლობაში არსებული საქართველოს ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით 1921 წლის 16 მარტს რსფსრ-სა და თურქეთს შორის დაიდო „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“, ხოლო 1921 წლის 13 ოქტომბერს – ანალოგიური ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორისაც. ეს ხელშეკრულებები, როგორც ცნობილია, ხელმოწერილ იქნა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკები-

სათვის მძიმე წლებში. 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებით საბჭოთა რესპუბლიკები, ომი რომ თავიდან აეცილებინათ, იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ თურქებისადმი, მათი უსაფუძვლო მოთხოვნის გამო, საკუთარი ტერიტორიის ნაწილი.

ამრიგად, საბჭოთა ამიერკავკასიას ჩამოშორდა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორი და მთლიანად ართვინის, არტაანისა და ყარს-ყაგიზმანის ოლქები, აგრეთვე ყოფილი ერევნის გუბერნიის სურმალინის მაზრა. (...) იმის გამო, რომ გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ დიდი სამამულო ომის დროს თურქეთმა ფაქტობრივად დაარღვია და ცალმხრივად შეწყვიტა მეგობრობის ხელშეკრულებების მოქმედება, შესაძლოა დადგეს საკითხი ამ ხელშეკრულებათა დენონსაციის შესახებ, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე.

1878-1918 წლების საზღვრების აღდგენის საკითხში საქართველოს სსრ-ს შეუძლია დაასაბუთოს თავის ტერიტორიაზე ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის, ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქების მიერთება, რომელთა საერთო ფართობია 12.789 კვ.კმ. (...)

თუ ტერიტორიული საკითხის გადაჭრამ მოითხოვა, საქართველოს სსრ-ს შეუძლია დაასაბუთოს თავისი უფლებები დამატებით სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული პროვინციის კიდევ სამ რაიონზე – პარხალზე, თორთუმზე და ისპირზე. (...) ასევე შეიძლება წამოიჭრეს საკითხი ლაზისტანის შესახებ. ლაზები, რომელთა გათურქების პროცესი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს, ქართველურ ტომებს მიეკუთვნებიან და ქართული ენის დიალექტზე ლაპარაკობენ. თუ ლაზისტანის უშუალოდ შემოერთების შესაძლებლობა გამოირიცხება, მაშინ უნდა დავაყენოთ მისი ავტონომიის საკითხი.

სამხრეთ-დასავლეთი მესხეთისა და ლაზისტანის მიწების საქართველოსთან შემოერთება საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლო იქნებოდა... ასეთი საზღვარი უზრუნველყოფს საქართველოს სსრ-ისა და შავი ზღვის პორტ ბათუმის უშიშროებას სამხრეთიდან“.

ამ ცნობას თანდართული აქვს ზემოხსენებული ტერიტორიების მოკლე აღწერილობები, აგრეთვე რუკა, რომელზეც სქემატურადაა მოცემული საქართველოს მომავალი საზღვრები.

Simon Kiladze

Joseph Stalin: „Turkey must return it Land and Water of Georgia“

Summary

Due to historical misfortune, a significant part of the territories of Georgia fell within the political borders of the Turkish state. The article discusses the Soviet government's attempt to retake these territories.

**აჭარის ავტონომიის
საკითხისათვის**

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. 1921 წლის 20 მარტს ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი რევოლუციური კომიტეტი გადადგა, იმავე დღეს იქმნება ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი(რევკომი), რომელიც შედგებოდა ათი პერსონისაგან: „...ს. ქავთარაძე, მ.ტოროშელიძე, დ.მახარაძე, კ.საჯაია, თ.ქლდენტი, ს. გუბელი, ი.პეცოვი, კ. თავბერიძე...“ (ასხ გსმაპ, 1975:19) იმავე 1921 წლის 20 მარტს მე-11 წითელი არმიის პოლიტიკური განყოფილება აქვეყნებს მიმართვას აჭარის მოსახლეობისადმი, სადაც ითხოვენ დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. ცხადია რევკომი იყო აბსოლუტურად უკანონო. იგი ყვრდნობოდა საბჭოთა ხელისუფლების მე-11 წითელ არმიას. „... ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში საოლქო რევკომს ეცილებოდა მეჯლისი, რომელიც მოსახლეობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, სწორედ ამ დიდი ავტორიტეტის გამო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ბათუმის საოლქო რევკომის პირველ შემადგენლობაში შეეყვანათ მ.აბაშიძე და რ.ნიჟარაძე, მაგრამ სულ მალე საქართველოს კ(ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტმა და ბათუმის ოლქის რევკომის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ დაიწყეს ბრძოლა მეჯლისის, პირველ რიგში მისი თავჯდომარის მ.აბაშიძის წინააღმდეგ. 1921 წლის მაისის დასაწყისში მ.აბაშიძე და რ.ნიჟარაძე გამოიყვანეს რევკომის შემადგენლობიდან, როგორც კომუნისტებისათვის არასასურველი პოლიტიკური ფიგურები...“ (თურმანიძე, 2012: 54).

ცხადია მეჯლისის ძველი შემადგენლობა სავსებით მიუღებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის, ამიტომ ისინი იწყებენ მზადებას რათა დაენიშნათ მეჯლისის ხელახალი არჩევნები, ამ მიზნით 1921 წლის აპრილში N37 დეკრეტით აცნობა მეჯლისის ძველ შემადგენლობას არჩევნებისათვის მოსამზადებელი სამუშაოს დაწყების აუცილებლობა. ამავე დეკრეტში გაიჟღერა ცნობამ, რომ მეჯლისს უფლება ექნებოდა გამოეცხადებია აჭარის ავტონომია. [ასხგსმაპ,1975:21]. ამ მიზნით მიიღეს მთელი წყება დადგენილებებისა, რომლებსაც უნდა განემტკიცებიათ აღნიშნული კუთხით მუშაობა,დაიწყო ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ რაიონებად დაყოფა. 1921 წლის 6 ივნისს ბათუმში იხსნება აჭარის დროებითი მეჯლისი. ამავე დღეს საზეიმო ვითარებაში გახსნეს რა მეჯლისი, წაიკითხეს საქართველოს „რევოლუციური მთავრობის“ დეკრეტი, რომლითაც უდასტურებდნენ აჭარის დეპუტაციას მათ მზადყოფნას აჭარისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების საკითხში. „... კუთხის ავტონომიურ წყობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოო გადაწყვეტილების მიზნით მეჯლისმა აირჩია კომისია ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თბილისში გამართულ მოლაპარაკებებზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზე 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. დეკრეტის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოდ აჭარის დროებითი მეჯლისი გამოცხადდა...“[მანველიძე,2006:21].

კომუნისტური პარტოკრატია და რევკომი მეჯლისს განიხილავდნენ მთავარ კონკურენტად, რევკომს აჭარაში არ გააჩნდა ავტორიტეტი, ამიტომ ყველა ღონეს იღებდნენ, რათა მოეხდინათ მეჯლისის დისკრედიტირება და შესაბამისად შემოეჭრი-

აღებინათ ვითარება მათ სასიკეთოდ, ახორციელებდნენ რა სხვადასხვა სახისა და ხასიათის ადმინისტრაციულ თუ სტრუქტურულ ცვლილებებს. „...ახალ ხელისუფლებას დასაყრდენი არ ეავდა ხალხში, ხოლო რაიონულ რევეკომებში მეჯლისის პოზიციები საკმაოდ სუსტი იყო... მეჯლისის მკვეთრად არაპოპულარულ შემადგენლობას ახლა ღარიბ გლეხთა კომიტეტები დაუპირისპირა...“ [მანველიძე, 2006: 22]. ამ მიზნით იქმნებოდა ე.წ. „ღარიბკომები“. 1921 წლის 8 ივნისს გაზეთ „უწყებების“ 64 - ე ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რევეკომის თავჯდომარის ფ.მახარაძის მოწოდება აჭარის ახალი მეჯლისისადმი, რომლითაც იგი მოუწოდებდა რათა იგი (მეჯლისი) მტკიცედ მდგარიყო საბჭოთა ხელისუფლების საფუძველზე და ცხოვრებაში გაეტარებინა რევეკომის დადგენილებები.

ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აჭარაში მეჯლისის უფრო მეტი ავტორიტეტი ჰქონდა ვიდრე საოლქო თუ რაიონულ რევეკომებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფ. მახარაძის მიმართვა არ იქნებოდა კატეგორიული, თან რაც მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, არის მის მიერ გამოყენებული ტერმინი „საბჭოთა ხელისუფლების საფუძველებზე მტკიცედ დგომა“, ე.ი. მეჯლისის ქმედებებში რევეკომი ხედავდა გარკვეულ ქმედებებს, რომლებიც მათთვის საფრთხის შემცველი იყო და შესაბამისად დისონანსში მოდიოდა საბჭოურ იდეოლოგიასთან. ამიტომაც ცდილობდა რევეკომი და მისი ხელმძღვანელობა „მოერჯულებია“ მეჯლისის შემადგენლობა, რათა საბჭოური გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია გაადვილებულიყო.

1921 წლის 11 ივნისს გაზეთ „პრაგმა გრუზია“ 82-ე ნომერში გამოქვეყნდა აჭარის მეჯლისის მისასალმებელი დეპეშა რევოლუციური კომიტეტისადმი ძმური დახმარების გაწევის შესახებ. საყურადღებოდ გვეჩვენა ტექსტში გამოყენებული ტერმინი „სვობოდნოი აღჟარიი“, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მეჯლისი იდგა არა საბჭოთა პოზიციებზე, არამედ ეროვნულ პოზიციებზე, ან ყოველ შემთხვევისთვის ის დეპუტაცია მეჯლისისა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე მთავარი გავლენის მომხდენები იყვნენ. „...მეჯლისი დარწმუნებულია, რომ აჭარისათვის ფართო ავტონომიის მინიჭება აღმოფხვრის იმ წინააღმდეგობას რომელიც ასახრდოებდა გაუგებრობას ქართველ მუსულმან და ქრისტიან ძმებს შორის...“ [ასხგსმაპ, 1975: 29-30].

აჭარის რეგიონის ავტონომიური მართვის იდეა ერთიანი საქართველოს შმადგენლობაში 1917 წელს დაიბადა. იგი პირველად გაჟღერდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. [ს დ ს ი 6, 2012: 51]. „...სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნის იდეა დაიბადა 1917 წლის დეკემბერში. აჭარის ავტონომია შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს რევეკომის დეკრეტით, ამრიგად ავტონომიის შექმნის პროცესი დროში გაიწელა...“ [დაუშვილი, 2009: 8]. „...ყველაზე პირველი ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ეხება დაფიქსირდა ეროვნულ საბჭოს აღმასკომის სხდომაზე 1917 წლის 13 დეკემბერს, როდესაც იხილებოდა საკითხი „სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა შესახებ...“ [დაუშვილი, 2009: 9].

შენიშვნა: 1921 წლის 5 ივლისს აჭარის საოლქო კომიტეტისა და რევეკომის ერთობლივ გადაწყვეტილებაში რევეკომისა და პრობსაბჭოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ნათქვამია, მუხ.5 „... აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ჯანმრთელობის...ავტონომიურად მოქმედებენ და პასუხისმგებელნი არიან საქართველოს სათანადო უმაღლესი ორგანოების წინაშე აჭარის მეჯლისის საშუალებით.“ მუხ.6 : „ყოველგვარი საჭირო ფინანსური და ტექნიკური სახსარი აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკას ეძლევა საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალებიდან.“ მუხ.7: „რადგან ჩაქ-

ვის სახელმწიფო მამულს, პოპოვისეულ მამულსა და ბოტანიკურ ბაღს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ეს მამულები დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. ხოლო აჭარის რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს უფლება მიეცეს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამ მამულების გამგე-ორგანოში...“ მუხლ.8: „აჭარი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე მთელი ძალაუფლება აჭარის სსრ ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ დეკრეტით დაწესებულ საზღვრების ფარგლებში ეკუთვნის აჭარის მეჯლისს, რომელიც მოქმედებს აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებით...“ (ასხგსაპ, 1975:33-34).

ეს საარქივო დოკუმენტი გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკად აჭარა მოიხსენიება გაცილებით უფრო ადრე ვიდრე 16 ივლისია. ჩვენ ვსვამთ კითხვას, რომელიც სავსებით ლეგიტიმურად მიგვაჩნია. თუკი რევკომმა 16 ივლისს მიიღო დეკრეტი რომლითაც აჭარის ავტონომია გამოცხადდა, მაშ რატომ მოიხსენიება გაერკვეულ ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში აჭარა ავტონომიურ რესპუბლიკად რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ 5 ივლისს. ვფიქრობთ იმსახურებს ყურადღებას. „...1921 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკრეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ...“ [ს დ ს ი 6, 2012:54].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულება ტერმინ „სამუსლიმანო საქართველოს“ შესახებ. ერთი მოსაზრებით ამ ტერმინში მოიაზრება აჭარა, ხოლო მეორე შეხედულებით არა მარტო აჭარა არამედ: „... ყოველი სამცხე საათაბაგო, ახალციხე და ახალქალაქის მაზრა(მესხეთ-ჯავახეთი), არტაანის ოლქი(კოლა არტაანი), ოლთისის ოლქი(ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი)...“ [დაუშვილი, 2009:15]. „... საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პლენუმი შეიკრიბა 1921 წლის 14 ივლისს, მის მუშაობაში მონაწილეობდა ი.ბ.სტალინი და რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრები. პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რევკომის წევრი ბ.კვირკველია, რომელმაც პლენუმის მონაწილეებს გააცნო აჭარის მეჯლისის პროექტი ფართო ავტონომიის შქმნის შესახებ. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის დადგენილებით დაამტკიცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში ახალციხის მაზრის შესვლის შესახებ...“ [ს დ ს ი 6, 2012:54] ჩვენი აზრით მართებულია მოსაზრება, რომელიც სამუსლიმანო საქართველოში გულისხმობს არა მხოლოდ აჭარას, არამედ გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიას. პლენუმის მონაწილეებმა არ გაიზიარეს მეჯლისის მოსაზრება და ავტონომიის საზღვრებში მხოლოდ აჭარა შევიდა.

ავტონომიის იდეას იმთავითვე რელიგიური საფუძველი ჰქონდა. ამავდროულად სხვა მრავალი მიზეზებიც არსებობდა, მაგალითად ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის როგორც სარწმუნოებრივი ასევე კულტურული განსხვავებულობა დანარჩენი საქართველოსაგან. ოსმალეთის ბატონობის პერიოდში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა განიცდიდა უკიდურეს შევიწროებას და მკაცრი რეპრესიების პირობებში ბუნებრივია საუკუნეთა განმავლობაში ერთგვარი გაუცხოება შეინიშნებოდა, თუმცა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში ძალზედ დიდი იყო ადგილობრივი ფეოდალური ელიტის როლი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გამუსულმანებული იყო ისინი ქართული ენის და სხვა ადათ ჩვევების გამოისობით ინარჩუნებდნენ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან, თუმცა თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვითარება არაერთგვაროვანი იყო.

ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი იან(ვანო) ქავთარაძე ასე ხედავდა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქართული მიწების პრობლემას,.... მთელ ქართველ ხალხს თავის განუყრელ საკუთრებად მიაჩნდა არა მხოლოდ ბათუმის ოლქი, არამედ მისი პრეტენზიები სწვდებოდა თურქეთის ლაზისტანამდე. დღესაც კი, მიუხედავად ამ კუთხეში თურქეთის დიდი ხნის ბატონობისა, არავითარი განსხვავება არ არის მაჰმადიან და ქრისტიან ძმებს შორის. და თუკი არსებობს რაიმე განსხვავება ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოწვეულია რუსეთის ორმოცწლიანი ბატონობით, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ მაჰმადიანებთან მიმართებაში ატარებდა პროვოკაციულ პოლიტიკას, რითაც აადვილებდა მაჰმადიანური გავლენის გაძლიერებას...“[ბორაესკი,2006] უაღრესად საინტერესოა ავტონომიის დაბადების იდეა. დადგენილია, რომ იდეა დაიბადა (გაჟღერდა) 1917 წელს საქართველოს ეროვნულსაბჭოში. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ იდეას ჰყავდა მოწინააღმდეგენიც ჰაიდარ აბაშიძის სახით. თბილისში დაარსებულ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ მემედ აბაშიძემ დაუყენა ორი საკითხი, ოსმალთა ჯარისაგან გათავისუფლება და ავტონომიის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ჰაიდარ აბაშიძე ამბობდა: „... ავტონომიის ირგვლივ ჩვენ უთანხმოება გვქონდა, ვინაიდან კომიტეტის ნაწილს ზედმეტად მიაჩნდა ორ ძმათა შორის მიჯნებზე ლაპარაკი, მითუმეტეს ჩვენი მოძმეების დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო... ამასთანავე ავტონომიურ მმართველობის აპარატის მიერ გაწეული სრულად ზედმეტი ხარჯები მძიმე ტვირთად დააწევბოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, ღარიბ ქვეყანას... რომ მისი ეკონომიკური და კულტურული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოსთან მთლიანობის საფუძველზე...“[აჭარა,1990:3].

„... აჭარის მოსახლეობას ერთნაირად როდი ესმოდა კუთხის მომავალი, ქართველ მაჰმადიანთა ერთი ნაწილი ქართულ ორიენტაციას ერთგულებდა, მეორე თურქულ ორიენტაციაზე იდგა, ხოლო მესამე აჭარის დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას უჭერდა მხარს.პრობლემას კი განსაკუთრებით რუსეთის, თურქეთის, ინგლისის და ზოგიერთი სხვა ევროპული სახელმწიფოს განსხვავებული ინტერესი ართულებდა. ...ქართველ პოლიტიკოსთა ერთადერთ არგუმენტს წარმოადგენდა აჭარელთა უმრავლესობის ქართული ორიენტაცია და იმის იმედი რომ ქართველი პოლიტიკოსები მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით შეძლებდნენ თურქული ორიენტაციის აჭარლების დარწმუნებას, ამ კუთხის საქართველოსგან მოწყვეტის უპერსპექტივობაში...“ [ბორაესკი, 2006] [<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH0142309073ae5ec2050b158c?p.s=TextQuery>]

1918 წლიდან როდესაც ბათუმის ირგვლივ ურთულესი ვითარება იყო შექმნილი, ჰაიდარ აბაშიძე და მისი გუნდი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ავტონომიისა „... დემოკრატიული მთავრობის ყველაზე უფრო პასუხისმგებელი პირები ჩვენს პოზიციას ავტონომიის წინააღმდეგ სთვლიდნენ არასწორად და ამართლებდნენ ზოგიერთი მოღვაწის პოზიციას ავტონომიის მიმართ, ხსენებული მთავრობის წევრები გვარწმუნებდნენ, რომ ავტონომიურ ნიადაგზე ჩვენს მუშაობას მეტის ნაყოფის მოტანა შეუძლია და ამ გზით უფრო ადვილად მოვიმხრობთ „სამუსლიმანო საქართველოს“ უმრავლესობას... ამიტომ ჩვენ კატეგორიულად გვირჩევენ „განმათავისუფლებელ კომიტეტს“ მიეღო ავტონომია და ამ გზით დაგვეწყო მუშაობა, მახსოვს ერთხელ ნოე რამიშვილი, მე და ზია ბეგ აბაშიძეს როგორ გულმოდგინედ გვისხსნიდა „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის შესაძლებლობებს და მისი დაცვის აუცილებლობას“[აჭარა,1990:3].

მემედ აბაშიძის ირგვლივ შემოკრებილი ადგილობრივი ელიტის წარმომადგენ-

ლები კი აჭარას განიხილავდნენ საქართველოს შემადგენლობაში „ფართო“ ავტონომიის სახით. მაშინ აჭარაში არსებობდა გარკვეული შიში მაჰმადიანური სარწმუნოების დაკარგვისა, შესაბამისად მ.აბაშიძეს უწევდა მთელი რიგი გეგმაზომიერი სამუშაოს წარმართვა რათა დაერწმუნებია ისინი, რომ დემოკრატიული საქართველოს არ გააჩნდდა ავტონომიის საწინააღმდეგო მოსაზრებები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობისთვის ავტონომიის იდეა არ ყოფილა უცხო. საინტერესოა ასევე ისიც, რომ საუბარი არ ყოფილა მხოლოდ აჭარის ავტონომიაზე, არამედსაქმე ეხებოდა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას. ცხადია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში თუ რატომაცაა აზრთა სხვადასხვაობა სამუსლიმანო საქართველოს ტერმინის გაგებასთან დაკავშირებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავჯდომარე დამისი თანამოაზრეები ავითარებდნენ არა მარტო აჭარის, არამედ „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის იდეას, რომელსაც რეგიონში ყავდა როგორც მომხრე ასევე მოწინააღმდეგეებიც.

საბოლოოდ ჰაიდარ აბაშიძის ჯგუფიც დაურწმუნებიათ ავტონომიის იდეის უპირატესობაში და როგორც თავად ამბობს, მათ ეს შამუშაო „გადაჭარბებით“ შეასრულეს.

„1918 წელს თურქული ოკუპაციის ინგლისელებით შეცვლის შემდეგაც მემედ აბაშიძეს არ შეუწყვეტია პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო აჭარის დამოუკიდებელი საქართველოსათვის მიერთებისაკენ. მიუხედავად ბათუმის კომენდანტის უილიამ კუკ კოლიზის პრორუსული განწყობილებისა მ.აბაშიძემ ჩამოაყალიბა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა საზოგადოება და დაიწყო გაზეთის „მაჰმადიანური საქართველოს“ გამოცემა. მან აიძულა ასევე ინგლისური ადმინისტრაცია ბათუმში აჭარის წარმომადგენელთა ყრილობის ჩატარების ნება მიეცა...“ [ბორავესკი, 2006] <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH-0142309073ae5ec2050b158c?p.s=TextQuery>]. (აჭარა, რეგიონალიზმი თუ სეპარატიზმი)

აჭარის ავტონომიური მართვის მოწყობის იდეა გარკვეულწილად ნაკარნახევი იყო იმ სეპარატისტული მოძრაობებით, რომლებიც არსებობდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში. ამ ტერიტორიებზე დიდი იყო ოსმალეთის გავლენა და სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა აღნიშნული სეპარატისტული მოძრაობების გაღვივება. ამიტომაც მიგვაჩნია ეს გარემოება გარკვეულ კატალიზატორად, რომელმაც დაუშვა აჭარის ავტონომიის არსებობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში, დემოკრატიული იქნებოდა იგი თუ საბჭოთა. ამ იდეის ავტორებს, მ.აბაშიძესა და მის გუნდს კარგად ესმოდათ ვითარების სირთულე, კერძოდ თუ როგორ გამოიყენებდა ოსმალეთი მუსლიმი მოსახლეობის ნიველირებულ ეროვნულ გრძნობებს ისტორიული საქართველოს ტერიტორიების საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად. ამიტომაც იყო მათი მოღვაწეობა ავტონომიის დაშვების თაობაზე ერთიანი საქართველოს ფარგლებში ეროვნული ინტერესის გამომხატველი.

ახალციხის, ახალქალაქის და ყარსის მაზრებში 1918 წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ რაც ოსმალებმა დატოვეს ეს ტერიტორიები, აქვე მათი ინსპირირებით ჩამოყალიბდა ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთავრობა“, რომლის წევრები ღიად ეწეოდნენ პროთურქულ აგიტაციას. ისინი არ მალავდნენ სურვილს აღნიშნული რეგიონების თურქეთთან მიერთებისათვის. სერვერ ჯაყელი მიაგვლინეს პარიზის საზავო მოლაპარაკებებზე მათ მიერ გამოცხადებული ე.წ. სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების მიზნით და იქვე დასძენდნენ, რომ არ იყვნენ წინააღმდეგნი ოსმალეთთან გაერთიან-

ნებისა. „...განსხვავებული ვითარება იყო შექმნილი აჭარაში, აქ ეროვნულ პატრიოტული ძალები წარმატებით მუშაობდნენ მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ... ჰაიდარ აბაშიძე 1918 წლის 5 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა: ... ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება, ჩვენი ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება.“ (თურმანიძე, 2012:80).

სამაჰმადიანო საქართველოს ყრილობა ჩატარდა 1919 წლის 31 აგვისტოს, რომელმაც მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება აჭარის საერთო ნების გამოხატვის საკითხში. ყრილობამ დაადგინა აჭარის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის საკითხი ავტონომიის სტატუსით, ახლა საქმე უკვე საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაზე იყო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას მისი არსებობის ბოლო დღემდე დადებითად არ გადაუჭრია აჭარის ავტონომიის საკითხი. 1920 წელს გამოქვეყნდა მ. აბაშიძის მიმართვა სათაურით „მუსლიმან ქართველებს“, სადაც იგი ავითარებს მოსაზრებას აჭარის ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობაზე. „... ჩვენი ერთადერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართო ავტონომიის ფარგლებში, აი, რაც გვიხსნის ჩვენ, სხვა გზა არ არის. ზოგიერთები ავრცელებენ ცრუ ხმებს თითქოს ჩვენ საქართველო ფართო ავტონომიას არ მოგვცემს და ასეთ ხმებს ავრცელებენ იმიტომ, რომ თქვენ გული აგიცრუნონ საქართველოზე, ტყუილს ამბობენ ეს პირები, ... არ აჰყევთ მატყუარებს... არ აჰყევთ მათ თორემ დავიდლებით, ჩვენი ქვეყანა განადგურდება, ჩვენი სინდისი შეიბღალება, მუდამ თითოთი საჩვენებელი გავხდებით, მუდამ მოღალატის სახელი გვერქმევა და ჩვენი თავისუფლების საქმე დაიმარხება... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართო ავტონომია საქართველოს ფარგლებში, აი რა გვიხსნის ჩვენ, სხვა გზა არაა“ [კომახიძე, 1993:62,64].

მ. აბაშიძის გამოქვეყნებულ სტატიებს როცა ეცნობა დაინტერესებული ადამიანი, დაინახავს ერთ აშკარა მიმართულებას, კერძოდ ერთიანი საქართველოს იდეას, მიუხედავად იმისა რომ იგი ფართო ავტონომიის მომხრე იყო. აშკარა იყო რომ საქართველო და აჭარაც მკაცრი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა როგორც ევროპული (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) სახელმწიფოების მხრიდან ასევე რუსეთის და ოსმალეთის მხრიდანაც. ყველა მათგანს თავისი ინტერესი ამოძრავებდა, რომელიც რბილად რომ ვთქვათ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. კერძოდ არც რუსეთს და არც ოსმალეთს არ აწყობდა ერთიანი საქართველოს, მითუმეტეს დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოს არსებობა მის საზღვრებთან, განსაკუთრებით რუსეთს, ხოლო ოსმალეთი კი კვლავ ისლამური იმპერიალიზმის პრიზმიდან გვიყურებდა. მოკლედ, როგორც ყოველთვის უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი. „... დენიკინელებიც მოგვდგნენ და ისინიც გვეწინააღმდეგებიან, საქართველოს შეეწინააღმდეგეთო, ამათ რაღა უნდათ? ... მათი მთელი მოქმედება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს, რომ ჩვენ არ დაუჟკავშირდეთ ჩვენ დედა სამშობლო საქართველოს, რომ მოწვევტილი ვიყოთ ჩვენი მომძევებისაგან, ეს მათ სწორედ იმიტომ უნდათ, რომ ჩვენ არ გავდღონიერდეთ, არ გავძლიერდეთ და მათ კარგად იცინან, რომ თუ საქართველოსთან გავერთიანდებით ავტონომიურად ეს დიდ ძალას შეგვმატებს და მაშინ ვერ დავიპყრობენ...“ [კომახიძე, 1993:66-67].

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავლადაა საკითხები, რომლებიც მოელიან დასაბუთებულ პასუხებსა და შესაბამისად გადაჭრას. მათ შორისაა აჭარის ავტონომიის საკითხი. ორი დიდი მამულიშვილი მ. აბაშიძე და მ. აბაშიძე განსხვავებულად უყურებდნენ აჭარის ერთიან საქართველოში არსებობის საკითხს. ჰაიდარ აბაშიძის მოსაზ-

რებით ავტონომია იქნებოდა ზედმეტი ხარჯი ისეთი ღირებულებების როგორც საქართველო იყო. ბუნებრივია მ. აბაშიძე გვევლინება უნიტარული სახელმწიფოს იდეის მომხრედ. ასევე საინტერესოდ გვეჩვენება სამომავლოდ წარმართოს კვლევა ძიება თუ როგორ გამოირიცხავდა იგი მუსლიმანური სარწმუნოების ფაქტორს ავტონომიის საკითხთან მიმართებაში.

ჩვენ ვიცით, რომ სწორედ მუსლიმანური სარწმუნოება იყო ერთგვარი განმსაზღვრელი ფაქტორი ავტონომისტებისათვის. ამიტომ მისი მოსაზრებანი აღნიშნულთან დაკავშირებით სამომავლოდ გვეჩვენება ძალზედ მნიშვნელოვანად. მ. აბაშიძეს კი აჭარის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ფართო ავტონომიის სახით წარმოედგინა. მისი აზრით იგი იყო გადარჩენის ერთადერთი გზა და საშუალება. ავტონომიის შეფარული იდეა გაქდურდა რუსეთ-ოსმალეთის 1918 წლის სეპარატისტულ ხელშეკრულებაში, ხოლო შემდეგ კი მოგვიანებით 1921 წლის ხელშეკრულებებში. ისტორიული პროცესის გაგება და მეტადრე შეფასება არ უნდა მოხდეს დღევანდელი არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე. ისტორიკოსი მაქსიმალურად განთავისუფლებული უნდა იყოს ნომენკლატურული და კონიუნქტურული გავლენებიდან, ამიტომ ამ კუთხით არ შეიძლება შევაფასოდ მ. აბაშიძის პოზიცია ფართო ავტონომიის მოთხოვნის საქმეში. უნდა დადგინდეს ის განმაპირობებელი ობიექტური ფაქტორები, რომლებიც უბიძგებს საზოგადო მოღვაწეს დაიკავოს ესა თუ ის პოზიცია. ამიტომ მ. აბაშიძის პატრიოტიზმში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მთელი მისი ცხოვრება იყო დასტური იმისა თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოზე და სახელმწიფოზე გულშემატკივარი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ ორი მოღვაწის პოზიცია აშკარად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ იმის თქმა, ერთი უფრო მეტი პატრიოტი იყო, ვიდრე მეორე არ იქნება მართებული. გაცილებით უფრო საინტერესო იქნება დადგინდეს თუ რა იწვევდა განსხვავებულ მოსაზრებებს. ჩვენ შეიძლება დავგვარად შევეცადეთ აგვეხსნა ამ ორი საზოგადო მოღვაწის განსხვავებული შეხედულებების საფუძვლები.

მ. აბაშიძე საკმაოდ კონკრეტულად საუბრობს იმ მიზეზებზე რის გამოც იგი ეწინააღმდეგებოდა ავტონომიის იდეას, მ. აბაშიძის დამოკიდებულებაც ცნობილია, განმსაზღვრელი იყო სარწმუნოებრივი ფაქტორი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ მ. აბაშიძეს სარწმუნოებრივი ფაქტორის გამო ავტონომიის სახით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა აუცილებლად მიაჩნდა და ამ გზით სა-მუსლიმანო საქართველოს იმ სოციალური ზედა ფენის კეთილ განწყობა მიეღო, რომელთაც ისტორიულად გარკვეული გავლენა ჰქონდა მოსახლეობის ფართო მასებზე. ე. ი. რაც შეიძლება მეტი მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი ქართველი დარწმუნებულიყო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მათი ყოფნის გარდაუვალ აუცილებლობაზე. მის პუბლიცისტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ გარკვეულ შიშს, გაუგებდა თუ არა საქართველო რწმენით განსხვავებულ ქართველებს. თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ თავად აჭარაში, არ იყო ერთგვაროვანი დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან მიმართებაში და ამას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. ეს საკამათოდ არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამიტომ იგი ცდილობდა ავტონომიის იდეის პარალელურად გაედვივებინა ეროვნული ცნობიერება, რომელიც არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი ყოველთვის აფიქსირებდა რომ ისინი იყვნენ ტომით ქართველნი და მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავება არსებობდა მათ შორის.

მ. აბაშიძეს ეკუთვნის ტერმინი ფართო ავტონომია. აქვე შეიძლება დავსძინოთ, რომ ავტონომიის საკითხი საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი დამყარების შემდეგ გაფორმდა პრაქტიკულად, თუმცა დემოკრატიული საქართველოს

პირველ კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ავტონომიის საკითხი, მაგრამ იმ კონსტიტუციას არსებობა არ ეწერა.

ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ავტონომიის საკითხთან მიმართებაში. „...საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მჭიდროდ დასახლებულ ეროვნულ ერთეულებისათვის ეროვნული საკითხების მგვარებისთვის შექმნა 1922 წლის 20 აპრილს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და 1921 წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ... საბჭოთა მეცნიერებიდან ზოგიერთნი ყოველ მხრივ ცდილობდნენ ავტონომიის შექმნის გამართლებას და ამას დიდი მიღწევად თვლიდნენ და (უსირცხვილოდ) წერდნენ, რომ ამით ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქართველ ხალხს დიდი სიკეთე შესძინა, ... 1993 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა, 20-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი იმიტომ შეიქმნა, რომ მაშინვე აფეთქებულიყო, როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობას მოიწადინებდა...“ [ფარჯანაძე,2015: 307]. „... აჭარის ავტონომიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის სწორედ 1919 წლის 31 აგვისტოს ისტორიული აქტით სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული ნება და ამ ნების 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციით დამტკიცება ძირითად კანონში, აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხში პრინციპულად განსხვავდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მენშევიკური ხელისუფლებისა და ბოლშევიკების მიზნები... აჭარას საბჭოური ავტონომია მიენიჭა ორ უცხო სახელმწიფოს შორის დადებული უკანონო გარიგების შედეგად, რითაც შეიღახა ქართველი ერის სუვერენული უფლებები... აჭარის გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება არ იყო მომხრე ამ რეგიონისთვის ავტონომიური სტატუსის უპირობო მიცემისა და ცდილობდა მისგან ქბათუმის ჩამოშორებას, რაც ვერ შეძლო... აჭარის ასსრ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმართებოდა სპეციალური დებულებით და მისთვის კონსტიტუციური წესრიგის მინიჭება 1937 წელს განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლამ ავტონომიური ფორმირებებისადმი“.[ოქროპირიძე,2011: 211-213].

სამუსლიმანო საქართველოს თავდაპირველი ცნება, შინაარსი როგორც ავღნიშნეთ მოგვიანებით შეიცვალა, ასე მაგალითად, დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული იყო სამუსლიმანო საქართველო-ბათუმის ოლქი, აფხაზეთის(სოხუმის) მხარე, რომლებსაც ენიჭებოდათ ავტონომიური მართვის უფლება. „...თუმცა კონსტიტუცია გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა-დემოკრატიული საქართველოს მესვეურებმა სამუსლიმანო საქართველოს ცნება ბათუმის მხარით შემოსაზღვრეს, აქ არ არის ლაპარაკი მესხეთ-ჯავახეთზე და საქართველოს სხვა ისტორიულ ტერიტორიებზე...“ [დაუშვილი,2009:17].

როგორც აღინიშნა აჭარისათვის ავტონომიური სტატუსი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ განხორციელდა, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში არაერთგვაროვანი ვითარება იყო შექმნილი.1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩამოდის ი.სტალინი „... რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხი... 1921 წლის 7 ივლისს ი.ბ.სტალინი შეხვდა მ.აბაშიძესა და ხ.ლორთქიფანიძეს, მოისმინა მათი არგუმენტები და განუცხადა, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლენინი და თვითონ თანახმა არიან მინიჭებოდა ადგილობრივი მართვისათვის ავტონომიის სტატუსი, ცენტრით ბათუმი.“[ს დ ს ი ნ,2012:13],... საქართველოს კ(ბ) ცკ-ისა და საქართველოს რევკომის წევრები ერთიან პლატფორმაზე ვერ ჩამოყალიბდნენ, ამას ისიც მოწმობს, რომ 1921 წლის 7 და 11 ივლისს ერთმანეთისაგან განსხვავებული დადგენილებები მიიღეს. 11 ივლისის დადგე-

ნიღებით აჭარას უარი ეთქვა პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებაზე, ბათუმის დედაქალაქად გამოცხადებაზე. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ არ დაამტკიცა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის 11 ივლისის დადგენილება და ურჩია საკითხი განეხილათ ცკ-ის პლენუმზე...“[ს დ ს ი ნ,2012:13].

ჩვენი აზრით უთანხმოების მიზეზი უნდა ყოფილიყო ახალი მეჯლისის მიერ ავტონომიის შესახებ შემუშავებული პროექტი. ავტონომიის პროექტი ცილდებოდა ავტონომიის პრინციპებს, ვინაიდან მასში ადგილობრივი სახალხო კომისარიატებისთვის მეტი უფლებამოსილებები იყო გათვალისწინებული, აღნიშნული პროექტი დაიწუნეს როგორც ჯერ კიდევ მოქმედმა დემოკრატიულმა პარტიებმა, მაგალითად სოციალ-ფედერალისტებმა. „...როგორც ჩანს პროექტის შესახებ გაიგეს სოციალ ფედერალისტებმა... საქართველოს დემოკრატიული ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია მეჯლისის მიერ მომზადებულმა პროექტმა...“[დაუშვილი,2012:19]. ბუნებრივია საკითხის სიმწვავეს გამო ამიტომაც ჩაერთო სტალინი აღნიშნულ პროცესებში.

ისტორიოგრაფიაში განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს მაბაშიძის და მისი ჯგუფის მიერ შემუშავებული „ფართო ავტონომიის“ საკითხთან მიმართებაში, „...სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მაჰმადიანი მოსახლეობისათვის ავტონომიის შექმნის იდეა დაიბადა აჭარის პოლიტიკურ წრეებში მემედ აბაშიძის პოლიტიკურ დაჯგუფებაში, რომელიც ავტონომიას ანიჭებდა იმაზე მეტ მნიშვნელობას, რასაც ავტონომიის ცნება მოიაზრებდა და წარმოადგენდა „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. მისი რეალიზაცია ხელს ვერ შეუწყობდა ერთიანი საქართველოს ფორმირებას. ამ წრეებში მუსირებდა „აჭარაში საკუთარი სახელმწიფოს შექმნის“ იდეაც, ჩვენი აზრით ეს პოზიცია ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ფეოდალური ცნობიერების გადმონაშთებით...საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აჭარის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ავტონომიის პროექტი ძირითადად იმეორებს მაბაშიძის პოლიტიკური დაჯგუფების მიერ შემუშავებულ პროექტს...“[დაუშვილი,2009:27].

მაშასადამე ავტორის მოსაზრებით მაბაშიძისეული ავტონომიის პროექტი და იდეა საქართველოს ერთიანობისთვის საფრთხის შემცველი იყო. ჩვენ ავღნიშნეთ საკუთარი დამოკიდებულება მაბაშიძის პოლიტიკის მიმართ, რომელიც ეყრდნობა წარმოდგენილ ფაქტორზე მასალას. ასევე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ავტონომიის იდეის შემოტანით მაბაშიძე იმედოვნებდა მეტი მუსლიმი ქართველი დაერწმუნებია ამ სახით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობაზე, ბუნებრივია მოსახლეობაში ძალზედ სუსტი იყო ქრისტიანული გავლენა, პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომაც სარწმუნოებრივ ნიადაგზე ავტონომიის ქვეშ, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც რომ მოვლენის შეფასებისას დღევანდელი აღქმა კი არ უნდა იყოს გადამწყვეტი, არამედ ის კონკრეტული ისტორიული ვითარება, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში და მეტადრე აჭარაში. ავტონომიური სტატუსის სახით აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას უნდა მოხსნოდა ერთგვარი შიში თავისი თვითმყოფადობის დაკარგვისა. აქვე კვლავ გავიმეორებთ იმას, რომ მაბაშიძისეული ავტონომიის საკითხს თავის დროზე მხარს უჭერდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის „ყველაზე უფრო პასუხისმგებელი წევრები“.

„... პირველი მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ აჭარის მოსახლეობა რუსეთის სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაცხადა და მისი ნაწილი შორეულ გუბერნიებში გადაასახლა,თუმცა შემდეგ იძულებული გახდა ელიარებინა აჭარის მოსახლეობის უდანაშაულობა და უკან დაიხია.მათ მიერ გადადგმული ნაბიჯით ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ხელოვნურად გათიშ-

ვას, ამ გაჭირვებაშიც ქართველ მაჰმადიანებს მხარში ამოუდგა მთელი ქართველობა, განსაკუთრებით თავი გამოიღო „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“, ... საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება იყო ის ცენტრი, საიდანაც 1915-1916 წლებში ვრცელდებოდა ნივთიერი, მორალური, იურიდიული დახმარება ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაზე“ [ოქროპირიძე, 2011:57]. ცარიზმის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო მათი საეკლესიო პოლიტიკის განვრცობა მაჰმადიან რეგიონებში, რასაც ბუნებრივია ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა ხდებოდა [დას.ნაშრ.გვ.66].

ჩვენი აზრით ცარიზმის ამდაგვარი პოლიტიკა უცილობლოდ გახდებოდა ერთგვარი კატალიზატორი ავტონომიის იდეის დაბადების საკითხში, რომელსაც იდეაში უნდა დაეცვა ადგილობრივი მოსახლეობა რათა შეენარჩუნებინათ მუსლიმური სარწმუნოება, ისინი ხომ ძალზედ მტკივნეულად აღიქვამდნენ სარწმუნოებრივ საკითხებს და მითუმეტეს მისი დაკარგვის შესაძლებლობაც აშკარა იყო ცარიზმის პირობებში. სარწმუნოებრივი თემატიკის გამოყენებას თავის სასარგებლოდ ცდილობდა, ოსმალეთი, ეს კი მართლაც საფრთხის შემცველი იყო.

ძალზე მნიშვნელოვანია ჰაბაშიდის, მაბაშიდის და სხვათა მოღვაწეობა მუსლიმი ქართველების ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლების საქმეში.

აჭარის საკითხით დაინტერესებას იწენდა ოსმალეთი. ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურეს პირველი მსფლიო ომის დროს. ოსმალეთი ყველა მომენტს იყენებდა სამხრეთ დასავლეთი საქართველოს კვლავ მიტაცებისათვის, ... რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთ ოსმალეთის 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცის ძალით რუსეთს ყველა ღონე უნდა ეხმარა ომის მსვლელობის დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში განლაგებული ჯარების უკანვე გამოყვანისა...“ [გურული, 2010:56]] ამ ხელშეკრულების თანახმად რუსეთს უნდა გამოეყვანა შეიარაღებული ძალები ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოკრუგებიდან. როგორც აღნიშნეთ ეს ხელშეკრულება შეიცავდა უადრესად მნიშვნელოვან ასპექტებს ოსმალეთის სასარგებლოდ. კერძოდ ხელშეკრულება ავალდებულებდა საბჭოთა რუსეთს, რომ მას ხელი არ უნდა შეეშალა ამ რეგიონებისათვის სახელმწიფოებრივ სამართლებრივი მოწყობის საკითხში. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა რეფერენდუმის ჩატარებას ოსმალეთის მეთვალყურეობის ქვეშ და თუ როგორ და ვის სასარგებლოდაც განხორციელდებოდა სახალხო გამოკითხვა ოსმალთა წინეხის ქვეშ ძნელი მისახვედრი არაა.

ოსმალეთი მანიპულირებდა ამ რეგიონის მოსახლეობის სარწმუნოებრივი კუთვნილებით, იგი იმედოვნებდა, რომ ეს ფაქტორი აღმოჩნდებოდა გადამწყვეტი მიეღოთ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება და შედეგი. ამავდროულად საბჭოთა რუსეთი ვაჭრობდა იმ ტერიტორიებით რომლებზეც მისი არც პრაქტიკული და არც იურიდიული უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა, თუმცა საქართველო იმ პერიოდისთვის არ იყო დამოუკიდებელი ერთეული, ვერც ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებამ ვერ უშველა ამ საქმეს და ვერც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებამ.

საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნულია: თურქეთი თანხმდებოდა საქართველოსთვის დაეთმო სიუზერენიტეტი ბათუმსა და ბათუმის პორტზე, ასევე მისი ჩრდილო საზღვრების მიმართულებით თუ აღნიშნული ტერიტორიები ისარგებლებდა ფართო ავტონომიით აღმინისტრაციულ ურთიერთობებში, რომელიც უზრუნველყოფდა მათ კულტურულ და რელიგიურ უფლებებს, ასევე ამ ტერიტორიის მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა თუ რომე-

ლი საადგილმამულო კანონით ისარგებლებდა და ა.შ. თურქეთს ეძლეოდა უფლება ბათუმის პორტში განეხორციელებია თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა.

1921 წლის 23 სექტემბერს ქვარსში დაიწყო მოლაპარაკება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის. მასში მონაწილეობასღებულობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთი(რსფსრ). ცხადია აქ მთავარი მხარეები იყვნენ თურქეთი და რუსეთი, ამიტომაც ყარსის ხელშეკრულებამ უცვლელად გადმოიტანა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმების ყველა ის მუხლი რომელიც ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, მეტადრე საზღვრის საკითხებში. „... ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ეხებოდა აჭარას,კერძოდ ...თურქეთი ეთანხმება ბათუმისა და ბათუმის პორტის...ასევე ბათუმის მხარის შემადგენელ ნაწილებზე სიუზერენიტეტი გადასცეს საქართველოს იმ პირობით რომ 1. აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციულ ურთიერთობებში...“[გურული,2010:66]. „... ამ დათბობის საფასურად თურქეთი მოითხოვდა აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობისათვის ფართო ავტონომიის სტატუსის მინიჭებას, თუმცა ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერისას აჭარის ავტონომია გამოცხადებული იყო...თურქეთის ასეთი „ზრუნვა“ აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ დიპლომატიური ფანდი იყო. ასეთი მზრუნველობა მას არ გამოუჩენია თურქეთის სახელმწიფოში კომპაქტურად დასახლებული სხვა ერების მიმართ...“[ს დ ს ი ნ 2012:61].

მაშასადამე ავტონომიის საკითხით თურქეთი აქტიურად ყოფილა დაინტერესებული. აღნიშნული ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები დღესაც მოქმედებს უკვე დამოუკიდებელი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის.1992 წ.30 ივლისს საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრების ურყევობის პრინციპს. ხელშეკრულება დადებული იყო ათი წლით, თუმცა ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე თუკი მხარეები არ განაცხადებდნენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაგრძელებულად ჩაითვლება მომდევნო ხუთი წლით და ა.შ. მხარეებს დღემდე საწინააღმდეგო არ განუცხადებიათ. [ხელშეკრულება,1992]

არსებობს მოსაზრება, რომ ავტონომიის საკითხი იურიდიულად მიმაგრებულია მხარეთა შორის არსებულ ზემოხსენებულ შეთანხმებაზე, თუმცა ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ავტონომიის საკითხი დაიბადა უშუალოდ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი იჩენდა დაინტერესებას ავტონომიური სტატუსის დაწესებაზე. ამიტომ იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ავტონომიის გაუქმება გამოიწვევს თურქეთის წინააღმდეგობას, მიგვაჩნია გადაჭარბებულად. ვინაიდან ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო,თავად არის საკუთარი ნების გამოვლენაში თავისუფალი და ასევე პოლიტიკური სტატუსის არჩევაშიც. თუმცა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი თუ რამ გამოიწვია აღნიშნული მოსაზრების წარმოშობა (თურქეთის პოზიციის შესაძლო უარყოფითი დამოკიდებულების). საქმე ეხება 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების შესავალი ნაწილის შემდეგ დანაწესს „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.“[ხელშეკრულება,1992]

მიუხედავად იმისა რომ, ყარსის ხელშეკრულებაში თურქეთი გამოთქვამდა ბათუმისა და მისი მიმდებარე რეგიონის მოსახლეობისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების სურვილს და მოითხოვდა კიდევ ამას, არსად არ ყოფილა დაფიქსირებული მოთხოვნა თუ რას მოიმოქმედებდა იგი ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. მითუმეტეს, რომ ყარსის ხელშეკრულების დადებამდე აჭარაში ავტონომიური სტატუსი გაფორმებული იყო იურიდიულად. აჭარაში დღეის მდგომარეობით სულ სხვა პოლიტიკურ, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური რეალობაა ვიდრე ეს იყო მეოცე საუკუნის ოციან წლებში. არც ყარსის ხელშეკრულებას გააჩნდა ე.წ. საიდუმლო ნაწილი შეთანხმებისა, რომლის შესახებაც აპელირებენ დროდადრო, რომ თითქოს აჭარის ავტონომიის გარანტად გვევლინებოდეს თურქეთი. „...ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები, ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული...“ [გურული, 2010:68].

ამრიგად ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო აჭარაში ავტონომიის გამოცხადებას. გამოვთქვით არაერთი დასაბუთებული მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასხგსმაპ, 1975/- აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (დეკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წ.წ.) ბთ. 1975
2. აჭარა, 1990/- გაზეთი საბჭოთა აჭარა, N142, 28 ივლისი, 1990 წ.
3. ბორავსკი, 2006/- პოლონეთიდან დანახული საქართველო. პოლიტიკური რაკურსით, საქართველო 1917-1921 წლებში. [//www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH0142309073ae5ec2050b158c?p.s=TextQuery](http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH0142309073ae5ec2050b158c?p.s=TextQuery)
4. გურული, 2010/- ვ. გურული, საქართველო და გარესამყარო, თბ. 2010
5. დაუშვილი, 2009/- ა. დაუშვილი, „აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“ თბ. 2009
6. თურმანიძე, 2012/- ო. თურმანიძე აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940) ბთ. 2012
7. კომახიძე, 1993/- თ. კომახიძე „მემედ აბაშიძე“ ბთ. 1993
8. მანველიძე, 2006/- ი. მანველიძე „საზოგადოებრივ პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. ბთ. 2006
9. ოქროპირიძე, 2011/- უ. ოქროპირიძე „აჭარის ავტონომიის შექმნა“ თბ. 2011
10. სდსინ, 2012/- სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბთ. 2012 წ., IV ტ.
11. ფარჯანაძე, 2015/- ა. ფარჯანაძე „საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და მათი ურთიერთდამოკიდებულება“ თბ. 2015
12. ხელშეკრულება, 1992/- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ, 1992 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0>

**For the issue of autonomy of Ajara
Summary**

This article 'For the Issue of Adjara Autonomy' presents and discusses the origins of the idea of Adjara autonomy and peripeteia of its realisation in future. This topic is permanently discussed in Georgian historiography. Without an objective estimation of the past, the democratic development of our statehood is unbelievable. Our efforts also serve this purpose.


On the base of used sources, we tried to present the reason for the idea of the autonomy. What stages of development did this idea go through? We also discussed as much as possible how this topic is covered in Georgia historiography. We tried to separate and cover the different views of Memed and Haidar Abashidze about the autonomy.

We also showed the role and attitude of Turkey and Bolshevik Soviet Russia towards this topic.

მიშა ჟღენტი
ნინო ჯაველიძე
მერაბ მეგრელიშვილი

**ერთი ეპიზოდი სოფელ ცხემლისხიდის
საბჭოთა პერიოდის ისტორიიდან**
(ოზურგეთის რეგიონულ არქივში დაცული
დოკუმენტური მასალების მიხედვით)

ოზურგეთთან ახლოს, მდინარე ნატანებთან მდებარეობს პიძრო რესურსებით მდიდარი, წითელმიწა ნიადაგით და ჩაის კულტურით ცნობილი სოფელი ცხემლისხიდი. მდინარე ნატანები სათავეს იღებს საყორნიის მთებში. მას უერთდება მდინარე დებაზუ და ოჭომა. მდინარე გვერდა გუგულაურის მთებიდან მოედინება, ხოლო მდინარე ვორთანა გეპალაურიდან. მდინარე ნატანებთან ახლოს დღეს არსებულ სკოლის მიდამოებში განთავსებული იყო გურიელთა საზაფხულო რეზიდენცია, სადაც აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭლის საუკეთესო ნაწარმი, პოლონური მონეტები ა.შ. სოფელში ჯერ კიდევ შემორჩენილია XIX საუკუნით დათარიღებული ძლევის კარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და ზეგანზე არსებული სტეფანწმინდის ტაძრის საძირკველი.



ცხემლისხიდის წმ. გიორგის სახელობის ძლევის კარის ეკლესია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან 1926 წლამდე სოფელ ცხემლისხიდს განაგებდა რევკომის ხელისუფლება. 1926-1931 წლებში სოფელი ცხემლისხიდი გაერთიანებული იყო დვბაზუს სასოფლო საბჭოში, ხოლო 1931 წლის მარტიდან ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოს შემოუერთდა სოფლები დვბაზუ, ბაღდადი, უჩხოზი და ვაკიჯვარი.

1936 წლის დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოში გაერთიანებული იყო 465 კომლი, დაახლოებით 1000 ადამიანი. ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოს დემოგრაფიულ წიგნში წარმოდგენილია შემდეგი გვარები: ბარამიძე, ბორჩხაძე, ბერძენიშვილი, გიორგაძე, გედევანიძე, გოგეშვილი, გოლიაძე, გოგოტიშვილი, გაგუა, გარაყანიძე, გოგოლიშვილი, დოლიძე, დუმბაძე, ელიაძე, თავდიშვილი, თენიეშვილი, თავბერიძე, თოიძე, კოპიძე, კვირკველია, კაღანაძე, კოპლატაძე, კანდელაკი, კახიანი, კვაჭანტირაძე, კუტალაძე, ლომინაძე, ლომთათიძე, ლომაძე, მაქსიმელიშვილი, მალუა, მეგლაძე, მეგრელიძე, მეგრელიშვილი, მახარაძე, მემარნიშვილი, მიქელაიშვილი, მიმინოშვილი, მჟავია, მშვიდლობაძე, ჟღენტი, სალუქვაძე, სეფერთელაძე, სიხარულიძე, სიმონიშვილი, სირაძე, ქილიფთარი, ქერქაძე, ძიძიშვილი, წიტიშვილი, ჩხაიძე, ჩხატარაშვილი, ცხომელიძე, ცეცხლაძე, ჯინჭარაძე, ჯაში, ხომერიკი, ხელაძე, ჭანუყვაძე, ჭეიშვილი, ჭელიძე, აზაკელი, ხინველი და სლავეური წარმოშობის ლაღიუნისკის გვარი.

1937 წლის 17 ივლისს, ცხემლისხიდის სოფ. საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, გასაგები მიზეზების გამო (უფროხილდებოდნენ რუსების ავტორიტეტს) შიგა კონტროლს დაექვემდებარა სოფლად რუსების ყოფნა. კოლმეურნეობის წევრებს აეკრძალათ ბინის მიქირავება რუსებზე, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სათანადო დოკუმენტების წარდგინებით. აღრიცხვაზე ჰყავდათ ყველა ის პირი, ვინც დაქირავებულ რუსს დაიხმარებდა სასოფლო სამეურნეო სამუშაოების დროს.

სოფლის ცხოვრება ძირითადად გლეხის მძიმე შრომაზე იყო დაფუძნებული. 1940 წლის 10 თებერვლის სსრკ-ის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე გადაწყდა სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა. მოსახლეობაში აკრეფილი თანხა სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში არ შედიოდა და ძირითადად იხარჯებოდა გზების, ხიდების, სკოლების მშენებლობაზე. გზების მოწესრიგების მიზნით მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა საგზაო სამდლიური ბეგარა. საგზაო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა სათემო ხუთეული, საგზაო სამუშაოების პროცესში გამოყენებული იყო სანადო სისტემა. კანონის თანახმად, კოლმეურნეობაში სამუშაო დღეების გამცდენი პირი ადმინისტრაციული წესით ისჯებოდა. სასოფლო თემში არსებობდა „წყალთან მებრძოლი სამეული“. ამ პერიოდში მათ მიერ მდინარე ნატანებზე აიგო 14 დამბა. სოფლის მოსახლეობიდან ფულადი სახსრების ამოღებას უზრუნველყოფდნენ პასუხისმგებელი პირები. გადასახდელი თანხა 20 მანეთს შეადგენდა. 1934 წლის 23 თებერვალს, ცხემლისხიდის თემის სოფ. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საკითხი არაყის გეგმის შესრულების შესახებ. არაყის გამოხდასთან დაკავშირებით გამოცხადდა სამდლიური – 7-10 მარტი. მოცემულ ვადაში გლეხი ვალდებული იყო სასოფლო საბჭოსთვის ჩაებარებინა არაყი. მოსახლეობაში აკრეფილი ფულადი გადასახადის ხარჯზე ხდებოდა კოლმეურნეობის მიერ აღებული გეგმიური ვალდებულებების შესრულება. კოლმეურნეობა იღებდა ვალდებულებას ისეთი პროდუქტის დამზადება-ჩაბარებაზეც, რომლის წარმოება სოფელში არ ხდებოდა.

1933 წელს ცხემლისხიდის კოლმეურნეობის დამზადება-ჩაბარების გეგმაში შედიოდა ხორცი, ყველი, ჩაი, სიმინდი, ღომი, ბრინჯი, სოია, კარტოფილი, თხილი, ტუნ-

გო, აბრეშუმის პარკი და ა.შ. აიკრძალა სიმინდის გატანა ქალაქში, რადგან ის ხელს უშლიდა გეგმის შესრულებას. სიმინდით მოვაჭრენი ცხადდებოდნენ სპეკულანტებად. კოლმეურნეობას უფლება ჰქონდა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე მოეწყო გლეხების მიერ შრომით მოპოვებული ნაწარმის გასაღების ბაზარი. თემში დიდ ყურადღებას აქცევდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობის საქმეს. შერდიმან ელიაძის თაოსნობით ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან სოფელში მოიწვიეს ჩაის კულტურის დიდი მცოდნე პოპოვი, რომელმაც ჩაის კულტურის გასაშენებლად მოიწონა სოფლის ზეგანზე არსებული წითელმიწა ფერდობიანი ადგილი. 1932 წელს უნდა მოკრეფილიყო 20, 000 კგ ნედლი ჩაის ფოთოლი, მაგრამ მოცემული გეგმის შესრულება სასოფლო თემის პირობებში არ იყო რეალური, რადგან 1928 წელს გაშენებული ჩაის ფართობი ნახევრად განადგურებული იყო. თემში არსებული ფართობის და მოცემული პირობების მიხედვით რეალურად შესაძლებელი იყო 14, 000 კგ. ნედლი ფოთლის მოკრეფა. აკრძალული იყო ჩაის ხელით მოჭლელა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ წლებში არსებობას განაგრძობდა ბატონყმობის გადმონაშთები, შრომითი ბეგარის და ნატურალური და ფულადი ღალის სახით.

1933 წლის 28 მაისს ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საკითხი ტყის დაცვის, გასაცემი შეშისა და საშენი მასალის ფასების შესახებ. აიკრძალა ტყეში უნებართვოდ შესვლა, დაწესდა ფასები: წიფელაზე-საჟენი 18 მანეთი, თხმელა-10 მანეთი, სამასალე ვერშოკი-1 მანეთი, ღჯა-4 მანეთი.

1937 წლის 17 ივლისს, ცხემლისხიდის სოფ. საბჭოს გაერთიანებული პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს კოოპერაციული გაერთიანების თავმჯდომარის თეოფილე ჩხაიძის მოხსენება კოოპერაციული გეგმის შესრულების შესახებ, 1937 წელს კოოპერაციულ მოძრაობაში მიღწეული შედეგების საფუძველზე 15 მოკავშირე რესპუბლიკას შორის სოფელი ცხემლისხიდი აღიარეს გამარჯვებულად. 1939 წლის 25 სექტემბერს, ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოდან წითელი არმიის რიგებში 41 ახალგაზრდა გაიწვიეს. სამხედრო ანკეტები შეავსეს: ვ. ლომინაძემ, ს. კალანდაძემ, კ. ბარამიძემ, ლ. მახარაძემ, ა. საღუქვაძემ, ვ. ბორჩხაძემ, დ. ჟდენტამ, ლ. საღუქვაძემ, დ. სოსელიამ, შ. მემარნიშვილმა და სხვებმა. ზემოთ აღნიშნული წევვამდევლები ჯარში გასაყვანად შეარჩიეს იმ ნიშნით, რომ ისინი იყვნენ საიმედო ოჯახის შვილები. მეორე მსოფლიო ომის წინ სასოფლო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცხენეობის განვითარებას. 1941 წლის 26 სექტემბერს ცხემლისხიდის სასოფლო აღმასკომის სხდომაზე განიხილეს შ. სიხარულიძის ინფორმაცია სამხედროებზე განაწილებული ცხენების მოვლა-პატრონობის შესახებ. სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ მეპატრონეებმა ცხენები არ ხედნონ უდიერად და გადაიყვანონ ისინი ორმაგ კვებაზე. სამხედრო საქმის "ხელისშემშლელებს" ასამართლებდნენ სამხედრო დანაშაულის ბრალდებით. ომიანობის პერიოდში სოფლის მოსახლეობიდან გაწერილი ყველა სახის გადასახადი ხმარდებოდა სამხედრო თავდაცვის საქმეს. სოფლის მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა სამხედრო გადასახადი და თვითდაბეგვრა. 1941 სოფელში დაიწყო 1924 წელს დაბადებულთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. დახმარება ნაწილდებოდა სამხედროების ოჯახებზეც. სასოფლო თემში 219 სამხედრო ოჯახი იყო, აქედან დახმარებას იღებდა 114 ოჯახი. 1942 წელს ცხემლისხიდის თემიდან გეგმით გათვალისწინებულზე უფრო მეტი ახალგაზრდა გაიწვიეს სამხედრო ჯარში. 7 წლის ასაკიდან ბავშვები ეუფლებოდნენ სამხედრო მომზადების საქმეს.

წარმოგიდგენთ ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოდან მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სიას, რომლის შეტყობინება საბჭომ მიიღო 1942-1947 წწ.

1. დემენ ტიმოთე დემეტრეს	რიგითი	19.11.42 წ.
2. ხომერიკი სიმონ იაგორის	რიგითი	11.08.43 წ.
3. ჟღენტი გერმანე შალვას	რიგითი	16.06.43 წ.
4. ჟღენტი ივანე ბესარიონის	უფ.შემად.	27.12.43 წ.
5. ძიძიშვილი ვალიკო რაჟდენის	რიგითი	13.04.43 წ.
6. დუმბაძე დავით ნესტორის	უფ.შემად.	21.08.43 წ.
7. ჩხაიძე შალვა პლატონის	უფ.შემად.	21.08.43 წ.
8. ჭანუყვაძე ნიკოლოზ იესეს	რიგითი	5.04.43 წ.
9. მიქელაიშვილი გიორგი ლევანის	რიგითი	14.01.44 წ.
10. ბერძენიშვილი ბენია პავლეს	რიგითი	29.06.44 წ.
11. ელიაძე დავით აკაკის	რიგითი	15.07.44 წ.
12. ღომინაძე ისიდორე დავითის	რიგითი	12.08.44 წ.
13. გედევანიძე დავით ილარიონის	რიგითი	26.10.44 წ.
14. ღომინაძე ჟორა თომას	რიგითი	17.09.44 წ.
15. მემარნიშვილი სამსონ გრიგოლის	რიგითი	8.06.44 წ.
16. ხომერიკი გივი გერასიმეს	რიგითი	25.11.44 წ.
17. ქილიფთარი ლავრენტი მიხაკოს	რიგითი	1.01.45 წ.
18. მიქელაიშვილი ბენია პეტრეს	რიგითი	3.04.46 წ.
19. ღღონტი ვლადიმერ პავლეს	უფ.შემად.	24.08.45 წ.
20. ჟღენტი იასონ პავლეს	უფ.შემად.	14.09.45 წ.
21. ლევიძე გრიგოლ კონსტანტინეს	უფ.შემად.	11.12.45 წ.
22. ხელაძე ანტონ ავთანდილის	უფ.შემად.	22.08.45 წ.
23. ხომერიკი იასონ ანტონის	უფ.შემად.	22.08.45 წ.
24. ქილიფთარი თემურ დიომიდეს	უფ.შემად.	9.03.44 წ.
25. ელიაძე გერმანე ილარიონის	უფ.შემად.	7.05.46 წ.
26. ბარამიძე ლადიკო ბესარიონის	რიგითი	12.09.44 წ.
27. ბარამიძე დომენტი კონსტანტინეს	რიგითი	13.08.43 წ.
28. ხომერიკი შოთა დომენტის	უფ.შემად.	21.01.41 წ.
29. ქერქაძე ალექსანდრე იაგოს	უფ.შემად.	8.10.42 წ.
30. სამსონია ნიკოლოზ ნიკოს	უფ.შემად.	ცნობა მიიღო იჯახმა
31. ჯინჭარაძე აქსენტი კირილეს	რიგითი	8.07.44 წ.
32. ჭანუყვაძე დავით ილარიონის	რიგითი	28.10.46 წ.
33. ჭანუყვაძე გიორგი ილარიონის	რიგითი	28.10.46 წ.
34. ელიაძე თეიმურაზ ირაკლის	რიგითი	28.10.46 წ.
35. ტულუში გიორგი ბესარიონის	რიგითი	28.10.46 წ.
36. ჭანუყვაძე ვალერიან ნიკიფორეს	რიგითი	28.10.46 წ.
37. ჭანუყვაძე ილია ნიკიფორეს	რიგითი	28.10.46 წ.
38. ჭეიშვილი ვახტანგ ივტიხის	რიგითი	28.10.46 წ.
39. ჯინჭარაძე დავით იოსების	რიგითი	28.10.46 წ.

40. ძიძიშვილი ტიტე ლავრენტის	რიგითი	28.10.46 წ.
41. ბერძენიშვილი აკაკი მაღაქის	რიგითი	28.10.46 წ.
42. ელიაძე ვასო თედორეს	რიგითი	28.10.46 წ.
43. ფასიეშვილი კალენიკე სიმონის	რიგითი	28.10.46 წ.
44. ელიაძე კარლო პავლეს	რიგითი	28.10.46 წ.
45. ლომინაძე ვალერი დომენტის	რიგითი	28.10.46 წ.
46. ლომინაძე აღისტრახი დომენტის	რიგითი	28.10.46 წ.
47. გედევანიძე გიორგი ილარიონის	რიგითი	28.10.46 წ.
48. სიხარულიძე შალვა ილიკოს	რიგითი	28.10.46 წ.
49. გედევანიძე აკაკი იაგორის	რიგითი	28.10.46 წ.
50. ლომინაძე სამსონ ვლადიმერის	რიგითი	28.10.46 წ.
51. ლომინაძე ჟორა ფილიპეს	რიგითი	28.10.46 წ.
52. ლომინაძე სოსო სილვეანის	რიგითი	28.10.46 წ.
53. ლომინაძე ლავრენტი ვლადიმერის	რიგითი	28.10.46 წ.
54. ჭანუყვაძე კოლია ქიშვარდის	რიგითი	28.10.46 წ.
55. ჭანუყვაძე გრიგორი ქიშვარდის	რიგითი	28.10.46 წ.
56. ჭანუყვაძე შალვა ქიშვარდის	რიგითი	28.10.46 წ.
57. ჭანუყვაძე სანდრო ტერენტის	რიგითი	28.10.46 წ.
58. ჭანუყვაძე აღფესი სილომინის	რიგითი	28.10.46 წ.
59. მემარნიშვილი შოთა დომენტის	რიგითი	28.10.46 წ.
60. ქილიფთარი სიმონ ლევანის	რიგითი	28.10.46 წ.
61. ქილიფთარი გიორგი ვასილის	რიგითი	28.10.46 წ.
62. ჭელიძე გრიშა გაბრიელის	რიგითი	28.10.46 წ.

ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოდან მეორე მსოფლიო ომში წარგზავნილთა შორის იყო ოჯახები, რომლებმაც ერთდროულად ორი და სამი დაღუპული ძმის ცნობა მიიღეს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფლის უხუცესის, მიშა ჟღენტის თაოსნობით აშენდა დიდების მუზეუმი.

სოფელ ცხემლისხიდში დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახალხო განათლების საქმეს. 1934 წლის 10 მარტს საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე ცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ. ცხემლისხიდის თემში გაიხსნა 11 მცირე მცოდნეობის სკოლა. სასკოლო მშენებლობის საქმის “ხელისშემშლელისთვის” დაწესდა ჯარიმა 100 მანეთი და ერთი თვის იძულებითი სამუშაო.

დიდი ხნის ისტორია აქვს ცხემლისხიდის საშუალო სკოლას. 1893 წელს დაარსდა ცხემლისხიდის სამრევლო სკოლა, 1912 წელს-დაწყებით, 1921 წლიდან რვაწლიანი შრომის სკოლა, 1934 წლიდან კი ცხემლისხიდის საშუალო სკოლა. სოფელ ცხემლისხიდის საშუალო სკოლა ემსახურებოდა უჩხოების, ბაღდადის, დვაბზუს და ვაკიჯურის მოსწავლეებს.

თავდაპირველად სკოლა ტუფის ქვით იყო ნაშენები და კრამიტით გადახურული. 1949-1950 სასწავლო წელს სკოლის დირექტორი იყო ბუნებისმეტყველი გიორგი ლომინაძე. სოფლის მოსახლეობა მის მიერ დამზადებული სამკურნალო წამლებით სარგებლობდა, საშუალო სკოლაში გაერთიანებული იყო 420 მოსწავლე. სასწავლო გა-

ნათლების საქმეს ემსახურებოდნენ ცნობილი მასწავლებლები: ჟღერტი ნესტორ (ბუნება), სალუქვაძე ქეთო (მათემატიკა), მშვიდლობაძე მიხა (ისტორია, გეოგრაფია, სამართალმცოდნეობა), ლომაძე ქეთო (ფიზიკა, გეომეტრია), გედევანიძე ივანე და ჯინჭარაძე აპოლო (უცხოენები), კვირკველია ფატი (დაწყებითი), ღვთისმეტყველებას და გალობას ასწავლიდა ლომინაძე ნიჟა, ასევე ცხოველიძე თომა, ბარამიძე ოლღა ბარამიძე კარპეზ, ჭანუყვაძე თევდორე, ღლონტი ქეთო, მდინარაძე არიანდა და ა.შ.

1	მშხაშხინიძე იოსებ სემონ-ის-შვიდი	ვერცხლის მედიით	15/VI 1950წ.	თ. მშხაშხინიძე
2	ჭიჭინაძე მერა ივანეს-მსოლი	ვერცხლის მედიით	22/VI 1951წ.	მ. ჭიჭინაძე
3	მეტყინიშვილი გენო ნათელის-მსოლი	ვერცხლის მედიით	22/VI 1951წ.	გ. მეტყინიშვილი
4	ჩხაიძე მეფთა ვლადიმერის-მსოლი	ვერცხლის მედიით	22/VI 1951წ.	მ. ჩხაიძე
5	მეტყინიშვილი ანნა ჭოლოშის-მსოლი	ვერცხლის მედიით	22/VI 1951წ.	მ. მეტყინიშვილი
6	ლომინაძე დამიანა ვლადის-მსოლი	ვერცხლის მედიით	23/VI 1951წ.	თ. ლომინაძე
7	კოდინიშვილი ხემო ვალდის-მსოლი	ოქროს მედიით	23/VI 1951წ.	რ. კოდინიშვილი
8	სედგვთხიძე დიდი ივანეს-მსოლი	ვერცხლის მედიით	24/VI 1951წ.	რ. სედგვთხიძე
9	სამაშვილია ცილია ლადის-მსოლი	ვერცხლის მედიით	24/VI 1951წ.	ც. სამაშვილია
10	ქოქუაძე ნუბი სამუკოშის-მსოლი	ოქროს მედიით	30/VI 1951წ.	ნ. ქოქუაძე
11	ქოქუაძე სერგეი ჯიბის-მსოლი	ვერცხლის მედიით	30/VI 1951წ.	ს. ქოქუაძე
12	ჩხაიძე მერა ნაიბის-მსოლი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	მ. ჩხაიძე
13	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
14	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
15	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
16	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
17	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
18	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
19	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
20	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
21	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
22	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
23	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
24	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
25	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
26	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
27	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
28	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
29	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე
30	ქოქუაძე იოსებ დი-ბიჭიშვილი	ვერცხლის მედიით	31/VI 1951წ.	ი. ქოქუაძე

1950 წელს საქართველოს განათლების მინისტრის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრადის ბრძანებით სოფელ ცხემლისხიდის საშუალო სკოლიდან ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ გურამ ხომერიკი, რეზო კალანდარიშვილი, ნუნუ გოგუაძე, და მადონა გედევანიძე. 1950 წლიდან 1962 წლის ჩათვლით ცხემლისხიდის საშუალო სკოლას 28 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა.

მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ლოტბარს გიორგი სალუქვაძეს. დღეს სოფელში ფუნქციონირებს მისი სახელობის სახლმუზეუმი (დირექტორი მურთაზ სიხარულიძე), სადაც ყოველწლიურად იმართება კალანდობა, მუსიკალური სადამოები და საინტერესო შეხვედრები. ახლახან მუზეუმში ბულგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა გამართეს ფოლკლორის სადამო და წარმოადგინეს კუდინარიული ნაწარმი. სოფელ ცხემლისხიდში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას ემსახურებოდნენ ნიუა ლომინაძე და გური სიხარულიძე. კულტურული ღონისძიებებით სოფლის ყოფა-ცხოვრებას ახალისებს შალვა რადიანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ხელმძღვანელი ნინო ჯაგელიძე წლების განმავლობაში ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს ემსახურება. სოფლის მომავალზე, მის ხვალიდელ დღეზე ზრუნავს 92 წლის გამოცდილი სწავლული აგრონომი, ცხემლისხიდის ცოცხალი მემკვიდრე მიშა უდენტი. მან სოფლის ისტორიას წიგნი მიუძღვნა. გთავაზობთ ნაწევებს ამ წიგნიდან: „ხალხური გადმოცემის მიხედვით აღიდებულ მდინარე ნატანებს წაუქცევია მალაქ ადგილზე მდგარი ცხემლის ხე, რომელიც არ გახმა და გაიხარა. დროთა განმავლობაში მდინარე ნატანებზე გადებული ცხემლის ხე მოსახლეობისთვის მეზობელ სოფლებთან დამაკავშირებელ ბუნებრივ ხიდად იქცა. 1964 წელს ინჟინერ დოლიძის თაოსნობით ამ ადგილზე აიგო კაპიტალური ხიდი, მე-18 საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი სოფელი დასახლებული იყო ზეგნის ტერიტორიაზე, კერძოდ, გუგულაურის, ლეგურის, კინჩხისეულის, სურნალას, ჩუნიის, ლომინაძეების, მესხების, ნარაგვალას, ქვაბისკარას და სხვა უბნებში. ცხემლისხიდი წყალუხვი სოფელია. მას ეკვრის მდინარეები: ნატანები, გვერდა, ოჭომა, დვაბუ, ორონა, არკუნა, ასევე სტეფანწმინდის, გუგულაურის საირმის და ა.შ. დედეები“.

და ბოლოს საინტერესოა ერთი ეპიზოდი სოფლის ჯანმრთელობის დაცვის სფეროდან. 1932 წელს ცხემლისხიდის თემში გავრცელდა ავადმყოფობა ტიყი. სოფლის ექიმ თავბერიძის თაოსნობით ჩაატარეს ტიყის საწინააღმდეგო აცრა, რამაც უზრუნველყო ეპიდემიის შემცირება.

ამრიგად ერთი ეპიზოდი სოფელ ცხემლისხიდის ცხოვრებიდან ნათლად წარმოაჩენს მის მდიდარ ისტორიას.

Misha Jgenti
Nino Javelidze
Merab Megrelishvili

**One episode from the history of the Soviet period
in the village of Tskhemliskhidi
Summary**

The article, based on the documentary materials preserved in the Ozurgeti Regional Archive, presents important issues of life in one of the most beautiful historical villages of Guria.

**დიპლომატიის განვითარების ძირითადი
ასპექტები ოსმალეთის იმპერიაში**

დიპლომატია – არის საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობიანი გზით წარმოების ხელშეწყობა. ის წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად [3,146]. ბრიტანელი დიპლომატის ნიკოლსონის [8,7] განმარტებით, არსებობს დიპლომატიის ორი, ვიწრო და ფართო გაგება: პირველი, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების – დიპლომატების მიერ წარმოებული შეხვედრების და მოლაპარაკებების პროცესია, ხოლო მეორე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმოებისას, პოლიტიკური ზეგავლენის პროცესში, გამოყენებულ მეთოდებსა და ტექნიკას გულისხმობს. სერ ერნესტ სეტოუსის აზრით კი, დიპლომატია – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის ოფიციალური ურთიერთობების წარმოებისას გამოყენებული ინტელექტი და სენსიტიურობაა [16,15].

დიპლომატიამ რთული და საინტერესო გზა გაიარა ვიდრე აქამდე მოვიდოდა. ის თავისებურად განვითარდა ოსმალეთში. ოსმალეთის იმპერია (არსებობდა 1299-1923 წლებში) დაარსებიდან საუკუნე ნახევრის განმავლობაში გადაიქცა, ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად, არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელს მსოფლიოში, რაც თურქი მეცნიერების აზრით არ შეიძლება აიხსნას, მხოლოდ, იმპერიის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერით ის, უდავოდ, სწორი და წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობების შედეგია, რაზეც დიდი გავლენა იქონია, არა დიპლომატიის სფეროში მმართველი ფენის შესაბამისმა უნარ-ჩვევებმა და გამოცდილებამ, არამედ ქვეყნის გეოსტრატეგიულმა მდებარეობამ [11,69].

დიპლომატიამ ოსმალეთის იმპერიაში გაიარა სამი საფეხური: პირველი “ad hoc”¹ – ცალმხრივი/დროებითი დიპლომატიის, მეორე – ორმხრივი და მესამე – მუდმივი დიპლომატიის საფეხური. იმპერია, თავისი სიძლიერის ზენიტში (იგულისხმება სამი სულთნის პერიოდი: მეჰმედ II ფათიჰი (დამპყრობელი, 1451-1481), სელიმ I იაუზ-ხი (მრისხანე 1512-1520) და სულეიმან I კანუნი, (კანონმდებელი, 1520-1566) გამოიყენებდა ე.წ. “ad hoc” დროებით/ცალმხრივ დიპლომატიას [16,22], რაც პროფესორ ორენჩის აზრით, ოსმალეთის სამხედრო ძლიერებით და სასურველის ძალის გამოყენებით მიღწევის უპირატესობით აიხსნება [11,1]. ხოლო მას შემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერიამ დასუსტება დაიწყო და ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა იძულებული გახდა გადასულიყო, საერთო ევროპულ დიპლომატიურ ფორმაზე, ჯერ ორმხრივ და შემდეგ კი, მუდმივ დიპლომატიაზე [7,82], რასაც თურქი მეცნიერები, ხშირად, გადარჩენის დიპლომატიას უწოდებენ. მიუხედავად ამ მცდელობისა ოსმალეთის იმპერიის რღვევის პროცესი შეუქცევადი გახდა.

თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მიზნით, ოსმალეთის იმპერიაში, შეუშავებულ იქნა ქვეყნის განვითარების თავისებური მექანიზმები, რომელთანაგან ერთ-ერთს დიპლომატია წარმოადგენს, რომლის განვითარების პროცესიც სახელმწიფოს ჩა-

¹ „Ad hoc” ლათინური სიტყვაა და სპეციალური მიზნისთვის განკუთვნილს ნიშნავს. „Ad hoc” დიპლომატია, ანუ იგივე ცალმხრივი/დროებითი დიპლომატია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული პრობლემის მოგვარებისათვის განკუთვნილ, დროებითი ხასიათის მქონე, დიპლომატიური დელეგაციის დაკომპლექტებას გულისხმობს.

Tuncer H., “Tarihte ve Günümüzde Ad Hoc Diplomasi”, <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/99878>

მოყალიბების პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა. იმპერია, თავიდან, დაარსების პირველ წლებში, შედარებით მოკრძალებულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, ხოლო XV საუკუნის შუა ხანებიდან უკვე გაძლიერებული იმპერიის დიპლომატია, როგორც სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და შენარჩუნების ერთ-ერთი მექანიზმი, შესაბამის რეჟიმში იწყებს განვითარებას. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სახელმწიფოს დიპლომატიური პრინციპი მოკრძალებული საფეხურიდან, „ქრისტიანულ დასავლეთთან მუდმივი მშვიდობის დაუშვებლობის, პრინციპის საფეხურზე გადადის [13,645]. მეცნიერი თურანი, დიპლომატიის აღნიშნული პრინციპის გამოყენების მთავარ მიზეზად იმპერიის მმართველ ზედა ფენების დასავლეთთან მიმართებაში უპირატესობის განცდას ასახელებს [14,58]. აღნიშნული დიპლომატიური მეთოდის განმარტებისათვის პროფესორი ქარაგიოზი „ცივილიზაციური უპირატესობის არ აღიარების“ ტერმინს იყენებს, მისი აზრით, ძლიერი ოსმალეთი ცივილიზაციურად უფრო მაღლა მდგომ ევროპას თავის საპირწონედ არ მიიჩნევს და „თავის არიდების,“ მეთოდს იყენებს [6,174].

ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთთან მიმართებაში აღნიშნული დიპლომატიური მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით თურქ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერი სავაში განმარტავს, რომ თავდაპირველად, ოსმალეთის იმპერია ევროპასთან ურთიერთობებში ცალმხრივ დიპლომატიის პრინციპს იყენებდა შესაბამისად, ევროპაში – დიპლომატიური წარმომადგენლობა – ელჩობა არ გაუგზავნიდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოსმალეთში დიპლომატია თანამედროვე გაგებით ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ამის დასტურად კი დიპლომატიაში – თანაბარ პირობებში მოლაპარაკების პრინციპის ასახელებს. უნდა არსებობდეს ელჩი, რომ არსებობდეს მოლაპარაკება, წინააღმდეგ შემთხვევაში დიპლომატია ვერ იარსებებს [13,10]. ამის საწინააღმდეგოდ მეცნიერი სანდერი თვლის, რომ ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის განსაზღვრისთვის საჭირო არ არის საგარეო ასპარეზზე ქვეყნის წარსადგენად საგარეო მესვეურების არსებობა. ის თვლის, რომ მიუხედავად დიპლომატიური წარმომადგენლობის არ არსებობისა, ოსმალეთი მაინც აწარმოებდა წარმატებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს [12,20]. მეცნიერი აშკარად ცდილობს გაამართლოს ქვეყნის იმდროინდელი დიპლომატიური სისტემა და საკითხს სუბიექტურად უდგება. რაც რა თქმა უნდა არასწორია.

XVII საუკუნიდან ოსმალეთი კარგავს თავის ძლიერებას და იმპერიაში იწყება დადმასვლის პერიოდი. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოსმალეთს უწევს ევროპის წინაშე თავის დახრა, რაც პირდაპირ ასოცირდება ქვეყნის დიპლომატიის განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია 1606 წლის ჟიტვატოროკის ზავი². ეს უკანასკნელი ოსმალეთის დიპლომატიის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდის დასაწყისად ითვლება. ზავის პირობებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ოსმალეთი იძულებულია შეცვალოს საგარეო პოლიტიკური კურსი და ცალმხრივი დიპლომატიის საფეხურიდან უფრო კომ-

²1592-1606 წლებში მიმდინარეობდა ოსმალეთ – ავსტრიის ომი. ოსმალეთი, რომელიც პარალელურად, აღმოსავლეთში, ირანის წინააღმდეგაც ომს აწარმოებდა მიხვდა, რომ ერთდროულად ომის ორ ფრონტზე (დასავლეთით – ავსტრიასთან, აღმოსავლეთით – ირანთან) წარმოება შეუძლებელი იყო, ამიტომაც დაინტერესებული იყო ავსტრიასთან ზავის დადებით. 1606 წლის 11 ნოემბერს ჟიტვატოროკში (უნგრეთი) მხარეებს შორის დაიდო ზავი. სულთანმა უარი თქვა ავსტრიისგან ყოველწლიური ხარკის (30 ათასი დუკატის ოდენობით) აღებაზე. სწორედ ამ ხელშეკრულებაში აისახა ოსმალეთის საგარეო პოლიტიკური ძლიერების დასუსტება, შეჩერდა მისი წინსვლა ცენტრალური ევროპისაკენ. იხ. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია 1299-2000, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007, გვ. 191-192.

პრომისულ/დათმობითი ხასიათის საფეხურზე გადადის [11,1]. აქვე უნდა აღინიშნოს, მეორე გარდამტეხი მოვლენა, კერძოდ 1699 წლის კარლოვიცის ზავი³, რის შემდეგაც ოსმალეთმა, ყველა მიმართულებით, აშკარა, უკუსვლა დაიწყო. თურქი მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ აქედან მოყოლებული, ოსმალური დიპლომატია კარგავს არა მხოლოდ პრესტიჟს საგარეო ასპარეზზე, არამედ ტერიტორიებსაც და იძულებული ხდება აღიაროს ევროპის სახელმწიფოთა უპირატესობა [9,676].

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად დანაკარგისა ოსმალეთი ევრევე არ გადასულა თავდაცვით პოლიტიკაზე. თურქი მეცნიერები ამის დასტურად, 1711 წელს, პრუტის ბრძოლაში, რუსების წინააღმდეგ მოპოვებულ გამარჯვებას ასახელებენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ოსმალეთი, გაერთიანებული ვენეციური და ავსტრიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხდება და ხელს აწერს პოჟარევაძის საზავო ხელშეკრულებას (1718)⁴, იძულებული ხდება პირველად, ოფიციალურად, აღიაროს დასავლეთის უპირატესობა, რის შემდეგაც ევროპაში დროებითი ელჩობის გაგზავნას იწყებს [18,115]. აღნიშნული მოვლენა ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დასაწყისად ითვლება, რომელიც XVIII საუკუნის 90-იან წლებამდე გაგრძელდა, ხოლო მას შემდეგ რაც, სულთან სელიმ (1789-1807) მესამის ინიციატივით ევროპაში არსებული დროებითი საელჩოები მუდმივ საელჩოებად გადაკეთდა ოსმალეთის დიპლომატია, ოფიციალურად, ორმხრივი დიპლომატიური საფეხურიდან მუდმივზე გადავიდა. [18,116], სულთან სელიმის მესამის მიერ დაწყებული ეს პროცესი ვენის კონგრესამდე (1815) გაგრძელდა და 1818 წელს საერთაშორისო დიპლომატიის ძირითადი წესების და დებულებების განმსაზღვრელი Aix la Chapelle-ს (1818 წელს ქ. აახენში, საღვთო აღიანისის პირველი დიპლომატიური კონფერენცია) ხელშეკრულების მიღებამდე გაგრძელდა [18,117]. ამიერიდან, ოსმალეთმა, მთელი ევროპის მსგავსად, საერთაშორისო დიპლომატიის რეგულაციები მიიღო და გაითავისა [11,10].

ოსმალურ დიპლომატიაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ იმპერია ცალმხრი-

³1699 წლის 26 იანვარს კარლოვიცში დაიდო ზავი. მხარეები: ერთის მხრივ, ოსმალეთი, მეორეს მხრივ, „წმინდა ლიგაში“ შემავალი ქვეყნები: ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და რუსეთი. ხელშეკრულებით ოსმალეთმა პირველად დაკარგა მთელი რიგი დაპყრობილი ტერიტორიები. ქვეყნებს, რომლებიც ადრე ოსმალეთს სხვადასხვა სახით უხდიდნენ გადასახადს (ხარაჯა), უნდა შეეწყვიტათ მისი გადახდა. რუსეთმა კონფერენციაზე ვერ შეძლო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადება, საბოლოოდ, 1700 წლის 3 ივლისს, სტამბოლში, დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ხელშეკრულებით, პირველად, ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში რუსეთმა მიიღო უფლება პყლოდა თავისი ელჩი სტამბოლში. 1702 წელს რუსეთის პირველი ელჩი გოლსტოი სტამბოლში ჩავიდა. კარლოვიცისა და სტამბოლის ხელშეკრულებებით პირველად მოხდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების განაწილება ევროპის სახელმწიფოების მიერ. ეს იყო ოსმალეთის პირველი საერთაშორისო დანაწილება. დაიწყო ევროპიდან თურქების განდევნის ხანგრძლივი პროცესი. საბოლოოდ შეჩერდა ოსმალეთის წინსვლა ევროპაში და დაიწყო ოსმალეთის „უკან დახევის პერიოდი“, რომელიც 1921 წლამდე გაგრძელდა. იხ. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია 1299-2000, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007, გვ. 222-223.

⁴1718 წლის ივნისში, სერბიის ქალაქ პოჟარევაძეში, დაიწყო საზავო მოლაპარაკება. მხარეები: ოსმალეთი, ავსტრია და ვენეცია. წარმოებული ომის შედეგად ოსმალეთმა მარცხი განიცადა, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება. ის იძულებული გახდა დაედო საზავო ხელშეკრულება. იხ. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია 1299-2000, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007, გვ.232

ვი დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებისას ამა თუ იმ სახელწიფოსთან მიმართებაში გამოიყენებდა რელიგიურ და პოლიტიკურ მიდგომებს, რისი ნათელი მაგალითიცაა სახელმწიფოთა კვალიფიკაცია მუსლიმური თუ არამუსლიმური, სუნიტური თუ შიიტური, კათოლიკური თუ პროტესტანტული ნიშნის მიხედვით. ოსმალური დიპლომატიური ტრადიციების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ისეთმა ცნებებმა როგორიცაა: დარულ ისლამი (darülislam), დარულ ჰარბი (darülharb), ემანი (eman) და აჰიდ ნამე (ahidname) [11,68].

ოსლამური სამართლის მიხედვით, მიწები, სადაც არ არის ომი და სუფევს მშვიდობა დარულ ისლამად იგივე ისლამის ქვეყნად იწოდება, ხოლო მიწები, სადაც არ სუფევს ისლამი იწოდებოდა დარულ ჰარბი იგივე ბრძოლის ველი. ამ ორ სამყაროს -დარულ ისლამსა და დარულ ჰარბს შორის დაპირისპირება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ დასრულდება, როდესაც მთელი კაცობრიობა ისლამს მიიღებს. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება მუსლიმურ და ქრისტიანულ სახელწიფოებს შორის მშვიდობის მიღწევა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ტერიტორიების გაფართოების ფონზე დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების ზრდამ თავისი შედეგი გამოიღო და ზემოთ ხსენებლ ორ ცნებას შორის ჩნდება ახალი, გარდამავალი ცნება დარულ სულჰი (darüssulh – მშვიდობიან შეთანხმებას გულისხმობს), რომელმაც მნიშვნელოვანი გარდამტეხი როლი შეასრულა მუსლიმურ და ქრისტიანულ სამყაროს შორის ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში [11,71].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნემდე, ვიდრე ოსმალეთი მუდმივი დიპლომატიის საფეხურზე გადავიდოდა, იმპერიის დიპლომატიურ ტრადიციაში, ძირითად პრინციპად ემანის სისტემა ითვლებოდა, რომელიც დარულ ისლამის და დარულ ჰარბის განუყოფელი ნაწილი იყო. სიტყვა ემანე არაბული „ემნ,-იდან მოდის და უსაფრთხოს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ემანეს სისტემა (ნებისმიერი ქვეყნის მიერ ისლამური ქვეყნისადმი დანებების შემთხვევაში) უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფას გულისხმობს. [11, 71-72].

ოსმალეთის დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს აჰიდ ნამე წარმოადგენს, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ემანეს. ისლამური სამართლის პრინციპზე დაფუძნებული აჰიდ ნამე – ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი ხასიათის მქონე ტექსტის გაფორმებას გულისხმობს. ის, არ წარმოადგენს მხარეების მიერ ხელმოწერილ ორმხრივ დოკუმენტს და არ ითვალისწინებს ურთიერთპასუხისმგებლობას. აჰიდ ნამე, უცხო სახელმწიფოსათვის ცალმხრივად შემუშავებულ, სამშვიდობო ურთიერთობების განმსაზღვრელი პირობების და სავაჭრო პრივილეგიების შემცველ ტექსტს წარმოადგენს. თურქი მეცნიერების აზრით, მიუხედავად აჰიდ ნამეების ცალმხრივობისა მათ, დიდი როლი ითამაშეს ოსმალეთის დასავლეთთან პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების და დიპლომატიის ინსტიტუციონალიზაციის საქმეში [11, 72].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალეთი სამხედრო იმპერიას წარმოადგენდა, შესაბამისად, თავდაპირველად, სამხედრო სფეროს უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე დიპლომატიას. სამხედრო ძლიერება და უპირატესობა ოსმალეთს, ძალის გამოყენებით, სასურველის მიღების უპირატესობას აძლევდა. იმპერიაში დიპლომატია განიხილებოდა არა, როგორც მშვიდობიანი მოლაპარაკებების საშუალება, არამედ როგორც კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა სამხედრო ჩარევის გზით. მაგრამ მას შემდეგ, რაც იმპერიამ თავისი სამხედრო ძლიერება დაკარგა იძულებული გახდა, გადარჩენისთვის, დიპლომატიის გზას დაედგმოდა. როგორც მეცნიერი სანდერი [12,154] აღნიშნავს, “იარაღი ჩაანაცვლა დიპლომატიამ”, ამიერიდან ოსმალეთი გა-

დარჩენის და არსებულის შენარჩუნების მიზნით საშინაო და საგარეო ასპარეზზე ძალთა წონასწორობის პოლიტიკაზე გადადის [2,450]. ქვეყნის მმართველი ფენების მიერ, ქვეყნის შიგნით შექმნილი რთული ვითარების მოსაგვარებლად, გარე სამყაროსგან დახმარების ძიება, თანხმობის რეფორმები, იანიჩართა კორპუსის მოსპობა, სამხედრო-ლენური სისტემის ლიკვიდაცია, ევროპული სახელმწიფო სისტემის მიღება, ევროპული ტიპის სამინისტროების შექმნა დიპლომატიის განვითარების გზაზე გადადგმული პროგრესული ნაბიჯებია. სწორედ, ამ პერიოდს უკავშირდება დიპლომატიის, როგორც დარგის ჩამოყალიბების პროცესი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქმნება (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან მიმოწერის და ურთიერთობების გაადვილების მიზნით) სათარჯიმნო ბიუროები [7,85].

სწორედ სელიმ მესამის პერიოდში, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც სულთანი რეფორმატორი, დასავლეთთან დაახლოების მიზნით დაიწყო ევროპის დედაქალაქებში მუდმივი წარმომადგენლობების – საელჩოების გახსნის პროცესი, რაც ორმხრივი დიპლომატიის⁵ საფუძვრიდან მუდმივ დიპლომატიაზე გადასვლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს [15,50]. ოსმალეთის იმპერიის პირველი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა – საელჩო, 1793 წელს, ინგლისში გაიხსნა, პირველი მუდმივი ელჩი კი, იუსუფ ალა ეფენდი (მისიის პერიოდი: 1793-1796) გახდა [10,240]. მუდმივი საელჩოები გაიხსნა აგრეთვე ბერლინში (1795), პარიზში (1796) და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიპლომატიურ მისიაში მყოფი ელჩების მიერ დაწერილი სეფარეთ ნამეები (ელჩობის წიგნი). მასში აღწერილი იყო ცნობები ევროპული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შესახებ. სწორედ, სეფარეთ ნამეები გახდა, შემდგომში, ოსმალეთის იმპერიაში, რეფორმების ინპროვიზაციის წყარო [1,262].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის იმპერია გარე სამყაროსთან მმართველაში წონასწორობის შესანარჩუნებლად დიპლომატიურ ურთიერთობებს სავალდებულოდ და საჭიროდ მიიჩნევდა. აღნიშნულ პერიოდში (მაგ. 1878 წლის ბერლინის კონფერენცია) კი, დასუსტებული ოსმალეთის დიპლომატია მინორულ დონეზე იდგა [4,172]. მეცნიერი გირგინი აღნიშნავს, რომ სამხედრო ძლიერების გარეშე დიპლომატიას არანაირი ძალა და მნიშვნელობა არა აქვს. მისი აზრით, ოსმალური დიპლომატია პირველმა მსოფლიო ომმა დაასრულა. სწორედ, ამ ომში, სამხედრო თვალსაზრისით ჩამოშლილი იმპერიის დიპლომატიამ სრული კოლაფსი განიცადა [5,13].

ამრიგად, თუ დავეთანხმებით რეასლისტების მიდგომას, სადაც საგარეო პოლიტიკური წარმატება და მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი დიპლომატიური ურთიერთობები შიდა პოლიტიკური წარმატების პირდაპირპროპორციულია, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად, საშინაო ასპარეზზე, ძლიერი ოსმალეთი შესაბამის საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, ხოლო მოგვიანებით, ქვეყნის შიგნით არსებულმა რთულმა მდგომარეობამ ის, საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

⁵ ოსმალეთის იმპერიის მიერ არჩეული ცალმხრივი/დროებითი დიპლომატიური კურსის წარმოებისას, აჰმეთ III (1703-1730) სულთნობის პერიოდში, კერძოდ კი, 1720 წელს, პარიზში, გაგზავნილ იქნა პირველი დროებითი ელჩობა – მეჰმეთ ჩელები ირმი სეჟიზის ხელმძღვანელობით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეჰმედ ჩელებმა შეადგინა დეტალური ანგარიში ევროპაში თავისი საქმიანობის შესახებ. ეს უკანასკნელი კი, ოსმალეთის იმპერიისათვის დასავლეთისკენ გახსნილ პირველ ფანჯარად იქცა. იხ. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია 1299-2000, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007, გვ. 234

ლიტერატურა:

1. სვანიძე, მ., თურქეთის ისტორია 1299-2000, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007];
2. Davison R. H., “The Modernization of Ottoman Diplomacy in The Tanzimat Period”, AÜ, Siyasal Bilgiler Fakültesi Dergisi, Ankara, 2000, N:11;
3. Dağ A. E., Uluslararası İlişkiler Ve Diplomasi Sözlüğü, Anka Yayınları, İstanbul, Mayıs 2004;
4. Erdoğan T., “1856 Paris Kongresi- 1878 Berlin Kongresi Arasında Osmanlı Dış Politikası”, Çağdaş Türk Diplomasisi: 200 Yıllık Süreci, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1999;
5. Girgin, K., Osmanlı ve Cumhuriyet Dönemleri Hariciye Tarihimiz, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1994;
6. Karagöz İ., “Osmanlı Devletinde Islahat Hareketleri Ve Batı Medeniyetine Giriş Gayretleri (1700-1839)”, OTAM, Sayı: 6, 1995;
7. Kodaman T., VE Akçay E. Y., Kuruluştan Yıkılışa Kadar Osmanlı Diplomasi Tarihi Ve Türkiye’ye Bıraktığı Miras, SDÜ Fen Edebiyat Fakültesi Sosyal Bilimler Dergisi, Aralık 2010, Sayı:22;
8. Nicolson, H., Diplomasi, İstanbul, Altın Kitaplar, 1970;
9. Odoka H., “Osmanlı Diplomasinin Batılaşması”, Osmanlı, C. I, 1999;
10. Ortaylı İ., Osmanlı’da Milletler Ve Diplomasi, 2. Baskı, Türkiye İş Bankası Kültür Yayınları, İstanbul, 2009;
11. Örenç, A. F., Osmanlı Diplomasi Tarihi, İstanbul Üniversitesi Açık Ve Uzaktan Eğitim Fakültesi, İstanbul, 2010;
12. Sander O., Anka’nın Yükselişi Ve Düşüşü, İmge Kitabevi, Ankara, 3. Baskı, 2004;
13. Savaş, A., İ., “Genel Hatlarıyla Osmanlı Diplomasisi”, Osmanlı, C. I, 1999;
14. Turan N. S., “Osmanlı Diplomasisinde Batı İmgisinin Değişimi Ve Elçilerin Etkisi, (18. Ve 19.Yüzyıllar)”, Trakya Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, C. 5, N: 2, 2004;
15. Tuncer, H., Eski Ve Yeni Diplomasi, Ümit Yayıncılık, Ankara, 2002;
16. Tuncer, H Küresel Diplomasi, Ümit Yayıncılık, Ankara, 2006;
17. Tuncer H., “Tarihte ve Günümüzde Ad Hoc Diplomasi”,
<https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/99878>. (Erişim 14.10.2020);
18. Kurtaran U, Osmanlı Diplomasi Tarihinin Yazımında Kullanılan Başlıca Kaynaklar İle Bu Kaynakların İncelenmesindeki Metodolojik ve Diplomatik Yöntemler Üzerine Bir Değerlendirme, Osmanlı Tarihi Araştırma ve Uygulama Merkezi Dergisi, N: 38, 2015
<http://dergiler.ankara.edu.tr/dergiler/19/2039/21185.pdf> (Erişim 29.11.2020).

**Key Aspects Of The Development Of Diplomacy
In The Ottoman Empire**

Summary

Diplomacy has gone through many complicated but interesting phases especially in Ottoman Empire. Here we describe 3 phases of diplomacy in Ottoman Empire. First “ad hoc” it can be seen in Ottoman military power and its use in achieving the desired goal by using force. After the decline of the Ottoman Empire, when it started losing its territories, all the focus went to bilateral and permanent diplomacy respectively.

სოფელი პაპოშვილები
დასახლების სტრუქტურა და გვარობრივი შემადგენლობა

სოფელი პაპოშვილები ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია შუახევის რაიონში. იგი მდებარეობს მთა ჩირუხისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე. ხალხური გადმოცემების მიხედვით, სოფელი ხშირად გამხდარა თამარ მეფის და მისი ამალის დასასვენებელი ადგილი. აქ გაუფლიათ და მნიშვნელოვანი ინფორმაციები ჩაუწერიათ ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, გიორგი ყაზბეგს და სხვებს.

სოფელი ადმინისტრაციულად შედის შუახევის მუნიციპალიტეტის ოლადაურის თემში. პაპოშვილები მდ. ჩირუხისწყლის მარცხენა ნაპირზეა გაშლილი და ზემოდან ამაყად გადაჰყურებს გამონათლევის ეკლესიას. მდ. ჩირუხისწყალი პაპოშვილებს გამოყოფს სოფ. ჯუშუშაურისაგან. ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელს ესაზღვრება სოფ. მახალაკიძეები, სამხრეთიდან – ხიხანისწყლის ქვაბული – ისტორიული სხალთის მონასტერი.

ადრე სოფელი პატარა დასახლებას წარმოადგენდა. გადმოცემით სოფელში თავდაპირველად 9 კომლი ცხოვრობდა. 101 წლის ფ. ფუტკარაძის გადმოცემით “ჩემს ჯგუფობაში პაპოშვილებში 9 კომლი ცხოვრობდა, სოფელი გაიზარდა, ფრთა გაშალა, მომცრო ვაკეზე ვეღარ დაეცია და რაოდენიმე ოჯახმა მალდა მთის თხემზე, კოროჭის უბანში აინაცვლაო“. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ახალ უბანს **გორი** ეწოდა, რადგან იგი ზღვის დონიდან 1270 მეტრის სიმაღლის მთის მაღალ ბორცვებზეა შეფენილი. გადმოცემით უბნის ისტორია ერთ საუკუნეს ითვლის. სოფელში ფუნქციონირებს ორი საჯარო სკოლა – სპორტული დარბაზით, ორი მედპუნქტი და კულტურის სახლი. სოფელში ფუნქციონირებს აგრეთვე ორი ბიბლიოთეკა. მათგან ერთი სკოლის გახსნისთანავე აიგო, ხოლო მეორე მოგვიანო პერიოდში – დეაწლმოსილი პედაგოგის ეკატერინე ნინიძის ძალისხმევითა და მონდომებით.

პირველი სკოლა პაპოშვილებში გაიხსნა 1935-1936 წლებში. იგი უკავშირდება სოფლის ღირსეული მკვიდრის – მოედინ ფუტკარაძის სახელს. მან სკოლას საკუთარი საცხოვრებელი სახლის ორი ოთახი დაუთმო. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: აქესენტი დარსაველიძე, დიომიდე ტვაღავაძე, ნიკოლოზ ბადათურია და ლოლა კაკაბაძე. 2005 წელს იგი ცხრწლიან სკოლად გადაკეთდა, რაშიც დიდი წვლილი – სოლომონ ფუტკარაძეს მიუძღვის.

მეორე სკოლა (დაწყებითი) კი გორის უბანში გაიხსნა 1939-1940 წლებში – ბაირამად ფუტკარაძის ინიციატივით. სასკოლო შენობის აგებამდე ბაირამად ფუტკარაძემ სკოლისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც საკუთარ საცხოვრებელ სახლში გამოყო სასწავლო და საცხოვრებელი ოთახები. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: შალვა ღაღანიძე, ვარლამ გახოკია, აბდულ ქედელიძე, ლუბა კორიფაძე. 2011-2012 წლებში იგი ცხრწლიან სკოლად გადაკეთდა.

პაპოშვილები ორ უბნადაა დასახლებული. შესაბამისია კულტურული თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. სოფელში ამჟამად არის ლაზი ხელოსნების მიერ აშენებული მოჩუქურთმებული ორი მეჩეთი, რომლებიც ინახავენ ოსმალთა ბატონობის მტკივნეულ ისტორიას. სოფლის მახლობლად, გამონათლევში 2005 წელს აიღო ეკლესიაც.

ტოპონიმ „პაპოშვილების“ სახელწოდება უკავშირდება სოფლის სახელოვან წინაპარს – „პაპას“, რომლის შთამომავლებსაც – პაპი(ს)შვილები, ხოლო სოფელს პაპოშვილები ეწოდება.

პაპოშვილები შემდეგი უბნების სახითაა წარმოდგენილი:

1. **კოსოლი** – ეტიმოლოგიურად მომდინარეობს „სოლისგან“ (სოლი – სამკუთხა რკინის (ხის) იარაღი, რომელსაც ქვისა და ხეების გასახლეჩად იყენებენ, კოსოლიც გეოგრაფიულად მდებარეობს სამკუთხა ფერდობზე) (დ. ფუტკარაძე, საველე დღიური, 2019 წელი მოხრობელი მ. ფუტკარაძე)
2. **კატნარი** – უბანი გამოირჩეოდა კატების სიმრავლით, ამიტომ მოსახლეობამ მას კატნარი უწოდა.
3. **ასავალი** – აღნიშნულ უბანში ხშირი იყო სპორტული აქტივობებია, აქ მეზობელი სოფლებიდან იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გადმოცემით ერთ-ერთი მონაწილე მოწინააღმდეგეს გაქეჯიბრა: ამ ასახიდ ორძელზე „მე შენზე მეტს „ასს ავალო“. თუმცა შედეგი კრახით დასრულდა. მას შემდეგ აღნიშნული უბანი ამ სახელ ატარებს, გადმოგვცემენ სოფლის უხუცესი ადამიანები;
4. **გორგოშაური (ღორღოშაური)** – ამ ტერიტორიაზე მოიპოვებოდა შავი შეფერილობის ქვა-ღორღი;
5. **წიფლნარი** – ეს უბანი წიფლის ტყის განაპირა მდებარეობის გამო;
6. **ავაზნის დელე** – ამ დელეში იყო წყლის ერთგარი რეხერეუარი-ავაზანი, საიდანაც სოფელი მარაგდებოდა წყლით;
7. **ცხენის საძვარი (საძვარი)** – ვრცელი ტერიტორია, სადაც მოსახლეობა საქონელს აძოვებდა, მათ შორის ცხენებს.

პაპოშვილები ძირითადად ფუტკარაძეებითაა დასახლებული. გადმოცემით ფუტკარაძეთა წინაპრები მახლობელი სოფლიდან – დღვანიდან, დღვანში კი მაჭახლის ხეობის სოფელ საფუტკრეთიდან ამოსულან, თუმცა „ერთი წარმომავლობის არ არიან, ზოგის გვარი სხვა ყოფილა, მაგრამ ფუტკარაძეებად დაწერილან“, მოგვითხრობს რესპონდენტი.

ადგილობრივების ცნობით, ფუტკარაძეთა გვარის ფუძედ გამოყენებულია მწერის სახეობა – ფუტკარი. გვარის თავდაპირველი ფორმა იყო მეფუტკრისძე, რაც დაფიქსირებულია გვარი XVI-XVII საუკუნის შესანიშნავ წერილობით დოკუმენტში „ტბეთის სულთა მატინე“. ფუტკარაძეები ცხოვრობენ ზესტაფონში, ვანში, გურიაში, გორში, ღეჩხუმში, კახეთსა და ქართლის რეგიონებში, ასევე თურქეთში (ბორჩხის რაიონის სოფლებში: ტრაპენში, თხილაზოში, იმერხევის ხეობაში, ხოლო მუჰაჯირობის დროს გადასახლებულები: ბურსაში, ინეგოლში, იზმირში, ადაბაზარში და სხვაგან).

სოფლის ყველაზე მრავალრიცხოვანი საგვარეულო – ფუტკარაძეები წარმოდგენილია სხვადასხვა შტო-გვარების, კერძოდ: **ფეჭლივანოღლების** (ოსმალთა ბატონობის დროს სოფელში შემოსულა ოსმალო ვაჭარი, რომელიც განთქმული მოჭიდავე ყოფილა. მაშინ არსებული წესის შესაბამისად მისთვის ან კაცი უნდა მიეგვარათ საჭიდაოდ, ან საფასური გადაეხადათ. მოჭიდავეს მოუთხოვია: „ან ხასნი ან ხარჯიო“. მაშინ გამოუყვანიათ სოფლის ძლიერი ახალგაზრდა, მაგრამ იგი დამარცხებულია თურქთან შერკინებაში. პაპოშვილებლებს ჭალაში სამუშაოდ წასული ბაბუა ემინისათვის უთხოვიათ: „თურქს დაეჭიდე და საფასურისგან გაგვათავისუფლეო“. ემინი წამოუყვანიათ სათიბიდან, სამი დღე დაუსვენებიათ და დამწვარი კარაქი დაუღვინებიათ.

ემინ ბაბუას თურქი დაუმარცხებია. შესაბამისად, შთამომავლობას ისინი შემორჩნენ „ფეჰლიფ-ოდლები“ // ფალაენის შვილების სახელით) (ნ.ფუტყარაძე „მათი ღვაწლი დასაფასებელია“ 2017წ), **ჰაჯიოდლების (დაკავშირებულია მექაში სამლოცველო მოგზაურობასთან), ქექეჯოდლების (ქექეჯი – ადამიანი, რომელიც გამართულად ვერ საუბრობს, ენაბლუ), ომაროდლების (საკუთარი სახელი ომარის მიხედვით) და ქოსიოდლების (ქოსა – უთმო, უწვერო წინაპრიდან წარმომავლობის აღმნიშვნელი) სახით (ქართულ-ლაზური ლექსიკონი, თ, 1940:347)**

მეორე გვარი, რომელიც პაპოშვილებში დამკვიდრდა, დიასამიძეა. მათი რაოდენობა ოთხ კომლს შეადგენს. ისინი ღურღუთის სერის დადავმა მხარიდან – მომწვრიდან ჩამოსახლებულან. სოფელში ცხოვრობს აგრეთვე ბარამიძეთა ერთი ოჯახი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას სოფელ ყინჩაურს უკავშირებენ.

წყაროები და ლიტერატურა

1. ნ. ფუტყარაძე, მათი ღვაწლი დასაფასებელია, 2017;
2. ქართულ-ლაზური ლექსიკონი, თბ, 1940;
8. დ. ფუტყარაძე, საველე დღიური, 2019 წელი მთხრობელი მ. ფუტყარაძე.

Data Phutkaradze

The village of Paposhvilis Settlement structure and family composition Summary

The paper deals with the history, daily life, life and culture, general ethnic peculiarities and local specifics of one of the most distinguished village of Georgia – Paposhvilis.

**ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში
XX საუკუნის 20-იან წლებში**

რუსეთის 1917 წლის 17 თებერვლის რევოლუციამ, მეფის ტახტიდან გადადგომამ და დემოკრატიული პროცესების განვითარებამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი ჩაუსახა. ქართველმა თავადაზნაურებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს. სანდრო შანშიაშვილი მიესალმა რუსეთში რევოლუციის გამარჯვებას შემდეგი სიტყვებით: „დღეს, შენ მხიარულობ თავისუფლებით, რომელიც მე ადრე მომისპე. დღეს შენ ეძიებ შენის სამშობლოს სახელს და დიდებას, რომელიც მე მქონდა და მომისპე. დღეს შენ იბრძვი და მაბრძოლებ სამშობლოსთვის, რომელიც მეც მაქვს და დღეს შენ გეკუთვნის. მე მინდა ჩემი სამშობლო გათავისუფლდეს, რომ თავისუფალმა უფრო მხარი მოგცე, მეც მინდა თავისუფლად ვისუნთქო, რომ სიცოცხლე შემრჩეს და დაგეხმარო. მეც მინდა ჩემი რჯული და ენა მქონდეს, მინდა შენი ერის მსგავსად ჩემი ერიც ჩემს მამულში ხელმწიფებდეს, რომ ღირსეულმა ღირსეულად პატივი გცე. მაშ დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალმა თავისუფლება, დამიბრუნე მამულით ბედნიერმა, მამულის ბედნიერება, დამიბრუნე საქართველო და მაშინ, მხოლოდ მაშინ უფრო გიწამებ“.

1917 წლის 7 მარტს გაზეთ “საქართველოში” დაიბეჭდა მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „გაფრთხილებთ ქართველებო! ამ საერთო გატაცების დროს, როდესაც აზრი-გონების ცივი მსჯავრი და ანალიზი ანთებული გრძნობის აღსა და პარპალში არ მოსჩანს, ჩვენი ეროვნული შეგნების უზენაეს მოვალეობად ვთვლით მოგიწოდოთ და გითხრათ: რუსეთში დღეს რომ ახალი მთავრობა დამყარდა, ამისთანა და ამაზე უფრო რადიკალი და მემარცხენე მთავრობანი ყოფილან და არიან ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ამ მთავრობებს არ დაუნდვიათ ჩვენსავით ქვეშევრდომი პატარა ერები. მაგალითები ჰკითხეთ ისტორიულ სინამდვილეს! რა ჩაიდინა ინგლისმა ირლანდიისა და ინდოეთის მიმართ. რა ჰქნა გერმანიამ პოლონეთის მიმართ. ამიტომაც რუსეთში ახალი მთავრობის გამეფება იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო ეროვნული უფლებით შეიმოსება და თავისუფლებას დაიბრუნებს. ისტორია არ გვაძლევს ამ ხრივ საბუთს, რომ ვენდოთ. საქართველოს აღდგენა, მისი ეროვნული თავისუფლება მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლის მიზანია“.

1916 წლის 2 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქის ერობაში, გუბერნიის ერობის უფლებით შეიყვანეს ოზურგეთის მაზრა იმ მოტივით, რომ ოზურგეთის რაიონი თავისი სასოფლო სამეურნეო კულტურებით და სამეურნეო ინტერესებით ახლოს იდგა ბათუმთან. საქართველოს ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოსაზღვრე უძველეს კუთხეებს გურიას და აჭარას აერთიანებდა ერთიანი ისტორია, საერთო ეკონომიკა და კულტურა. მოგვიანებით, 1924 წლის 23 ივლისს ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის მცირე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ოზურგეთის მაზრაში, კერძოდ ქორის ბუდეში აჭარლების ჩამოსახლების და მიწერის შესახებ [ახს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 34, ფ. 30]

1918 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გარნიზონის ოფიცერთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეღოთ მონაწილეობა, როგორც რუსეთის ისე თურქე-

თის აგრესიისგან ბათუმის დასაცავად. ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკებთან მოლაპარაკების საფუძველზე ბათუმში შეიქმნა სახიფათო მდგომარეობა. კრებამ ოფიცრებს მოუწოდა გაეწიათ ხელმძღვანელობა მებრძოლი რაზმებისთვის, რომლებიც იგზავნებოდა ბათუმის დასაცავად [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 20, ფ. 170]

1918 წელს გურიასა და აჭარაში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტის წევრები, რომლებიც პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ხშირად გადაადგილდებოდნენ ოზურგეთში, სადაც იმართებოდა საიდუმლო შეხვედრები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შესადგენად. ახლახან პროფესორმა თამაზ ფუტყარაძემ ჟურნალ „არხეონში“ დაბეჭდა საინტერესო საარქივო დოკუმენტური მასალა ცნობილი ლოტბარის, ნესტორ ერქომაიშვილის შესახებ. 1905 წლიდან ნესტორ ერქომაიშვილი ანტონ კვაშალთან, პორფირე ჩხაიძესთან, სერაფიონ დათუნაიშვილთან, ილარიონ მენაბდესთან ერთად ჩართული იყო ანტირუსულ მოძრაობაში. ნასაკირალზე, ალიხანოვ-ავარსკის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, მისი ოჯახი გაამწარეს. 1905 წელს ნესტორ ერქომაიშვილმა იარაღი აჰყარა შვიდ „გოროდოვოს“. ესენი იყვნენ: რაჟდენ ჯიქია, კრაფჩენკო, და სხვა. ნესტორ ერქომაიშვილს ბენია ჩხიკვიშვილთან, რაფიელ ჩიხლაძესთან, ნოე ხომერიკთან და გიორგი ცინცაძესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის „გურიის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბებაში [თამაზ ფუტყარაძე, 2020]

ნესტორ ერქომაიშვილისგან კლასობრივი მტრის სახე შექმნეს, რომელთაც მან ღირსეული პასუხი გასცა: „მე თავადაზნაურობიდან გვერდზე გამდგარი, თავადაზნაურობის პასიური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიგებში დამდგარი, გურიელებს დავუწოქებდი და პატიებას შევთხოვდი“ [ასს. ფ. ი-191 ან. 1, ს. 6, ფ. 7].

1919 წელს ნესტორ ერქომაიშვილი მსახურობდა ქართველ მუსულმანთა ბატალიონში, სადაც განაგებდა ბატალიონის სამეურნეო საქმეებს. 1919 წელს მას დაუტოვებია მენშევიკების რიგები, გადასულა ბათუმში და დაუწვია ბრძოლა დენიკინელებსა და სედაი მილეეთელების წინააღმდეგ. ნესტორ ერქომაიშვილი 1924 წლის აჯანყებაშიც ღებულობდა მონაწილეობას. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 1917-1918 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც შედგენილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. საყურადღებოა საქართველოს მუსლიმთა განმანათავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე და სულეიმან დიასამიძე, წერილებისადმი ინტერესს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ იგი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ერვონული კომიტეტის წევრთა 1917-1919 წლების წერილების შინაარსი მიანიშნებს ქართველ პატრიოტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სწრაფვაზე ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ქართველ კაცში იმდენად ძლიერი იყო რუსეთის დესპოტურ, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობის გრძნობა, რომ ზოგჯერ ქვეყნის განთავისუფლების ჟინით შეპყრობილი მამულიშვილნი, ნებსით თუ უნებლიედ უცხო ძალაზე ამყარდნენ იმედს.

ფრანგულენოვანი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანის გააზრებიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მართალია ევროპის სახელმწიფოები დაკავებული იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხით, მაგრამ ზოგჯერ მათი და საქართველოს ინტერესები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რადგან საქარ-

თველოს ძირითად, ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ექსპანსიიდან განთავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის აპრილ-მაისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებული იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მმართველ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქვამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

1918 წლის 11 აგვისტოს ბერლინიდან აკაკი ჩხენკელის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ხელისუფლებასა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ორივე ქვეყანას ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა კავკასიის ფრონტზე საბრძოლველად ქართველი მოხალისეებისგან შექმნა რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ლეგიონი.

თურქეთი სიტყვით აღიარებდა საქართველოსადმი დახმარებას, მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1877 წლამდე არსებული საზღვრების გადახედვას, რაც ქართველი პატრიოტების აღშფოთებას იწვევდა. საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი მუსლიმი ინტელიგენცია სახალხო იდეალების ერთგული რჩება და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის, ამ პერიოდში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი განიცდიდა თურქული პამისლამისტური აგიტაციის გავლენას, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი არასოდეს მდგარა ზოგადად ქართველობაზე მაღლა [ასს. ფ. ი-87 ან. 2, ს. 2, ფ. 31]

ამ პერიოდში რუსეთს არ ეცალა საქართველოსთვის, იგი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური სვლით იყო დაკავებული და დროებით დათმო საქართველო.

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე.ვ. არხიპოვა სტატიაში „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“ მიაჩნებს, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება“ [ე.ვ. არხიპოვა, 2016: 216-224]

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება

უახლესი ისტორიის მკვლევარი ა.ა. მანუხინი სტატიაში „რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები“ აღნიშნავს: მოლოდინი იყო იმისა, რომ 1917 წელს დემოკრატიული რუსეთი გარდაიქმნებოდა ძალად, რომელიც წარმართავდა სამხედრო ქმედებებს [ა.ა. მანუხინი,

2016: 163], მაგრამ სამწუხაროდ მოლოდინი მოლოდინად დარჩა და 1917 წლის 25 ოქტომბრის სამხედრო-რევოლუციური გადატრიალების შედეგად დემოკრატიული რუსეთი შეიცვალა დიქტატორულ რუსეთით.

ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ საუკეთესო პროექტს შეადგენდა რუსეთიდან გამოყოფა და კავკასიის შეერთებული შტატების შექმნა, რაც ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განიხილავდნენ გურიასა და აჭარაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნულ რეგიონებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით უწევდა ფინანსურ დახმარებას. 1918 წლის 14 თებერვალს ალექსანდრე ჯაბადარის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ოსმალებთან ზავზე მოლაპარაკების პროცესს დასწრებოდნენ ქართველი დელეგატები. დელეგატების მიერ გაწეული ხარჯის დასაფარავად გაგზავნილი იქნა 3000 მანეთი. მეორე წერილში ალექსანდრე ჯაბადარი მიუთითებდა, რომ თუ ეს ფული არ იყო საკამარისი, ის მზად იყო დამატებით შემოეტანა თანხა. აღ.ჯაბადარი დაუინებოთ მოითხოვდა ქართველი დელეგატების ოსმალეთში გაგზავნას, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის საფუძვლების მოსამზადებლად.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო სექციის ხელმძღვანელის კოტე მესხის წერილის საფუძველზე, გურიას სამშობლოს დაცვის მიზნით გადაეგზავნა 5000 მანეთი. 1918 წლის 2 თებერვალს სამაჰმადიანო საქართველოს სექციის გამგეს რეჯებ ნიჟარადეს წლიური ხარჯებისთვის წლიურად დაენიშნა 500 მანეთი. საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სოფელ წყავროკას სკოლის ასაშენებლად სამშენებლო კომიტეტს გადასცა 900 მანეთი. საინტერესოა ქალაქ სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების 1918 წლის 20 ივნისის წლიური კრების მიმართვა, რომელიც შეეხება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას და იმ წვლილს, რომელიც გაიღო აღნიშნულმა საზოგადოებამ გურიასა და აჭარაში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სასარგებლოდ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ ერთ-ერთ უმთავრეს და აუცილებელ საქმედ მიიჩნია ერთა განთავისუფლების საკითხი. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხს გამოჰქონდათ დროშები, რომელზეც ეწერა „რუსეთის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“. ამას მოჰყვა რევოლუციის აღრევა, აზვირთვება და ბოლშევიკური გამოსვლები. ამ უკანასკნელის ხელში რევოლუციამ დაკარგა თავისი დემოკრატიული ღირებულებები და გამოიწვია ამიერკავკასიის ერების გამოიჯვნა. რუსეთი ამიერკავკასიას ჰყოფს და „ფეშქაშობს“ (ჩუქება) ოსმალეთის მთავრობას. სამარცხვინო ზავის საფუძველზე საქართველო სამუდამოდ ჩამოშორდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ საქართველოში დამოუკიდებლობის გაძღვრების მიზნით 1917 წელს, მოგებული თანხიდან გამოჰყო 500 მანეთი. ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს, ბათუმში დატოვებული ქართველი მხედრების სასარგებლოდ გადაეცა 200 000 მანეთი, რომელიც დაურიგდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილის ოფიცრებს და ჯარისკაცებს. ამ პერიოდში, თურქეთში განვითარებული მოვლენების შედეგად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთან დამეგობრებულ სომხებსა და ქართველ მუსულმანებს შორის.

1918 წლის 4 მარტს გახეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი სტატია ეხება ბათუმის საკითხით სომხების დაინტერესებას. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია, რომ სომხეთი

ექებს შავ ზღვაზე გასავალ პორტს და მისი ყურადღება ამ ძიებაში შეიძლება ბათუმზე შეჯერდეს. ბათუმის ოლქი მუსულმანებით არის დასახლებული და ეს იზიდავს აზერბაიჯანის პანისლამისტურ წრეებს. ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოს ბათუმთან საკუთარი ინტერესები აკავშირებს. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადამჭრელი სიტყვა საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის. ილია გვმოძღვრავდა, რომ სოციალურთან და ინტერნაციონალურთან ეროვნულსაც ნუ დაივიწყებთ, გახსოვდეთ, რომ ერს მუდმივი მტრები და მეგობრები არ ჰყავს, მას მხოლოდ მუდმივი ეროვნული ინტერესები აქვს. 1919 წლის 7 იანვარს გაზეთ „შრომაში“ აღნიშნული იყო, რომ 1918 წლის საქართველო-სომხეთის ომში სომხებს ინგლისელების იმედი ჰქონდათ და ინგლისელებმა პირველ ხანებში თითქოს გაუმართლეს, მაგრამ საკმაო აქტიუობას ვერ იჩენდნენ. ისინი უფრო სომხების ვექილებად გამოდიოდნენ, ვიდრე შუამავლად ქართველებსა და სომხებს შორის. ინგლისელთა ზეწოლის გამო ქართველებმა დამარცხებული სომხების დევნა შეაჩერეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისთვის ისინი არავითარ ძალას აღარ წარმოადგენდნენ და მათი საბოლოო დამარცხება მეტად იოლი იყო. ასეთი ფაქტი ომის ისტორიაში იშვიათია. ქართველებმა დიდი რაინდობა გამოიჩინეს. 1919 წლის 9 მაისს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ აშუქებს ინგლისელთა დამოკიდებულებას სერვეთების ავანტიურასთან დაკავშირებით. სერვერებე ქობლიანსკის ქმედება ინგლისელებმა შეაფასეს, როგორც ძმათა შორის სისხლისღვრა. ინგლისის მთავრობამ დაატყვევა „ყარსის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა და ამით უზრუნველყო აჭარაში მშვიდობა. 1920 წლის 7 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა დემოკრატიული მთავრობის მიმართვა ბათუმის ოლქის მცხოვრებლებისთვის, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბათუმის დაბრუნებით გაიმარჯვა სამართლიანმა საქმემ. ინგლისმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი სამუდამოდ დაუბრუნდეს საქართველოს. ამ ცნობას აჭარის მოსახლეობა სრული თანაგრძნობით შეხვდა. ამავე დროს ბათუმში ჩამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები: საყვარელიძე, ფირცხალავა, ვეშაპელი. 1920 წლის 1 მარტს ბათუმში გამართულ საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო უბათუმოდ დასახიზრებულ სხეულს დაემსავსებოდა და რომ ბათუმის ოლქი შეადგენს საქართველოს ორგანულ ნაწილს ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, სამრეწველო განვითარებით. საქართველოსთვის ბათუმის გადაცემა მოსახლეობას მიუღოცეს ინგლისის, უკრაინის, ირანის კონსულებმა. 1920 წლის 2 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა, კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარ ოლივერ უორდროპისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1919 წლის 31 აგვისტოს, ბათუმის ოლქის ქართველი მუსულმანების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება და მოითხოვა ავტონომიურ საწყისებზე ბათუმისა და მისი ოლქის შეერთება საქართველოს რესპუბლიკასთან.

1918 წლის 31 მარტს, სომეხთა ნაციონალური საბჭო მოითხოვდა 400 სომეხი ლტოლვილის შესახლებას არმიის მიერ გამონთავისუფლებულ ყაზარმებში. 1918 წლის დეკემბერში დაწყებულ საქართველო-სომხეთის ომს წინ უძღვოდა შეტაკებები სომხებსა და ქართველ მუსულმანებს შორის. ქართული ნაციონალური საბჭო აღშფოთებას გამოთქვამდა ენშიაძინის მაზრაში, კარხუნის დასახლებაში არსებული სომეხი ლტოლვილების სოფელ აუხაილოში მცხოვრებ მუსულმან ქართველებზე თავდასხმის გამო. ქართული ნაციონალური საბჭო სომხებს მოუწოდებდა ძმათა მკვლეელი ომის შეწყვეტისა და წესრიგის აღდგენისკენ [ახს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 18, ფ. 63]

1918 წლის 30 მარტს თბილისში, სომეხთა ნაციონალურ საბჭოში გამოცხადდა 4 სომეხი და განაცხადეს შემდეგი: ბრონირებული მატარებელი № 3-ით, რომელიც იარაღით იყო დატვირთული, სომეხები ბრუნდებოდნენ რუსეთიდან სამშობლოში. ქალაქ ფოთთან სომეხებს იარაღის ჩაბარება მოთხოვეს, რაზედაც უარი განაცხადეს და ცეცხლი გახსნეს. შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მუსულმანი ქართველების მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ ახალქალაქელი სომეხები. ახალქალაქში სომეხები თავს დაესხნენ მემედ ალის ძე ფალავანდიშვილის ოჯახს, ტყვედ აიყვანეს ოჯახის წევრები, გაიტაცეს ქონება და იძალადეს ქალებზე, ქართული ეროვნული საბჭო სომეხებისგან კატეგორიულად მოითხოვდა ოჯახის სასწრაფოდ განთავისუფლებას და ქონების დაბრუნებას [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 18, ფ. 7]

1918 წელს ქართველ მუსლიმანთა კომიტეტის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე წუხილს გამოთქვამდა ტრაპეზუნდში მცხოვრებ ქართველ მუსულმანთა არსებული მდგომარეობის გამო, კერძოდ საუბარია იმ მიმე მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდნენ ქართველი მუსულმანები, სომეხი საჯარისო შენაერთების შოვინისტური გამოსვლების გამო. საჯარისო შენაერთებს ხელმძღვანელობდა სურენ ტიგრანისძე უჩინჯიანი. ჩვეულებრივი მოვლენად იქცა ქართველი მუსულმანი მოსახლეობის ძარცვა, მკვლელობა. განსაკუთრებულ შემოფოთებას გამოთქვამდნენ ზღვის სანაპიროზე მომხდარი ფაქტის გამო. სომეხი ჯარისკაცები არ აძლევდნენ ზღვის სანაპიროზე მოკლული 4 მუსულმანი მენავის დამარხვის უფლებას [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 18, ფ. 115].

1918 წლის 31 მარტს, ქართული ნაციონალური საბჭო სომხურ ნაციონალურ საბჭოს სთხოვს ზაქათალას ოლქიდან სომეხების გაყვანაში დახმარებას. ზაქათალას სომეხ ქალთა კავშირმა მიმართვა გაუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მზადდება სომეხების გენოციდი. ჰუმანური პოზიციებიდან გამომდინარე, სომეხ ქალთა კავშირი ქართველებისგან მოითხოვს აგრესორებისგან მათ დაცვას და სომეხი ხალხის გადმოსახლებას ზაქათალას ოკრუგიდან საქართველოში [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 18, ფ. 74]

1918 წელს ოსმალები ბათუმს ისევ დაეპატრონენ. ოსმალების მზაკვრულ გეგმებს კარგად ხსნის 1918 წლის 4 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი წერილი „ბათუმის და ყარსის ბედი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ოსმალეთის გაბატონებლ წრეებს ამიერკავკასიის სიმდიდრე იზიდავს და ამიტომ ბათუმისა და ყარსის ხელში ჩაგდებათ ისინი ორ კურდღელს იჭერენ. როცა ამ სიმაგრეებს მიიღებენ, კავკასიის ქედისკენ გზა გაეხსნებათ და ამ ქედს დაიღებენ საზღვრად, რითაც ერთი მხრივ რუსეთს კიდევ უფრო გააძლიერებენ და მეორე მხრივ ამიერკავკასიის მიწა-წყალსაც დაეპატრონებიან. ამიტომ ბათუმის და ყარსის დაკარგვა ჩვენთვის ნიშნავს მთელი ამიერკავკასიის ოსმალეთის ხელში გადასვლას.“

1919 წლის 13 მაისს გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა წერილი „სამშობლოს მსხვერპლი“, რომელშიც გამოთქმული იყო მწუხარება მემედ აბაშიძის სიძისა და დისწულის, მამა-შვილ აჰმედ-ბეგ და აბაზ-ბეგ ფოცხოველების საზარელი მკვლელობის გამო. ფოცხოველები ქადაგებდნენ საქარისტთან და სამაჰმადიანო საქართველოს ერთობას და ახალციხის მაზრაში ითვლებოდნენ კარგ მამულიშვილებად. 1919 წლის 7 აპრილს, ახალციხეში, სოფელ დიდურში, სეპარატისტ სევერ ბეგ ქობლიანსკის მეომრები შეიჭრნენ ფოცხოველების იჯახში, მამა-შვილი ტყვედ მოკლეს და შემდეგ დაასახიჩრეს. ამ საზარელმა შემთხვევამ ქართველ მუსულმანებში პროტესტი გამოიწვია.

ანტირუსული მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა პერიოდში. შეთქმულების წინააღმდეგ საბრძოლველად ხელისუფლება ქმნიდა კომისიებს (ე.წ. ხუთეულეები და სამეულეები). მათი დანიშნულება იყო ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ წითელი ტერორის წარმოება. ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ აღიარებული იყო ოზურგეთის მებრძოლი კომისიის ხელმძღვანელის, ობოლადის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის შეურიგებელი პირების ადგილზე დახვრეტას. აჯანყებულთა რაზმები სევერიან ქარცივაძისა და ვლასი მანწკავას ხელმძღვანელობით გურიიდან აჭარაში გადმოვიდნენ და ზოიძის სახლს აფარებდნენ თავს. ისინი ცდილობდნენ თურქეთში გადასვლას. დიდი ორთაბოლა გაიმართა სამხედრო გზაზე. აჯანყებულთა მხრიდან ბრძოლაში დაიღუპა ვლასი მანწკავა, ხოლო წითელ არმიელთაგან გრებენშიკოვი და ოგანეზოვი. დააპატიმრეს გენადი და გრამიტონ ნიკოლაიშვილები, ფილიპე მეგრელიძე, ჰუსეინ გოგიტიძე, მამუდ გუგუნავა, მამუდ ანდლულაძე და სხვა. დააპატიმრებულთაგან დახვრეტილი იქნა ანდლულაძე არტემი და სირაძე ისააკი [მერაბ მეგრელიშვილი, 2002]

მიხაკო წერეთელი წიგნში „ერი და კაცობრიობა“ აღნიშნავდა, რომ ცდა მცდელობაშია, მაგრამ იგი ცდუნებაში არ უნდა გადაიხარდოს. 1918 წელს, აჭარის მოსახლეობის ცდუნების მიზნით თურქებმა ჩაატარეს რეფერენდუმი. თურქების მიერ ჩატარებული რეფერენდუმის არსს კარგად ხსნის 1918 წლის 4 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი ს. ირემაძის წერილი „ოსმალების რეფერენდუმი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ოსმალების ასკერები როცა ხიშტებით გადგანან თავს, მაშინ კანონიერად რეფერენდუმის ჩატარება ყოველად შეუძლებელია. ბათუმის ოლქი ოსმალების სამხედრო ძალისგან უნდა გაიწმინდოს და მაშინ ხალხს ძალის დამტანებელი არ ეყოლება და იგიც თავისუფლად მისცემს ხმას. ყოველთვის რეფერენდუმი თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ვიცით ოსმალების მეოხებით თავისუფლება აქ აღარ არსებობს. ოსმალეთის მთავრობამ ერთი თვის წინათ სამაჰმადიანო საქართველო შეგნებული პირებისგან გაწმინდა და გაგზავნა ისინი ოსმალეთის კატორღაში, რათა რეფერენდუმი თავის გუნებაზე მოეხდინა. როგორც ბათუმის ოლქის მაჰმადიანების ერთი წევრი, ასეთი რეფერენდუმის გამო პროტესტს ვაცხადებ, ვინაიდან ეს რეფერენდუმი უკანონო არის და ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალი რეფერენდუმის ჩატარებას.“

1919 წლის მაისში ნოე ჟორდანიამ ინგლისელ გენერალ უოკერთან საუბარში განაცხადა, რომ ერთადერთი მუქარა ჩვენი კეთილდღეობის წინააღმდეგ იყვნენ ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენ ისინი გადავრეკეთ სოჭის იქით და ჩვენი სახელმწიფო გადაურჩა ამ საფრთხეს. მაგრამ საუბედუროდ ისტორიულ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ჩვენ სოჭიც დავეარგეთ და დამოუკიდებლობაც. ჯერ კიდევ 1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში წერდა: „ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ბოლშევიზმი სამშობლოს დაღატია“ [აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული: 1998; 49-50]

1920 წლის 8 ივლისს ინგლისელთა გასვლის შემდეგ ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი შემოვიდა. გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ კვინიტაძის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვა ბოლშევიკების მიერ აღიქვა, როგორც მუქარა. სინამდვილეში მიმართვა აფრთხილებდა იმ არაკეთილისმოსურნე ძალას, ვინც ქართულ ჯარს აჭარაში მტრულად დახვდებოდა. აი ეს მიმართვა: „ვინც იარაღით ხელში წინააღმდეგო-

ბას გაუწევს ჯარს ... ის მაშინვე დახვრეტილი იქნება” (გაზ. „ერთობა“ №147;1920). დამოუკიდებელი საქართველოს მტრად გამოცხადდნენ ქართველი კომუნისტები, რომლებიც რუსულ ჯარს შემოუძღვნენ საქართველოში და მოითხოვდნენ მათ მიერ დაგეგმილი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ლეგალიზაციას. ქართველი ბოლშევიკების მიზანი იყო რევოლუციის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ბოლშევიკური პრესა. გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნი“ ეროვნული გვარდიის ქმედებას ასე აფასებდა: „მომავალი თაობა ზოგიერთი გვარდიელის საქციელს საზღაპროდ გახდის და შესაძლოა აკვანში ატირებული ბავშვი დედამ შეაშინოს სიტყვებით: გაჩემდი, მოვიდა გვარდიელიო” [გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნი“ №14; 1921]

საქართველოს დე ფაქტოდ და დე-იურედ აღიარების ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების აზრს, რადგან ამით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ასაბუთებდა თავის პროდასავლურ ორიენტაციას და ეს იმ რთულ პერიოდში, როცა უკვე გავრცელებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბენბრიჯ ქოლბის ოფიციალური ნოტა, რომელშიც უარყოფილი იყო საქართველოს ეროვნული, სუვერენული უფლებები. ამერიკამ სცნო რუსეთის იმპერიული საზღვრები [ვ. გურული. 2003; 75-76].

დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების საქართველოში სტუმრობა ბოლშევიკებმა შეაფასეს, როგორც სოციალიზმისადმი დაღლატი და სრული დაღუპვის გადარჩენის მიზნით არსებული ხელისუფლებისადმი ხელის შეწყობა. ევროპელი სოციალისტების სტუმრობასთან დაკავშირებით ბათუმის კომიტეტმა დაბეჭდა და ფართოდ გაავრცელა პროკლამაცია, სადაც აღნიშნულია: „დაე, ყვითელი მასპინძლები შეხვდნენ თავიანთ ყვითელ სტუმრებს. ჩვენ ბოლშევიკებს აქ საქმე არ გვაქვს. მთელი ჩვენი სიმპათია იქ არის, სადაც თავს იყრიან და ერთიანდებიან საერთაშორისო პროლეტარული არმიის რაზმები, რომლებიც მიდიან კაპიტალისტთა სიმაგრეების დასანგრევად. [პ. ცქვიტარია. 1962; 171-172].

ბოლშევიკები საქართველოს მთავრობას ადანაშაულებდნენ რსფსრ-თან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაში, კერძოდ ის რომ საქართველოს მთავრობა არ აჩქარებდა ინგლისელი ოკუპანტების წასვლას ბათუმის ოლქიდან. ბოლშევიკებს კი ძალიან სურდათ ინგლისელი ოკუპანტების სასწრაფოდ გაყვანა და რუსი ოკუპანტების უსწრაფესად შემოყვანა სინამდვილეში ინგლისის ჯარი თავისი ნებით რომ არ გასულიყო ბათუმის ოლქიდან, ვინ იცის საქართველოს მომავალი ისტორია რა გზით წარიმართებოდა.

ახასიათებს რა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიმართ, პროფესორი პარმენ ცქვიტარია აღნიშნავს: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა მზად იყო საქართველოს მთავრობასთან ერთად დაეცვა ბათუმი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ არ მიიღო შემოთავაზებული დახმარება და განაცხადა: „ბათუმი ჩვენია და არავის უფლება არ აქვს არც მისი დაპყრობის და არც დაცვისო“ (პ.ცქვიტარია, 1962; 176). და მართლაც ქართულმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით 1921 წლის მარტში დაიკავა ბათუმი. ბათუმის საგანგებო რწმუნებული გიორგაძე მიმართავდა აჭარის მოსახლეობას: „ქართველო მუსლიმანებო! თქვენც უნდა შეიტანოთ წვლილი საშობლოს დაცვის საქმეში... ხელი მოკიდეთ იარაღს. მახვილი მტრის გულში [პ.ცქვიტარია,1962:179]

ქართველებს ერთი კარგი თვისება გააჩნია, ერისთვის ყველაზე მძიმე წუთებში ერი და ბერი ერთიანდება. იმ რთულ პერიოდში ერთმანეთის „გვერდიგვერდ იღვწოდნენ სხვადასხვა თაობის პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ადამიანები: ნოე ჟორდანია და პეტრე სურგულაძე, ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი და სამარყანდის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი, გენერალი ილია ოდიშელიძე. მათთან ტრიალებდა მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის მოტრფიალე ჰაიდარ და მემედ აბაშიძეები (მ.სიორიძე, 2011;73). ჰაიდარ აბაშიძის თანამებრძოლი მემედ აბაშიძე აღნიშნავდა: კაცი თუ მოყვარულია თავის მშობლიური დედა ქვეყნისა და თანამემამულეთა, ის სხვასაც შეიყვარებს, და თუ მას არც თავისი ერი, არც სამშობლო, დედა ქვეყანა, არც ლიტერატურა, არც ისტორია და თავისი ეროვნული მეტყველება არ სწამს და არ უყვარს, მისგან ნურავინ სიკეთეს და სიყვარულს ნუ მოეღისო [გაზ. „კახაბერი“ 1991 წლის 28 ნოემბერი].

სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტის თაოსნობით ბათუმის საზოგადოებამ პირველად 1919 წლის 26 მაისს აღნიშნა დამოუკიდებლობის დღე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008; 493). საზოგადოებრივ შეხვედრაზე მემედ აბაშიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: „ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ეროვნებით ქართველები. ქართული სისხლი გვიღუღს, სულით და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენ ძმებს ქრისტიან ქართველებს გადაგვიდოს და მტრობა გააჩაღოს. ჩვენ უნდა გარდავიქმნეთ ერთ სულათ და სხეულად, რათა აღვიდგინოთ ეროვნული მთლიანობა [„კახაბერი“ 1991 წ. № 28 ნოემბერი]

ქართველმა ბოლშევიკებმა 1922 წლის 23 მაისს გამოსცეს ბრძანება №5, რომელიც იუწყებოდა, რომ „საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დამოუკიდებლობის დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც გათავისუფლდა საქართველო“. ბრძანებას ხელს აწერენ საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და მდივანი თ. კალანდაძე. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1922 წელს საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მაინც აღინიშნა 26 მაისი, თუმცა ამას დიდი რეპრესიებიც მოჰყვა [ჟურნალი „საარქივო მოამბე“ 2010; 4-22].

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლიტერატურა:

1. არხიპოვა ე., ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში, 2016;
2. გურული ვახტანგ, საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ. 2003;
3. მანუჩინი ა., რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები, 2016;
4. მეგრელიშვილი მერაბ, საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა XX საუკუნის 20-30-იან წლების აჭარაში კრებული „საისტორიო მაცნე“ 11, ბათ. 2002;
5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათ. 2008;
6. სილაგაძე აპოლონ, გურული ვახტანგ, „საქართველო და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“ (1917-1918) თბ. 1998;
7. სიორიძე მალხაზ, ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათ, 2011;
8. თამაზ ფუტყარაძე „პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილება (1925-1935წწ.) ჟურნალი „არხეიონი“ XIX-XX თბ. 2020;
9. ცქვიტარია პარმენ, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, ბათ. 1962.

საარქივო მონაცემები:

1. ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 34, ფ. 30;
2. ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 18, ფ. 7, 63, 74, 115;
3. ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 20, ფ. 170;
4. ასს. ფ. ი-87 ან. 2, ს. 2, ფ. 31;
5. ასს. ფ. ი-191 ან. 1, ს. 6, ფ. 7.

პრესა:

1. გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნი“ №14; 1921;
2. გაზ. „ერთობა“ №147; 1920;
3. გაზ. „კახაბერი“ 1991 წლის 28 ნოემბერი;
4. ჟურნალი „საარქივო მონაცემები“, 2010; 4-22.

Merab Megrelishvili

Nino Javelidze

Anti-Russian movement in Guria-Ajara in the 20s of the XX century Summary

The Russian Revolution of February 17, 1917, the resignation of the King and the development of democratic processes gave the nations of the Russian Empire hope for independence. The article, based on rich scientific data and archival documents, discusses the most important issues of the anti-colonial movement in Guria and Ajara regions.

АРМЕНИЯ ГЛАЗАМИ ГРУЗИНСКОГО ЭТНОЛОГА

Армения одна из красивейших стран южного Кавказа. Армения — страна древней истории, искусства, песни, танец. Искусстве хранится душа армян. Армения — это Арарат, Севан, Джермук, Дилижан... Армения — это искусно вырезанные из камня хачкары! Армения — это щедрость и гостеприимство жителей!

Приезжая в Армению можно долго наслаждаться прекрасными горными пейзажами, обилием по-настоящему древних достопримечательностей, внесенных в список Всемирного наследия ЮНЕСКО, и вполне искренняя доброжелательность местных жителей!

Территория республики небольшая, но богатая гидроресурсами. В Армении уместилось 9480 рек и около 100 живописнейших озер, минеральные источники (Джермук...), грязевые месторождения...

В июне 2021 года в рамках проекта „Горизонт 2020” был командирован в Армению, г. Ереван, Национальном центре рукописи — Матенадаране для проведения научных исследований по вопросам обмена знаний и культур. Указанный исследования не было бы успешным без помощи наших армянских друзей — Гайане Айвазяна, Ануша Саркисяна, Карине Базеяна, Григора Агаяна, Соня Мирзояна. При содействии наших армянских друзей и руководители армянских архивов и библиотеки (Вардигер Григорян, Назар Гаспарян и др.) для нас стала доступна существующая опись архивных документов о Грузии, в том числе и о Батами, что стало решающим в организации указанного визита 21 июня был в Ереване. Я поселился недалеко Железнодорожного вокзала — на улице Еркатугайнера 4/1. На второй день я осмотрел достопримечательности города. Ознакомление с городом оставило наилучшие впечатления. Я был очень взволнован. Особенно понравился центральный часть города.



Ереван невозможно себе представить без главной его достопримечательности — **Каскада**. Это систематически упорядоченные и художественно оформленные лестницы, скульптуры, фонтаны, цветники на склонах Канонерских холмов, которые в целом представляют собой монументальное сооружение архитектуры, украшающее город.


Каскад, расположенный за театром оперы и балета, берет свое начало в маленьком сквере, где возведен памятник архитектору Таманяну, думающему над главным планом в своей жизни. Целью строительства помпезной лестницы из молочного туфа было соединение нижнего и верхнего города, находящегося высоко в горах.



Если взобраться на самый верх Каскада, со смотровой площадки парка Победы открываются захватывающие дух сказочные виды Еревана на фоне гор Большого и Малого Арарата.

Каскад — эта оригинальная архитектурная композиция. Большой Каскад подобен огромной многоярусной Вавилонской пирамиде, на самой вершине которой установлен обелиск Возрожденной Армении с украшениями на урартские мотивы.

Начало возведения Каскада в 70-х гг. прошлого столетия было приурочено к пятидесятилетию становления в Армении советской власти. Но, как на многих советских стройках того времени, работа была остановлена в связи с развалом Советского Союза. Долгое время Каскад был в замороженном состоянии. И тут его выкупает меценат из США с армянскими корнями Джерард Гафесчян. Он решил, что Каскад будет галереей искусств с выставленными произведениями древних скульпторов всего мира внутри помещений, оборудованных под фонтанами и лестницами. А снаружи украшением Каскада должны быть работы наших современников. Также в его планах было создание музея современного искусства. Сегодня на Каскаде уже установлены некоторые интересные современные работы известного скульптора и художника из Южной Америки Фернандо Ботеро (“Черный кот”).





Такое уникальное потрясающее сооружение трудно встретить еще где-то. В самом названии этого эффектного гигантского монумента с огромными лестничными проемами, поднимающимися вверх по склону, цветочными клумбами, красивыми фонтанами и ночной иллюминацией, отражается его суть. Большой Каскад — это еще и прилегающий к нему парк. Длина Каскада — 500 м, ширина — 50 м, а между основанием и вершиной (разница высот) — 100 м. Внутри Каскада предусмотрен эскалатор на две трети его высоты, который облегчит подъем по лестницам.

Во внешнем оформлении Большого Каскада отражается древняя история Еревана. В украшениях фонтанов и различных статуй и обелисков содержатся орнаменты, которые относились к древнему государству Урарту.

К Каскаду, включенному в центр искусств Гафесчяна, были применены необычные и оригинальные архитектурные решения. Например, вода падает из труб, образуя различные узоры традиционных символов Армении.

Невозможно словами описать всю красоту и величие этого сооружения. Большой ереванский Каскад, возведение которого завершилось в 2009 г., — центральное и любимое место отдыха горожан и гостей Еревана.

Впечатление произвел осмотр достопримечательности Еревана. Расположенные в центре города, на площади республики Национальный исторический музей Армении, который основан и открыли для посетителей с 1921 г. Экспозиция составлен на основе коллекций армянского этнографического общества. В музее около 400 000 экспонатов национального наследия, распределенных отделам археологии, этнографии. Нумизматики и т. Д. В музее представлены предметы материальной культуры.



В городе можно осмотрит Музея литературы и искусство, мастерская Геворга Григоряна, Карена Демирчяна, Сергея Фараджанова, Ованеса Туманяна, Мартироса Сарьяна, Егише Чеченца, истории органов безопасности, русского искства, а также Картинная галерея, центр искусств Гафесчяна, центр Азнавура и т. д.

Большое впечатление произвол и древний **город Эребуни**, который был основан во время правления Аргишди I (782 г. До н.э.), а музей открыли 1968 году. В апреле 2012 года журналом „*Forbes*“ поселение Эребуни было включено в список „9 самых древних крепостей мира“




Музей Эребуни

Здание музея спроектировали архитекторы Шмавон Азатян и Багдасар Арзуманян, а Барельефы на нем высечены скульптором Ара Арутюняном. Перед величественными барельефами музея „Эребуни“, восхищенно замирают тысячи посетителей. Магическое мастерства скульптора позволило возродит дух и силу страны. Барельефы главного фасада „Аргишти и основатели города“, Южного фасада „охота на льва“, северного фасада „бог Халди“, отражают период существования древнего государства Урарту. Эти композиции создано из любимого скульптором материала красного туфа и представляют собой развернутое во времени пластическое повествование. Перед зрителем предстают сцены из жизни древней Армении: образы правителя и основателя крепости Эребуни, богов Урартского пантеона, сцены царской охоты, процессия строителей и защитников города. В первые в Армении здание общественного значения было оформлено сюжетными рельефами, за что скульптор Ара Арутюнян в 1970 году был удостоен специальным дипломом.

Музеи много материалов о государстве Урарту, выставлены экспонаты, артефакты, урартуйские надписи.

Крепость Эребуни на холме Арин-Берд с некоторой степенью условности считается „древним ядром“ современного Еревана. С одной стороны, крепость Эребуни была покинута урартами в VI веке до н. э., а затем занята персами в V—IV веках до н. э. и в IV

веке до н. э. окончательно заброшена. Известно также, что после завоевания Империи Ахеменидов Александром Македонским греческий центр в Армении уже находился вблизи современного Вагаршапата, в 20 километрах от Эребуни. Таким образом, нет прямой связи между Эребуни, покинутым в IV веке до н. э., и Ереваном, впервые упоминаемым в 609 году н. э. (но, возможно, существующим с III в. н. э.). С другой стороны, возможна этимологическая связь между словами „Ереван“ („Эриван“) и „Эребуни“ (несмотря на первоначальное чтение „Ирпуни“), которая позволяет допустить определённую связь между Эребуни и Ереваном. Кроме этого, несомненно культурное влияние Урарту на Армению в целом и на Ереван в частности. Исследователи также видят в перестройках Эребуни эпохи Ахеменидов и в серебряных изделиях этого времени, обнаруженных в Эребуни, следы культурного влияния Урарту на Империю Ахеменидов



Урартский надпись

Впечатляющий оказался **Мемориальный комплекс Сардарапатской битвы** (21—28 мая 1918 года между армянскими регулярными воинскими и турецкими войсками), Расположен у села Аракс, в 10 км от города Армавир. Туда меня повел мой близкий Друг профессор Григорий Агаян и его замечательная супруга профессор Карине Базеян.



Вид сверху на часть мемориала, со стороны Стены Победы

В 1918 году Армавир носил имя Сардарапат, от которого и получило своё название сражение и, соответственно, мемориал. Армавирская область, на территории которой расположен мемориал, является исторической местностью в Армении. Город Армавир (арм. Արմավիր, до 1932 — Сардарапат, до 1992 — Октемберян) — одна

из древних столиц Армении. С высоты, на которой расположен памятник, открывается панорамный вид на реку Аракс и Араратскую долину, простирающуюся от горных вершин Арабата до Арагаца и до предгорий Гегамского хребта. Имеется возможность широкого обзора поля битвы, мест дислокации войск и района ведения боевых действий.

В мае 1968 года был открыт архитектурный ансамбль „Сардарapat“, созданный по замыслу архитектора Исраеляна. Это сооружение не имеет прототипов в армянской архитектуре. Здесь гармонично сочетаются архитектура и скульптура Ара Арутюняна (автора монумента „Мать Армения“, памятника композитору Комитасу, ашугу Саят-Нове в Ереване), член-корреспондента Академии художеств СССР, а также скульпторов Самвела Манасяна и Аршама Шагиняна. Ансамбль сооружен из красного туфа. Особое своеобразие комплексу придает высокая колокольня-усыпальница. Её прозрачная легкость подчеркивается на фоне массивных скульптур крылатых быков.



Карен Фахлеваян (директор музея) и Т. Путкарадзе

Мемориал состоит из самостоятельных архитектурно-скульптурных композиций. Лёгкая на подъём лестница, ведущая вверх, открывает взору вход-портал со скульптурами крылатых огнедышащих быков высотой 8 метров

По канонам древнеармянской мифологии, быки, поставленные друг к другу лицом, символизируют верность, мощь и непреклонность духа армянского народа.

Только пройдя между ними, их очищающим огненным дыханием и зорким взглядом, можно попасть на охраняемую быками просторную площадь с возвышающейся колокольней-звонницей и оттуда на всю территорию комплекса.



Звонница

Действующая колокольня-звонница была возведена непосредственно на месте захоронения павших бойцов Сардарapatской битвы и представляет собой трёхъярусную трёхпролётную аркаду триумфального типа, установленную на высоком стилобате, и имеет общую высоту до 35 м.

Проходя сквозь центральную арку в стене, аллея доходит до здания музея национально-освободительного движения/ Музей был переименован в дальнейшем в Государственный музей этнографии и национально-освободительного движения Армении „Сардарapat“.



Здание музея

Здание музея было спроектировано в форме крепости-прямоугольника со сторонами 64,9 м на 61,7 м и высотой 10 м с одним, торжественно оформленным входом и двумя узкими окнами, одно из которых обращено в сторону горы Арарат, а другое — к горе Арагац. Анфиладная планировка выставочных залов, помещений и внутренних озеленённых дворики соединяет всё внутреннее пространство во взаимосвязанный, единый объём. Верхнее естественное освещение, проникающее через зенитный фонарь, а также потолок, выполненный в шатровом стиле, копирующий соответствующие деревянные сооружения четырёхгранной бревенчатой кровли старинной архитектуры, дополняют сакральную атмосферу музея. Геральдическая и символическая тематика активно использована и при оформлении внешнего и внутреннего пространства музея, которая дополняет и осмысливает архитектурный замысел, заложенный при проектировании музея.

В музее собраны различные документы, фотографии, воспоминания участников, военные и гражданские принадлежности времён Сардарпатского сражения. Одновременно это сооружение является главным государственным музеем этнографии и национально-освободительного движения Армении и представляет собой обладающий богатой экспозицией образовательный и научно-культурный комплекс по сбору, изучению и популяризации исторического наследия армянского народа с древнейших времен до наших дней.




Аллея орлов и звонница

На территории комплекса, непосредственно перед входом в музей, установлен менгир — вишاپ, имеющий форму высокого каменного изваяния, являющийся одним из древних свидетелей истории Армении. Своей идеей и расположением музей дополняет мемориал, гармонически и функционально вписывается в генеральную концепцию комплекса.

Осматривая Культурные памятники, сразу замечаешь осторожная, взвешенная, неспешная политика в области культуры, которую проводит Армянское правительства для того, чтобы удобно пройти тонкий мост культурного космополитизма и культурного фундаментализма. Этого добивается государство собственными силами, усилением этнической идентичности, усилением любви к языку, культуре, истории, преданностью традициям, путем становления свободного культурного общества, что без всяких поспешных решений становится возможным „генерация будущего“ в культуре страны.

Несмотря на процессы культурной глобализации Армения сумел сохранить свою национальную идентичность. Основные элементы культуры: музыка, литература, народные танцы, искусство, кулинария, архитектура, кинематография и т. д.



Выставочный зал Сардарпатского музея Внутреннее естественное освещение музея

Тот же день с Григории Агаянном и Карине Базеяном посетили в музее Археологии Мецамори, познакомился с выдающимся специалистом этого музея.. Прекрасное здание музея, который находится недалеко от атомной электростанций, уникальный археологические экспонаты — создали значительное представление об истории, бытие и культуре армянского народа



Т. Путкарадзе и сотрудники археологического музея

Вовремя пребывания в Армении поработал в центральном государственном архиве. Подготовил письмо на имя управлявшего архивного ведомства с просьбой допустить меня в архив в качестве исследователя. В тот же день меня допустили в центральный государственный исторический архив.

Это заведение важнейший очаг науки и образования. Уютная обстановка, лучшие условия для работы, этикет и нормы взаимоотношения сотрудников, для исследователей, особенно гостей, доброжелательность и желание помочь — тут же привлекают внимание людей. Познакомились с замечательным коллективом, детально ознакомился спецификой работы архивиста и архивными документами связанное с Грузией.



Центральный государственный архив

На втором этаже ЦГА для исследователей выделен прекрасный зал, благоустроенная и светлая комната, в которой исследователей обслуживает внимательная и добросердечная молодая и красивая девочка госпожа **Вардигер Григорян**. Она показала все описи о Грузии, о Батуми. С помощью нежной, заботливой, благородной и профессионалом своего

дела г-жой Вардистерой Григоряна и Назара Гаспаряна во время работы в архиве не возникало практически никаких проблем. Благодаря соответствующей помощи сотрудников ЦГА Армении, мне стали доступны архивные материалы о Грузии. Целиком я рассмотрел архив, разные отделы, лабораторию по реставрации документов и фондохранилища.



Читальный зал. Сотрудница архива Вардистер Григорян

Со мной встретился и счастливы минуты подарил профессор Соня Мирзоян – высококвалифицированный специалист, замечательный человек прекрасно знающий Грузию и Грузинскую культуру, который рассказал о своих грузинских друзьях, о вопросах истории Грузии, об общих проблемах наших стран.

Руководство Армении особое внимание уделяет созданию нормальных рабочих условий, поэтому: лаборатории, фондохранилища и кабинеты благоустроены. Идеальная чистота, спокойная рабочая обстановка сразу попадает в центре внимания.

Плодотворной оказалась моя работа в библиотеке Матенадарана (национальный центр рукописей им. Месропа Маштоца), которая расположена в центре города, на улице Месропа Маштоца.



Матенадаран


Матенадаран (АРМ. хранилище рукописей) – научно-исследовательский центр при правительстве Республики Армения, являющийся одним из крупнейших хранилищ рукописей в мире и крупнейшим хранилищем древнеармянских рукописей. При институте действует открытый для посетителей музей. Институт Матенадаран был создан на базе

национализированной в 1920 году коллекции рукописей Эчмиадзинского монастыря. Начало создания этой коллекции датируется V веком и связано с Месропом Маштоцем (ок. 361—440), создателем армянской письменности. Уже в V веке Лазарь Парпеци сообщает, что при Эчмиадзинском монастыре существует книгохранилище.



Памятники Месропу Маштоцу Памятники Мовсесу Хоренаци, Мхитару Гошу и Фрику перед зданием музея

В 1892 г. коллекция насчитывала 3158 рукописей. По состоянию на 2015 год, фонды Матенадарана насчитывают более 17 тыс. древних рукописей и более 100 тыс. старинных архивных документов. Наряду с армянскими рукописями (11230 полноценных и 2200 фрагментарных), здесь хранится более 3000 рукописей на русском, иврите, латыни, арабском, сирийском, греческом, грузинском, индийском, японском, персидском, азербайджанском и других языках.



Фонды Коридор научного корпуса

В фондах музея хранятся 2281 старопечатных (до 1800 года) книг. В настоящее время коллекция продолжает пополняться — значительный вклад в её расширение вносят представители армянской диаспоры в Европе, США и т. д.



Читальный зал матенадаранский библиотеки

25 Июля позвонила проф. **Карина Базеян** позвал и предлагали экскурсию Разных регионах Армении. В центре города за мной заехал ее муж замечательный-гостелюбивый человек, большой ценитель грузинской культуры, профессор Григорий Аганян. В дальнейшем несколько раз пришлось воспользоваться гостеприимством этих замечательных людей.

В моей памяти навсегда останется замечательная семья Григора ее гостеприимная и грамотная хозяйка госпожа Карина, отличающаяся добродушием и чистосердечностью. Я не мог скрыть восхищения теплотой, добродушием, любовью и взаимопониманием, которые царили в окружении этих людей.



Гр. Аганян, К. Базеян и Т. Путкарадзе

Благодаря моих друзей, я познакомился с ихней кулинарией. армянская национальная пища отличается большим разнообразием, насчитывая десятки видов различных блюд: молочных, мясных, мучных, овощных и т. д.

Визит в Армении еще более доказал нашу дружбу. Эти отношения основаны на безграничности, любви к делу, профессионализме и откровенности. В этом и заключается секрет дружбы, которая с каждым днем все более возрастает.

ფონდების მიმოხილვა

მზია სურმანიძე

ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლი

(ფონდი ი-23-ის მიმოხილვა)

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავში ინახება ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ფონდი № ი-23, რომელიც აერთიანებს რვა საქმეთა ერთეულს და მოცავს 1895-1917 წლებს. მიუხედავად საქმეთა სიმცირისა, ფონდში საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი მასალები საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ: სასწავლებლის დაარსება, ბერძნული სასწავლებლის კომიტეტი, მზრუნველთა საბჭო, ბერძნული საზოგადოება და წევრები, პირადი შემადგენლობა, ცირკულარები, მიმოწერები ზემდგომ ორგანოებთან, მოსწავლეთა რაოდენობა, სასწავლებლის მისამართი, სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებები, პროგრამები და ა.შ.

საქმე № 1 – 1895-1896 სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ეხება. საინტერესოა იმ გაგებით, რომ ბათუმში მცხოვრებ ბერძენთა გვარები თითქმის სრულად არის წარმოდგენილი.

საქმე № 2 – ბათუმის ბერძნული სასწავლებლის კომიტეტი-სასწავლებლის კომიტეტს ბათუმის ბერძნული საზოგადოება ირჩევდა. მისი მიზანი იყო ელემენტარული განათლების გავრცელება ბათუმის ბერძნულ მოსახლეობაში.

1886 წელი, 20 აგვისტო – ბათუმის ბერძნული საზოგადოების მიერ არჩეულმა კომიტეტმა და მზრუნველთა სამჯომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით:

- 1) ბათუმში არსებული ორკლასიანი სასწავლებელი 1864 წლიდან ხუთ წლიან კურსად გადაკეთდა;
- 2) სასწავლო პროგრამა უნდა შეედგინათ იმპერიაში შემავალი მე-3 კატეგორიის სასწავლებლების ანალოგიურად;
- 3) სასწავლებლის ეფექტური საქმიანობის მიზნით საჭიროდ ჩაითვადა ხელმძღვანელად ისეთი პირის შერჩევა, ვინც შეესაბამებოდა კერძო სასწავლებლების შესახებ დადგენილ მოთხოვნებს;
- 4) ახალი სასწავლო პროგრამა შედგენილი უნდა ყოფილიყო ბათუმის ბერძნული მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად;
- 5) უნდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა მისაღები კონტიგენტის რაოდენობა, თანამშრომლები და პირადი შემადგენლობა;
- 6) შუამდგომლობა ხელმძღვანელობასთან, რომ 1 სექტემბერს დაწყებულიყო სასწავლო პროცესი (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 6,7).

დოკუმენტებიდან, კერძოდ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის შეტყობინებიდან ჩანს, რომ 1886 წლის 18 აგვისტოს – ბერძნული სასწავლებლის ხელმძღვანელად დაუნიშნა ბათუმის მკვიდრი ივან საულიძე (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 8). კომიტეტის ეფექტური საქმიანობის შედეგად კარგად შეირჩა პედაგოგიური კოლექტივი.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია 1886 წელს შედგენილი ბათუმის ბერძნული სასწავლებლის პედაგოგების სია:

1. საულიძე ივან კონსტანტინეს ძე- 31 წლის, დაბადებული 1856 წლის 27 იანვარს, ბათუმის მკვიდრი, ფლობდა მასწავლებლის წოდების დამადასტურებელ დიპლომს, 1886 წლის 1 სექტემბრიდან ასრულებდა ბერძნული სასწავლებლის ხელ-

მძღვანელის მოვალეობას, დაოჯახებული იყო ბათუმელ იოანე იოსიფიდის ქალიშვილ ენრიეტაზე. შვილები არ ჰყავთ.

2. სინაროს ტრიანდაფილ იოანეს ძე, 35 წლის, დაბადებული 1852 წლის 25 მარტს, თურქეთის მოქალაქე, ჰქონდა ბერძნული დიპლომი, ბერძნული ენის მასწავლებლის წოდების დამადასტურებელი, მუშაობდა ბერძნულ სასწავლებელში 1886 წლის 1 სექტემბრიდან. დაქორწინებული იყო მღვდელ აპოსტოლის დისშვილზე, ჰყავდათ ერთი შვილი, ფეოდორი.
3. კაკულიდი კაკულის გიორგის ძე, 20 წლის, დაბადებული 1867 წლის 17 მარტს, ფოთის მკვიდრი, ჰქონდა ტრაპიზონის გიმნაზიის დიპლომი, მუშაობდა მოსამზადებელი კურსის მასწავლებლად 1886 წლის 1 სექტემბრიდან, უცოლო.
4. კეფალა პასიპიკი პანაიოტის ასული, 21 წლის, დაბადებული 1865 წლის ოქტომბერში, თურქეთის მოქალაქე, მუშაობდა მასწავლებლად 1886 წლის 1 სექტემბრიდან, დამთავრებული ჰქონდა ათენის ქალთა გიმნაზია დამადასტურებელი დიპლომით, დაუოჯახებელი (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 25).

სასწავლებლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო - კადრების შერჩევა. იგი კომიტეტისა და მზრუნველთა საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა. 1887 წლის 16 მაისს ბერძნულმა სასწავლებლის კომიტეტმა თხოვნით მიმართა ფეოდოსიის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს, რათა სასწრაფოდ ეცნობებინათ – ჰყავდათ თუ არა ახალი ან ძველი ბერძნული ენის მცოდნე კურსდამთავრებულები. ასეთის არსებობის შემთხვევაში სთავაზობდნენ მასწავლებლის თანამდებობას. პასუხიდან ჩანს, რომ ფეოდოსიის სასწავლებელში ეს საგანი საერთოდ არ ისწავლებოდა (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 41, 52).

კომიტეტის მიერ 1887 წლის 16 ივნისს გაცემული მოწმობით დგინდება, რომ ბერძნული სასწავლებლის ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობდა ელენა მაქსიმის ასული ალექსანდროვა (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 53).


ბერძნულ სასწავლებელში რუსული ენის საგამოცდო კომისიის წევრად 1887 წლის 2 ივნისს მიუწვევიათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე. მ. ნათაძის დასკვნაში ხაზგასმითაა აღნიშნული სასწავლებლის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია და კარგად შემუშავებულ მეთოდოლოგია. შესაბამისად, შედეგი სახეზე იყო. მოსწავლეებს საფუძვლიანად ჰქონდათ ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 57).

1887 წლის 11 სექტემბრის მონაცემებით ბერძნული სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს წევრები იყვნენ: ხელმძღვანელი საულიდი, მამაკაცი მასწავლებლები: კაკულიდი და იოსიფიდი, ქალი მასწავლებელი ე. ალექსანდროვა (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 2; ფ. 85).

საქმე № 3. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება სულაც არ ცდილობდა მცირე ერებისათვის სასაბჭოო პირობების შექმნას. სასწავლებლის სამეთვალყურო საბჭო და კომიტეტის წევრები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ბერძნულ დიასპორას არ დაეკარგა თავისი თვითმყოფადობა, წეს-ჩვეულებანი, კულტურა. ყოველივე ეს ბევრი წინააღმდეგობების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ხშირი იყო მასწავლებელთა მიმართ საყვედურები ან მათთვის გამოსაცდელი ვადების დაწესება. არაერთხელ დაუწუნებიათ წარდგენილი სასწავლო პროგრამა მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლიურ ენას მეტი საათები ჰქონდა დათმობილი, ვიდრე რუსულს (ფონდი ი-23, ანაწ.1; საქ. 3; ფ. 4).

სასწავლებლის ხელმძღვანელს მავროპულოს უსაყვედურეს კიდევ, რომ ბიბლიოთეკაში რუსული წიგნების არასაკმარისი რაოდენობა იყო. მავროპულომ თავი იმართლა, „სასწავლებლის ახალი შენობის მოწყობით ვიყავი დაკავებული და ბიბლიოთეკას ყურადღება ვეღარ მივაქციეო“ (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 3; ფ. 10). საქმეში არის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის ბერძნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შეფასება (1892 წელი, 19 სექტემბერი), რომელშიც მინიშნებულია რუსული ენის ცოდნის დაბალ დონეზე, რომ „ამ თაობამ რუსეთში უნდა იცხოვროს და არა საბერძნეთში, შესაბამისად რუსული ენა უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე“ (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 3; ფ. 4).

კერძო სასწავლებელთა წესები, რომელიც დამტკიცებული იყო 1879 წლის 13 აპრილს, ითვალისწინებდა ვაჟებისა და გოგონების ერთად სწავლებას მხოლოდ 11 წლამდე. კავკასიის სასწავლო ოლქის დირექტორი მოითხოვდა სასწავლებლის შენო-



ბის გადაკეთების გეგმას და ორი-
ვე სქესის მოსწავლეთა ერთად
სწავლების შესაძლებლობის გარ-
კვევას და დადასაბუთებას. რო-
გორც ჩანს შენობაც შესაბამისად
უნდა ყოფილიყო დაპროექტებუ-
ლი, რათა დასაშვები ყოფილიყო
შერეული სწავლება (ფონდი ი-23;
ანაწ.1; საქ. 3; ფ. 19).

1891 წლის 15 იანვრით დათა-
რილებულ წერილში, სახალხო
სასწავლებელთა დირექტორი ატ-
ყობინებს ბერძნული სასწავლებ-
ლის ხელმძღვანელს ბერძენი მას-
წავლებლების სამსახურში დატო-
ვების გადაწყვეტილების შესახებ
იმ პირობით, „თუ მიმდინარე სას-
წავლო წლის ბოლომდე დიმიტრი-
ადისი და კუსისი არ მიიღებენ
რუსეთის მოქალაქეობას, მათ მო-
უწევთ სამსახურის დატოვება. აქე-
დან გამომდინარე, გთხოვთ სამო-
მავლოდ გაითვალისწინოთ, რომ
სამსახურში უცხო ქვეყნის მოქა-
ლაქეები მასწავლებლად აღარ
აიყვანოთ“ (ფონდი ი-23; ანაწ.1;
საქ. 3; ფ. 8).

საქმეში არის 1904 წლის 5

მარტის ცირკულარი, რომლის მიხედვით სასწავლებელთა ზედამხედველებსა და სას-
წავლებლების ინსპექტორს სუდაკოვს დაუთვალთვრებიან სასწავლებელი. აღმოჩ-
ნდა მოსწავლეთა მიმართ მასწავლებელთა მკაცრი მოპყრობის შემთხვევები, რომე-
ლიც შეუთავსებელია ახალგაზრდების აღზრდასა და რელიგიური სწავლების სუ-
ლისკვეთებასთან. ამასთანავე აღნიშნულია, რომ დისციპლინა დაწარმატებები არ უნ-

და იქნას მიღწეული მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიმართ სიმკაცრითა და დამამცირებელი ქმედებებით. „მხოლოდ ბავშვების სიყვარული და მშვიდი, არა ბრაზიანი, მხოლოდ გულიანი დამოკიდებულება მათთან მიგიყვანთ კარგ სასწავლო-აღმზრდელობით შედეგამდე“ (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 3; ფ. 9).

ამავე საქმეში არის 1901 წლის 6 ოქტომბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი. ბერძნული ენის მასწავლებელს პაპანდოპულოს წამოუყენებია წინადადება მოსწავლეთა ფორმის შემოღების შესახებ. აზრი მოწონებულ იქნა. გადაწყდა შესაბამისი თანხების გამოყოფა შემოწირულობათა ფონდიდან (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 3; ფ. 15).

სასწავლებლის შესახებ სრული ინფორმაცია საინტერესოაა წარმოდგენილი სტატისტიკური კომისიის საიმპერატორო ეკონომიური საზოგადოების სპეციალურ, ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც ბლანკის ფორმა აქვს. მას ავსებდა სასწავლებლის ხელმძღვანელი. ბათუმის ბერძნული საზოგადოების სასწავლებელი არის კერძო, ორკლასიანი სასწავლო დაწესებულება, რომელიც დაარსდა 1886 წელს. სასწავლებლის შენობა ააშენა ბერძნულმა საზოგადოებამ, 1895-1896 წლებში, რისთვისაც დაიხარჯა 16 000 რუბლი.

სასწავლებელთან არსებობდა ძველი, შერეული ტიპის შენობა, რომლის ღირებულებაც 500 რუბლს შეადგენდა. სწავლის საფასურს აწესებდა მზრუნველთა საბჭო და იხდიდნენ მხოლოდ შეძლებულნი. სასწავლებელში 1886 წლიდან არსებულა ბიბლიოთეკა შემომწირველთა ხარჯზე. ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა.

სასწავლებლის მზრუნველად ბერძნული საზოგადოება ირჩევდა ვაჭრებს, რომელთა მოვალეობაში შედიოდა ბუღალტერია, სასწავლებლის ზედამხედველობა და სასწავლებლისათვის საარსებო სახსრების მობილიზება. მოსწავლეთა მიღება სასწავლებელში ყოველწლიურად ხდებოდა. სწავლების პროცესში გამოიყენებოდა თვალსაჩინოება: გლობუსი, მიკროსკოპი, ატლასები, რუკები. სახელმძღვანელოებს შეძლებული მოსწავლეები თვითონ იძენდნენ, ზოგიერთ მოსწავლეს კი უსასყიდლოდ გადაეცემოდა. საწყის ეტაპზე გამოიყენებოდა „რუსსკოე სლოვო“-ს პირველი და მეორე ნაწილი, უშინსკის „ბავშვთა სამყარო“, ხოლო შემდეგ სასწავლო საგნები გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა ჩაანაცვლეს. სასწავლებლის შესახებ აღნიშნული ინფორმაცია დათარიღებულია 1896 წლით და ხელს აწერს გ. სპიროვი (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 3; ფ. 24-26).

საქმე № 4 – 1907 წლის მონაცემებით ბერძნულ სასწავლებელში იყო ხუთი განყოფილება და სწავლობდა 126 მოსწავლე. სასწავლებელში ორი საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო, ორიც ბერძნული ენის, ერთი რუსულის. სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ფ. გრამატიკოპულო. ქუთაისის სახალხო განათლების ინსპექტორისადმი გაგზავნილ ანგარიშს თან ერთვის ოთხი პედაგოგის (ფ. ხ. გრამატიკოპულოს, დ.ვ. შაინოვის, დ.ი. ვოიციდის და გ. კ. კარაულიდის) მეტად საინტერესო ბიოგრაფიული მონაცემები:

1. გრამატიკოპულო ფიოდორ ქრისტოფორეს ძე-საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მასწავლებლის მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, ქართულ ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭოს მიერ 1892 წელს დაჯილდოვდა ბიბლიით, ხოლო 1893 წელს – 50 რუბლით. ვლადიკავკაზის ბერძნული საზოგადოების დაწესებითი სამრევლო სასწავლებლის ხელმძღვანელის მოვალეობის კეთილსინ-

დისიერად შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო: ვერცხლის საათით (1895 წელი), ჩაისვერცხლის კომპლექტით (1898 წელი), ოქროს საათით (1906 წელი).

გრამატიკოპულო დაიბადა 1867 წლის 8 ივნისს. ბერძნული განათლება მიუღია გიმუშხანის პროგიმნაზიაში, ხოლო რუსული განათლება – ყარსის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1885 წელს დაუსრულებია. 1906 წლის სექტემბრიდან დაინიშნა ბათუმის ბერძნული სასწავლებლის ზედამხედველად. არ ყოფილა ნასამართლევი, დაქორწინებულა არდაგანელი მემამულის ქალიშვილ აფროდიტაზე. ჰყავდა ორი შვილი და არ ფლობს მამულს.

2. შაინოვი დიმიტრი ვასილის ძე – ვაჭრის შვილი, მართლმადიდებელი, ჯილდოები არ ჰქონდა. იგი დაიბადა 1885 წლის 5 ივნისს, დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი 1905 წელს, მასწავლებლის დიპლომი არ ჰქონდა. მუშაობდა მასწავლებლად 1906 წლის სექტემბრიდან. იყო დაოჯახებული, მეუღლე იყო ქუთაისის მკვიდრი აგრაფინა პეტრეს ასული. შვილი არ ჰყავდათ და არ ფლობდა მამულს.
3. ბერძნული ენის მასწავლებელი დიმიტრი ივანეს ძე ვოიცოი, უცხოელი, მართლმადიდებელი, დაიბადა 14 ნოემბერს, 1873 წელს. 1891 წელს, ბუღარეთში დაამთავრა გიმნაზიის პედაგოგიური განყოფილების სრული კურსი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ბერძნულ სასწავლებლებში მასწავლებლად, 1906 წლიდან კი ბათუმის ბერძნულ სასწავლებელში. დაქორწინებულია უცხოელ ირინა ნოეს ასულზე, ჰყავთ ქალ-ვაჟი. მამულს არ ფლობს.
4. ბერძნული ენის მასწავლებელი გიორგი კონსტანტინეს ძე კარაფულიდი-უცხოელი, მართლმადიდებელი, დაბადებული 22 აპრილს, 1866 წელს. 1886 წელს თურქეთში დაამთავრა ტრაპიზონის გიმნაზიის სრული კურსი. ორი წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად ბერძნულ სასწავლებელში, ხოლო, 1903 წლის სექტემბრიდან ბათუმის ბერძნულ სასწავლებელში, ბერძნული ენის მასწავლებლად. არ ყოფილა ნასამართლევი. დაქორწინებული იყო უცხოელზე – კალიონი ივანეს ასულზე. ყავს ექვსი შვილი, ოთხი ქალი და ორი ვაჟი. მამულს არ ფლობს.

ფ. გრამატიკოპულოს მიერაა შედგენილი ანგარიშის დანართი, 1907 წლის 2 მაისს (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 4; ფ. 15, 16).

სასწავლებელში ტარდებოდა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები. მაგ. ლიტერატურულ-ვოკალური დილა. პროგრამა საინტერესოდაა შედგენილი. იგი ითვალისწინებდა მოსწავლეთა სრულ ჩართულობას (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 4; ფ. 17).

საქმეში არის ფ. გრამატიკოპულოს ანგარიში ქუთაისის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორისადმი. მასზე თანდართულია სასწავლებლის მზრუნველთა საბჭოს წევრთა თხოვნა დედანიდან თარგმნილი მოწმობით, რომელიც ადასტურედა საბერძნეთის მოქალაქე დიმიტრი ვოიცოიდის მიერ, მეორე ხარისხის სახალხო მასწავლებლის წოდების ფლობას და მოითხოვეს შუამდგომლობა მასწავლებლად დანიშნასთან დაკავშირებით (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 4; ფ. 21).

ყოველწლიური ანგარიშის დამატებითი ცნობებიდან, რომელიც 1906 წელსაა შედგენილი, სასწავლებლის დაარსების შესახებ ახალი ვერსიაა დასახელებული. ამ ვერსიის მიხედვით ბერძნული სასწავლებელი 1862 წელს დაარსებულა, მაგრამ მასალები მოიპოვება 1881 წლიდან. შეძლებული მოსწავლეები სწავლების უფლების მოსაპოვებლად 10 რუბლს იხდიდნენ. მთლიანობაში სასწავლებელი 520 კვ. საუენ მიწის ნაკვეთს ფლობდა, აქედან 134 კვ. საუენი სასწავლებლის შენობას ეკავა, დანარჩენი 386 კვ. საუენი კი ეზოს. სასწავლებლისა და ეზოს ნაწილი დაკავებულია ქალთა საეკლესიო

სიო-სამრევლო სკოლის მიერ. საზოგადოებაში შემაჯავლი მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრული არაა, მერყეობს 1500-დან 2000-მდე. სკოლამდელი ასაკის 300-მდე ბავშვია.

საქმე № 5 – წარმოდგენილია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექციის მასალები. იქვეა გამოფენის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხებიც. გამოფენასთან დაკავშირებით „Кавказская Ривьера“ სპეციალურ კითხვარი და უწყისები გაუგზავნია ბათუმის საქალაქო დაწეებით სასწავლებელთა ხელმძღვანელებისადმი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1912 წლისათვის ბათუმში არსებობდა შემდეგი სასწავლებლები:

1. პირველი ქართული სასწავლებელი – ხელმძღვანელი დ. კეკერაძე;
2. მეორე ქართული სასწავლებელი – ხელმძღვანელი შარაშიძე;
3. პუშკინის სახელობის სასწავლებელი – ხელმძღვანელი ირაკლი დლონტი;
4. გოგოლის – ხელმძღვანელი ე. სოგოროვა;
5. სომხური- ხელმძღვანელი პალიევი (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5; ფ. 9)

როგორც ჩანს 109 წლის წინათაც იგივე პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე მდგარა ქვეყანა: არა ერთი სახის ინფექციური დაავადება იყო გავრცელებული, რომელიც საჭიროებდა სპეციალური ზომების გატარებას და საკარანტინე წესების დაცვას.

საინტერესოა ქუთაისის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორის წერილი დაწყებითი სასწავლებლების ზედამხედველებსა და ხელმძღვანელებისადმი. მასში ვკითხულობთ: „გამომდინარე იქედან, რომ ოზურგეთის მაზრაში ბევრგან დაფიქსირდა ქუნთრუშა, წითელა, დიფტერია, გთავაზობთ დაუყოვნებლივ, სასწავლებელში ინფექციური დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, დაწვრილებით აცნობოთ მაზრის ხელმძღვანელს, სარაიონო და სამაზრო სოფლის ექიმს და სთხოვოთ ამ უკანასკნელს სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. შემატყობინეთ აგრეთვე მე, საჭირო ზომების მისაღებად. ადგილზე კი მხედველობაში მიიღეთ და იხელმძღვანელოთ ქვემოთ მოცემული ცხრილით“.

სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა იზოლაციის ხანგრძლივობა:

1. ჩუტყვავილა 14 დღე;
2. ქუნთრუშა 12-14 დღე;
3. წითელა 15 დღე;
4. წითურა 16 დღე;
5. ყივანახველა 15-20 დღე;
6. ღორის გრიპი 22 დღე;
7. დიფტერია 14 დღე

1912 წლის 15 მარტს სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორმა გამოსცა განკარგულება საერთო პედაგოგიური კრების მოწვევის შესახებ. კრებაზე უნდა განხილულიყო შემდეგი საკითხები:

1. პედაგოგებისათვის ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალური კურსები;
2. ბავშვთა ბაღები და მათი ორგანიზება. ბავშვთა ბაღის დაარსება ბათუმში. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი სკოლამდელი აღზრდის საქმეს;
3. შემეცნებითი ექსკურსიის მნიშვნელობა და საჩვენებელი პროგრამა;
4. მეოთხე პუნქტი ითვალისწინებდა არსებული პრობლემების მოგვარებასა და დახმარების აღმოჩენას, აღმზრდელობითი პროცესის სწორად და ეფექტიანად წარმართვისათვის (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5; ფ. 19).

Продолжительность срока разоб- щения учащихся, бывших в со- прикосновении с заболевшими заразною болезнью или живущих с ними в одной квартирѣ.	Учащійся или учащаяся доу- скается въ школу.
Послѣ скарлатины 12-14 дней	Послѣ 6 недель со дня появленія оспи и если нѣтъ слѣдовъ шелушенія
Послѣ кори 15 дней	Послѣ 2 недель со дня появленія оспи и если нѣтъ слѣдовъ шелушенія
Послѣ краснухи 16 дней	Послѣ 2 недель отъ начала появле- нія оспи.
Послѣ вѣтряной оспи 17 дней	Когда отпадутъ все корки.
Послѣ коклюша 15-20 дней	Послѣ 6 недель отъ начала кашля, когда онъ потеряетъ судорожный характеръ и прекратится выдѣле- ніе мокроты.
Послѣ свинки 22 дня	Послѣ 3 недель отъ появленія опу- ханія желѣза.
Послѣ дифтерита до 14 дней	Черезъ 3 недели по выздоровленіи по прекращеніи гингивита вѣва, гортани и носа / при возможности бактеріологическаго исследованія, по исчезновеніи дифтеритическихъ палочекъ /
Послѣ оспы 14 дней	Когда отпадутъ корки.
Инспекторъ Народныхъ училищъ Кутаисской губерніи III района	

ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5; ფ. 16

საქმეში დევს, 1912 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული, ბერძნულ სასწავლე-ბელში სწავლების მსურველთა სია (ხელნაწერი).სიას თან ერთვის პოტენციურ მოსწავლეთა ასაკი და მისამართები (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5; ფ. 53-57).

საქმის მასალებიდან ჩანს (1912 წლის ანგარიში) სასწავლებლის სრული დასახელება (ბათუმის სუთ კლასიანი საქალაქო დაწეებითი სასწავლებელი, იგივე პირველი ბერძნული საქალაქო დაწეებითი საწავლებელი) და მისამართი (ბათუმი, დონდუკოვ-კორსაკოვის(ახლა, კ.გამსახურდიას) № 37) (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5, ; ფ. 75).

სასკოლო ანგარიშის სპეციალურ გრაფაში საინტერესო მონაცემებია მასწავლებელთა შესახებ. დოკუმენტში წარმოდგენილია მასალები მათი განათლებისა და სპეციალობის შესახებ:

1. ცანდუკოვი კონსტანტინე ტრიფონის ძე-მღვდელი, საღმრთო სჯულის მასწავლებელი, დამთავრებული ჰქონდა ერევნის სამასწავლებლო სემინარია, დაოჯახებული, მუშაობდა 1894 წლიდან.
2. ლაზარიდი ანასტასი მაქსიმეს ძე- სხვადასხვა მეცნიერებების მასწავლებელი, დაუთმავრებია ერევნის სამასწავლებლო სემინარია, მუშაობს 1900 წლიდან.
3. კონსტანტინიდი სტილიან ილიას ძე, ხონის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული, სხვადასხვა მეცნიერებების მასწავლებელი, მუშაობს 1908 წლიდან.
4. ლოლუა მარია – ხელსაქმის მასწავლებელი, საოჯახო განათლება, აქვს მოწმობა, რომლის მიხედვითაც უფლება ჰქონდა ხელსაქმის მასწავლებლად ემუშავა, მუშაობდა 1905 წლიდან.

5. კალანდაძე იუსტინე სერაპიონის ძე – სიმღერის მასწავლებელი, საოჯახო განათლება, დაოჯახებული, 1904 წლიდან მუშაობს.
6. გომანი ნიკოლოზ – ხელსაქმის მასწავლებელი, საოჯახო განათლება, ჰქონდა ხელსაქმის მასწავლებლად მუშაობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, დაოჯახებული, მუშაობდა 1896 წლიდან (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 5.; ფ. 77).

საქმე № 6 – წარმოდგენილია 1914 წლის მასალები. დოკუმენტების მიხედვით ბათუმის ბერძნული დიასპორა იყო წარმომადგენლობითი, რაზეც მეტყველებს თუნდაც ყოველდღიური ბერძნული გაზეთი “არგონავტი“ და ყოველთვიური ჟურნალი „ატლანტიკი“ (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.1).

დოკუმენტებში საინტერესო მონაცემებია დაცული საქველმოქმედო საქმიანობის შესახებაც. საქალაქო მმართველობის შემოღების 25 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიება ითვალისწინებდა ღარიბ მოსწავლეთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისათვის 600 მანეთის გამოყოფას. ამ თანხიდან ბერძნულ სასწავლებელს 98 მანეთი ერგო (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.12). იგივე ქველმოქმედებასთან გვაქვს საქმე, როცა საქალაქო მმართველობა სასწავლებლის ხელმძღვანელობას თხოვს წარუდგინოს უღარიბეს მოსწავლეთა სია, რათა წინასწარ განისაზღვროს და გაიწეროს ბიუჯეტში, ვის რა სახის დახმარება ესაჭიროებოდა. სიაში შეტანილია სულ 29 მოსწავლე (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.15).

პირველი მსოფლიო ომით განპირობებული საომარი მოქმედება აისახა სასწავლებლის ცხოვრებაზე. შესაბამისად აიკრძალა გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის მოქალაქეთა სასწავლებელში მიღება, რაზეც მესამე რაიონის ინსპექტორის სპეციალური განკარგულება იქნა გამოცემული (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.34).

სასწავლებლისათვის დაქირავებული ჰქონიათ სომხურ-კათოლიკური სამეურვეოსა და სახლთმფლობელ კაპულიდის შენობა, რომელიც გათავისუფლებულია და დაუბრუნდათ მფლობელებს. ხოლო სასკოლო ინვენტარი პუშკინის სასწავლებელში იქნა გადატანილი. ეს დასტურდება ბათუმის პირველი საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელმძღვანელის 1914 წლის 24 ოქტომბრის ანგარიშით ბათუმის საქალაქო მმართველობასადმი, რომელსაც ხელს აწერს სასწავლებლის ხელმძღვანელი ლაზარიდი (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.47).

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ცოდნის გასაღრმავებლად იგეგმებოდა სპეციალური კურსები, რომლის დანიშნულება და მიზანი კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. 1914 წლის 1 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის შენობაში ტარდებოდა ნაყოფისა და ბოსტნეულის კონსერვირებასთან დაკავშირებული კურსები. აღნიშნულის შესახებ სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორი აცნობებდა ბერძნული სასწავლებლის მასწავლებელ ლაზარიდს (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 6; ფ.50).

საქმე № 7-ში საინტერესო მასალებია სასწავლებელში ქოლერის დაავადების გავრცელების საკითხებზე. დაავადების გახშირების გამო სასწავლებლის ხელმძღვანელი 1916 წლის 29 მარტის წერილით თხოვს ქალაქის მმართველობას, დაუშვას შესაბამისი განკარგულება, რათა როგორც სამ, ასევე ოთხ გრამიანი 100-100 ცალი ქინაქინა უფასოდ გადაეცეთ ბავშვებს საჭიროების შესაბამისად, სიტუაციის დამძიმების შემთხვევაში (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 7; ფ.13).

საქმეშია ბერძნული სასწავლებლის ხელმძღვანელი ლაზარიდის თხოვნა კავიზმანის ოლქის უფროსისადმი, რათა უშუამდგომლოს შესაბამის სტრუქტურებთან საშვის გამოწერის თაობაზე. ლაზარიდი ყოფილა ყარსის ოლქის სოფელ ოლუხლის

მკვიდრი. დიდი ალბათობით მასაც გაიწვევდნენ სამხედრო სამსახურში, როგორც მეომარს. ამიტომ იგი ითხოვდა გაწვევამდე მშობლიურ სოფელში დაბრუნებას პირადი საქმეების მოსაგვარებლად. აქვეა მისი ოჯახის შემადგენლობა:

1. თვითონ, ანასტას პანაიოტის ძე ლაზარიდი, 36 წლის;
2. მეუღლე- ელენა ტრიფონის ასული, 30 წლის;
3. ქალიშვილი – ქრისტინა, 10 წლის;
4. ვაჟიშვილები-გიორგი, 8 წლის;
პანაიოტი, 7 წლის;
5. და სოფია (ქმრის გვარი სამარჯვეა), 30 წლის;
6. ძმისშვილი ნინა (ძმა, რომლის კმაყოფაზეც ცხოვრობდა, ტყვედაა გერმანიაში), 17 წლის (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 7; ფ.29).

როგორც ჩანს, საომარი სიტუაციიდან გამომდინარე, ჯარში გაწვევის საკითხი საკმაოდ აქტუალურია 1916 წლისათვის. ამაზე მოწმობს სტილიან ილიას ძე კონსტანტინიდის (ბერძნული სასწავლებლის მასწავლებელი) ანგარიშიც. წერილიდან ირკვევა, რომ იგი დაბადებულია სოფ. ახალშენში, კინტრიშის საპოლიციო უბანში, 1887 წლის 1 ოქტომბრამდე. კავკასიაში იმპერატორის რწმუნებულის ბრძანებით, იგი გაწვევას არ ექვემდებარებოდა (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 7; ფ.34).

საქმეშია აგრეთვე მეორე კურსის სტუდენტის კონსტანტინე დიმიტრი ძე კუციდის თხოვნა ბერძნულ სასწავლებელში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ. უსახსრობის გამო კუციდი ვერ მიდის სწავლის გასაგრძელებლად. ამიტომ მთელ სასწავლო წელს ბათუმში გაატარებს. ბერძნულ სასწავლებელს იმ დროს ჰქონია ვაკანსია. ამიტომ ითხოვს იგი აღნიშნულ სასწავლებელში დასაქმებას. (ფონდი ი-23; ანაწ.1; საქ. 7; ფ.55).

საქმე № 8 — დაცულია მხოლოდ ერთი მოწმობა, რომელიც ეკუთვნის არხანტოპულო გიორგი ლაზარეს ძეს, დაბადებულს 1904 წლის 14 ნოემბერს, მართლმადიდებელს. მოწმობით დასტურდება, რომ მან 1917 წელს დაასრულა ბათუმის პირველი ბერძნული საქალაქო დაწესებითი ერთკლასიანი სასწავლებლის სრული კურსი. მოწმობას ხელს აწერენ სასწავლებლის ხელმძღვანელი ლაზარიდი, საღვთო სჯულის მასწავლებელი ცანდეკოვი.



**საქართველო სომხეთის არქივებსა და ნივნსაცავებში
(ფონდ 114 ის მიმოხილვა)**

2021 წლის 21 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამა „პორიზონტი 2020“-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში ვიმყოფებოდი სომხეთის დედაქალაქში, რამაც მომცა შესაძლებლობა გავცნობოდი არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ რუსულენოვან დოკუმენტურ მასალებს საქართველოს შესახებ. დოკუმენტების სიუხვემ მოლოდინს გადააჭარბა. მართალია არქივში დაცული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივშიცაა დაცული (თბილისის ხომ კავკასიის ცენტრს წარმოადგენდა), მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი დოკუმენტი სიახლე უნდა იყოს ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, განსაკუთრებით მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის არსებულ სასაზღვრო დაკავშირებებთან 1918-1920 წლებში.

აღნიშნულის შესახებ მასალები დაცულია **სომხეთის სსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის № 114-ე და სომხეთის პირველი რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის № 275-ე ფონდებში**. ეს ფონდები ბოლო დრომდე გასაიდუმლოებული იყო, ამჟამად კი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

აღნიშნულ ფონდებში დაცული დოკუმენტები ძირითადად ეხება ლორეს სასაზღვრო რეგიონის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავის საკითხებს. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს 1920 წლის დეკემბრიდან 1921 წლის იანვრამდე. როგორც ცნობილია, თურქეთმა 1920 წლის სექტემბერს განაახლა საბრძოლო მოქმედებები კავკასიის რესპუბლიკების, მათ შორის სომხეთის წინააღმდეგ, აიღეს ყარსი, აღექსანდრეპოლი და პრაქტიკულად სომხეთის მთელი ტერიტორია სევანის და ერევანის გამოკლებით. ერევანში საგარეო საქმეთა მინისტრისადმი თბილისიდან გაგზავნილ წერილში ნათლად ჩანს ნეიტრალური ზონის უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქვემოთ ფაშას ჯარების ბოლოდროინდელ მოძრაობას და აქედან გამომდინარე საშიშროებას. გადავწყვიტეთ სომხეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში უშუალოდ ნეიტრალური ზონის მეზობლად გაავადიეროთ ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში საზღვრების დაცვა და დაეიწყოთ მოლაპარაკებები სომხეთთან“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 2). საქართველო რომ აღნიშნულ ქმედებას ცალმხრივად არ წყვეტდა, ეს ჩანს ამ დოკუმენტიდანაც: გავრცელებული ხმები, „თითქოსდა საქართველომ გადაწყვიტა დაიკავოს ნეიტრალური ზონა სომხეთთან მოლაპარაკებების გარეშე ეფუძნება გაუგებრობას“... „ჩვენ არ გვინდა ვისარგებლოთ თქვენი სირთულეებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება. მზად ვართ მოლაპარაკებისათვის“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 2).

64W34
Копия. 47
СОГЛАШЕНИЕ МЕЖДУ ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКОЙ
И РЕСПУБЛИКОЙ АРМЕНИИ по вопросу о ВРЕМЕННОМ ВВОДЕ ГРУЗИНСКИХ
ВОЙСК В НЕЙТРАЛЬНУЮ ЗОНУ ВОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА.

В виду наступления на Армянскую Республику Турецких войск Ангорского Правительства и создавшейся угрозы Нейтральной Зоне и самой Грузии, по предложению Правительства последней уполномоченные упомянутых Правительств - со стороны Грузии Военный Министр Г.С. Лордкипанидзе и Товарищ Министра Иностранных Дел И.В. Сабаштарашвили, а со стороны Армении делегация Республики в лице председателя С.Г. Мамиконяна, Т.А. Бекаджяна и С.А. Хачатуряна заключили следующее соглашение:

1. По предложению Правительства Грузии Правительство Армении дает согласие на ввод в Нейтральную Зону Грузинских войск.
2. Нахождение Грузинских войск в Нейтральной Зоне не порождает никаких новых прав на эту территорию.
3. Администрация остается на прежних основаниях.
4. Все нужное для своего снабжения войска покупают по вольным ценам не прибегая к реквизиции.
5. В случае необходимости в нейтральную зону пропускаются беженцы из Армении в числе примерно до 10.000 душ.
6. Государственное имущество Армянского Правительства и его учреждений беспрепятственно должно быть пропускаемо в нейтральную зону, причем имущество это остается в полной собственности Армянской Республики и по требованию последней должно быть ей возвращено.
7. Для наблюдения за точным исполнением данного соглашения при Грузинском командовании в нейтральной зоне находится особо уполномоченный Армянского Правительства.
8. Данное соглашение заключается сроком на три месяца, после чего может быть продлено по обоюдному соглашению. Если новое соглашение не состоится, то данное соглашение теряет силу, войска уводятся и восстанавливается старое положение.
9. Соглашение это входит в силу с момента подписания и составляется в двух экземплярах за общую подписью.

13 Ноября, 1920г. гор. Тифлис.

/Следуют подписи/.

სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების მიზნით ორი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა 13 ნოემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ღორეს ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის შეყვანის შესახებ. სომხეთის მხრიდან ამ ხელმოწერის პროცესში მონაწილეობდნენ სტეპან მაშიკონიანი, ტიგრან ბეგზადიანი და სმბათ ხაჩატურიანი, ხოლო საქართველოდან სამხედრო მინისტრი ივანე ღორთქიფანიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი. ღორეში ქართული ჯარის შეყვანა შედიოდა სომეხთა ინტერესებშიც. 114-ფონდის 56-ე საქმეში დაცულია აღნიშნული ხელშეკრულება რუსულ ენაზე.

ჩვენ მოვიპოვეთ ეს დოკუმენტი და ვთარგმნეთ ქართულ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად წარმოგიდგენთ ჟურნალის შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილ დოკუმენტურ წყაროებში. ამიტომ მის შესახებ საუბარს აქ აღარ გავაგრძელებთ.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ღორეს ზონაში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნა გევორქ ხატისიანი, რომელიც სასაზღვრო საკითხების მოლაპარაკებისა და დავის საკითხებში ჩაბმული იყო 1918 წლიდან. ხატისიანის რეზიდენცია განთავსდა სანაიანში. ხატისიანი დანიშნულების ადგილზე ჩასვლისთანავე სომხეთის ხელისუფლებას წარუდგენს ინფორმაციას ღორეში ქართული ჯარების შეყვანის საკითხებზე და ქართულ მხარეს ადანაშაულებს ხელშეკრულების პირობების დარღვევაში. მაღე, 1920 წ. 2 დეკემბერს სომხეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რომლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ ხელისუფლებას შორის გაფორმებული 13 ნოემბრის ხელშეკრულება. საქმეში დაცულია ხატისიანის 1920 წ. 19 დეკემბრის (ПИСЬМО ОСОБОУПолНОМОЧЕННОГО ПРАВИТЕЛЬСТВА АРМЕНИИ В НЕЙТРАЛЬНОЙ ЗОНЕ БОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА Г. ХАТИСЯНА ПРЕДСТАВИТЕЛЮ РЕВКОМА АРМЕНИИ В ГРУЗИИ, სომხეთის ცსა, ფ. 275, ან.. 5, საქმ.. 223, ფურც 132–133) და 9 იანვრის (ПИСЬМО ОСОБОУПолНОМОЧЕННОГО ПРАВИТЕЛЬСТВА АРМЕНИИ В НЕЙТРАЛЬНОЙ ЗОНЕ БОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА Г. ХАТИСЯНА ПРЕДСТАВИТЕЛЮ РЕВКОМА АРМЕНИИ В ГРУЗИИ. სომხეთის ცსა, ფ.. 275, ან. 5, ს. 223, ფურც 140–141) წერილები და 10 იანვრის „ჩანაწერი“, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლებას უყენებს სხვადასხვა სახის ბრალდებებს, თუმცა არაფერს ამბობს ან და ამბობს მისთვის სასურველ კონტექსტში იმის შესახებ, რომ საქართველომ ჯარები შეიყვანა სომხეთის თანხმობით და იქ იმყოფებიან 13 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით (სომხეთის ცსა, ფ. 275, ან.. 5, საქმ.. 223, ფურც 132–133; 140–141).

ხატისიანის მესამე დოკუმენტი, ე. წ. „ზაპისკა“ 1920 წ. 10 იანვრითაა დათარიღებული და ეხება საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხებს არა მარტო ღორეს სადავო რეგიონში, არამედ საქართველო-სომხეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე.

ფონდში დეტალურადაა აღწერილი ნეიტრალური ზონის საზღვრები (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 3), ზონაში შემაჯავალი სოფლები (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 4), ნეიტრალური ზონის კომისიის გ. ღლონტის მიმართულები ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატისა და უბნის ხელმძღვანელებისადმი, რომელშიც ნათლად ჩანს ქართული სახელმწიფოს მიზანი – მოსახლეობის დაცვა, სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოება (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 3, 4).

114-ე ფონდის სხვა საქმეებში წარმოდგენილია სომხეთის და საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენელთა მიმოწერები. როგორც ცნობილია, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მოითხოვა ქართული ჯარების გაყვანა ღორეს ნეიტრალური ზონიდან, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ ზემოთდასახელებული ხელშეკრულების საფუძველზე. სომხეთის საგარეო უწყების ნოტებში ეს ტერიტორიები დასახელებულია, როგორც „სომხეთის უდავო მიწები“ და ქართველები დადანაშაულებულნი არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევაში, რეგიონის ოკუპაციაში, ტელეგრაფისტების დაპატიმრებაში, სადამსჯელო ექსპედიციების გაგზავნაში და ა. შ. ეს პოზიციაა დაფიქსირებული საქართველოს საგარეო უწყებისადმი ერევნიდან გამოგზავნილი 1920 წლის 17 ნოემბრის № 4874 (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 1), 27 დეკემბრის ნოტებით (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ც, ს. 26, ფურც. 7), ასევე 1921 წ. 15 იანვრის (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 54,55; ასევე, საქმე № 22, ფურც. 80) ნოტებში.

სომხური მხარე ითხოვს გენერალ-გუბერნატორობის ინსტიტუტის არალეგიტიმურად გამოცხადებას და მოუწოდებს ადგილობრივებს დაუმორჩილებლობისაკენ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 33-37).

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სომხური მხარე ერთი მხრივ მოითხოვს ქათული ჯარების გაყვანას ნეიტრალური ზონიდან (რაც 13 ნოემბრის შეთანხმების დარღვევაა), მეორეს მხრივ კი ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად და უცნობებლად იღებს თურქეთის ულტიმატუმს, რომლის მიხედვითაც „თურქეთის მიერ უნდა გაიწმინდოს ბორჩალოს უეზდის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალური ზონის – ეროვნულ საზღვრის ხაზიდან სოფელ ნალბანდამდე, ასევე ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილი“, ხოლო „სანაიანის სადგურზე დაშვებულ იქნას თურქეთის საკონტროლო კომისია“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 3).

კასიანის 1920 წ. 7 დეკემბრით დათარიღებულ წერილში პირდაპირი დავალება ეძლევა აივაზოვს „დაუყოვნებლივ აიყვანონ შინაპატიმრობაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და მთელი მისი თანამშრომლები სომხეთში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 23, ფურც. 1). დავალების შესაბამისად სომხეთში საქართველოს წარმომადგენელი გენერალი კარალოვი და მისიის მდივანი პოლკოვნიკი მიქაბერიძე 1920 წ. 7 დეკემბერს აიყვანეს შინაპატიმრობაში, რაც საქართველოს მხარის მიერ მიჩნეულ იქნა მტრულ ნაბიჯად: „ეს ფაქტი ჩვენს მიერ განხილულია, როგორც სომხეთის მხრიდან მტრული მოქმედება და ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს. მოვითხოვთ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“, ვკითხულობთ ქართული მხარის მიერ გაგზავნილ საპროტესტო ნოტაში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 12, ფურც. 5).

საქმე № 26 ეხება სომხეთის მიერ 13 ნოემბრის ხელშეკრულების ცალმხრივად, ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე ანუღირების საკითხს (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4). დოკუმენტში წარმოდგენილი ერვანდ

აირაპეტიანის მოხსენებიდან ჩანს, რომ სომხები ადგილობრივ მოსახლეობაში ატარებენ ღონისძიებებს საბჭოთა სომხეთისადმი ღორეს მიერთების პროპაგანდით, ქმნიან მებრძოლ ჯგუფებს და ამზადებენ მოსახლეობას აჯანყებისათვის. დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 17 დეკემბრით, ვკითხულობთ: „ჩვენი ორგანიზაცია მომზადებულია აჯანყებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა აგრესიული მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენს საერთო პოლიტიკასთან, ველოდებით ინსტრუქციას სომხეთის რევკომისაგან (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 2). რაც შეეხება ხელშეკრულების ცალმხრივად ანულირებას, ამის შესახებ სომხეთის საგარეო უწყებამ ქართულ მხარეს აცნობა 1920 წ. 18 დეკემბრის წერილით (ე.ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ). დოკუმენტში ვკითხულობთ: „სომხეთის რევკომს არ შეუძლია ცნოს საქართველო-სომხეთის 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმება. ჩვენს მიერ პირადად იქნა წამოყენებული წინადადებები კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად დეკემბრის თვიდან ქართული ჯარის ნეიტრალური ზონიდან გაყვანის შესახებ“, რომ „13 ნოემბრის შეთანხმება თავისი არსით მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას.... განსაზღვრულ მომენტში იგი მისაღები იყო დაშნაკების ხელისუფლებისათვის, მაგრამ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს შეთანხმება კარგავს ძალას. ამიტომ სომხეთის რევკომმა მოახდინა მისი ანულირება და მოითხოვს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას.“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4; ასევე, საქმე 42, ფურც. 3).

იმავე საქმეში არის ქართული მხარის საპასუხო წერილი, რომელშიც მიუღებლად მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად ანულირების საკითხი. „თუ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო უნდა დაისვას ამ შეთანხმების ანულირების საკითხი, მაშინ ამავე საფუძველით ყველა დანარჩენი ხელშეკრულებაც უნდა გაუქმდეს, რომელსაც მოაწერა ხელი საქართველომ სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4).

საარქივო ფონდებში წარმოდგენილია საქართველოს საგარეო უწყების მიერ ერევანში გაგზავნილი წერილები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოლაპარაკებების სურვილი არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ქართული მხარე ამ მოლაპარაკებებში არ გამორიცხავს რუსეთის მონაწილეობასაც. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ღორეს რეგიონში ქართული ჯარების შეყვანა ხელშეკრულების საფუძველზე სრულიად უმტიკონეულოდ განხორციელდა, რომ ამ ღონისძიებით შემცირდა სომეხი ლტოლვილების რაოდენობა, ხალხი დაუბრუნდა მამაპაპისეულ ადგილებს, ხელი შეეწყო ქურდობისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლას. დოკუმენტში მკაფიოა დაფიქსირებული, რომ ქართულ მხარეს არ გაუგზავნია არავითარი დამსჯელი ექსპედიცია, ხოლო ტელეგრაფისტების დაპატიმრება განპირობებული იყო აგენტურულ საქმიანობაში მათი მონაწილეობის ფაქტებთან (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 16)


ფონდში დაცული დოკუმენტები ეხება აგრეთვე 1921 წ. იანვარ-მარტის განმავლობაში სომხეთის მიერ საქართველოს სასაზღვრო ხაზის დარღვევის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 49, ფურც. 1-30), საქართველოში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლად შავერდოვის დანიშვნის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 49, ფურც. 2), სამხედრო ხასიათის (ქართული ჯარების რაოდენობა, განლაგება და ა. შ.) შემცველი ინფორმაციის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა,

ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 9-16), საქართველოს სასურსათო მდგომარეობის, მატარებლების დაუბრკოლებელი მოძრაობის (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 62), საქართველოში სომხეთის დიპლომატიური მისიის შემადგენლობის, ღორეს ზონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის, რეგიონის პოლიტიკური ბიუროს შემადგენლობის (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 82, ფურც. 1-41) და სხვა საკითხების შესახებ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სომხეთა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „იაკულტა“-ს დროებითი კომისიის 1921 წ. 16 მარტის წერილმა საქართველოს რევკომისადმი, რომელშიც საუბარია საქართველოში ჩამოყალიბებული სომხეთის ეროვნული საბჭოს შესახებ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს ორგანო მნიშვნელოვან ღონისძიებებს უწევდა ორგანიზებას, ინახავდა 120 სკოლას, ეხმარებოდა დაზარალებულ სომხურ იჯახებს, თავის ირგვლივ გააერთიანა საქართველოში მოქმედი ყველა სომხური კულტურული დაწესებულება. იქვე საუბარია სომხეთის რევკომის თავმჯდომარის სურენ ერზინკიანისა და ადგილობრივი სომხები კომუნისტების ინიციატივით თბილისში დაფუძნებული სომხების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „იაკულტი“-ს დროებითი კომისარიატის საქმიანობის შესახებაც. ორგანიზაციის ხელმძღვანელები თხოვენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ საქართველოში მოქმედი სომხეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები შევიდეს სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში (სერ ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 61, ფურც. 17).

ფონდში ვხვდებით მასალებს ბათუმში სომხეთის კონსულის თუმანიანის დაპატიმრების (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 146, ფურც. 36), საკონსულოს საქმიანობის, შემდეგ კი, 1922 წ. მარტიდან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებაც (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 146, ფურც. 1-70).

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საქართველოში 1921 წლისათვის კვლავ მომ-



რავლებულან სომხები ღტოლვილები. № 46 110 ფურცლიან საქმეში წარმოდგენილია სომხები ღტოლვილების შესახებ არმენკომის მიერ 1921 წ. 31 მაისს მიღებული დადგენილება, რომლიდანაც ჩანს, რომ ღტოლვილი სომხები საქართველოში გადმოსულან „ყარსიდან, ალექსანდრეპოლიდან, ბაიაზეთიდან, იგდირის რაიონებიდან – სომხეთ-თურქეთის 1920 წლის ომის შემდეგ. სომხები საქართველოში წავიდნენ, რადგან მათი სამშობლო დაიკავეს თურქებმა“ (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 46, ფურც. 51). „თბილისში, ნავთლულში, მადათოვის კუნძულზე, სადგურის რაიონში, ვორონცოვის ქუჩაზე და მდ. მტკვრის გაყოლებაზე – ვორონცოვის ქუჩიდან ნავთლულამდე ღია ცის ქვეშ ცხოვრობს 6-8 ათასი ღტოლვილი“. დადგენილებაში აღნიშნულია მათთვის დახმარებისა და 100 საწოლიანი საავადმყოფოს გახსნის აუცილებლობის საკითხი (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 46, ფურც. 51).


საარქივო დოკუმენტებიდან თვალსაჩინო ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: საბჭო-

თა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც საქართველოს ტერიტორიაზე, სადახლო-დან შულავერამდე მატარებელს სომხეთის მილიცია აცილებდა, რაც ქმნიდა გარკვეულ გართულებებს, რადგან ლტოლვილების საქართველოში შემოსვლის აკრძალვის მიუხედავად სომეხი მილიციონერები არაფერს აკეთებდნენ მათ შესაკავებლად. შესაბამისად დიდი იყო დანაშაულობებისა და კონტრაბანდისტული საქმიანობის საშიშროება. აღნიშნულის თაობაზე № 26 საქმეში დაცულია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ა. სვანიძის 1921 წ. 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი სომეხი კოლეგის მრავიანისადმი, რომელშიც იგი ითხოვს რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე სომეხი მილიციონერების ჩანაცვლებას ქართველი სამართალდამცავებით. ა. სვანიძე სვამს აგრეთვე სასაზღვრო საკითხების გადაჭრის აუცილებლობის საკითხს, რომელიც უნდა განეხილა განსაკუთრებულ კომისიას. კომისიის შემადგენლობა ქართველების მიერ უკვე დასახელებული იყო და ა. სვანიძე ამასვე ითხოვდა სომხეთის ხელისუფლებასაც (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს. ს. 26, ფურც. 98).

სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო დავებისა და კონფლიქტის საკითხებზე მასალები დაცულია სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – მატენადარანში.

სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 1919 წელს, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ბაქოში, ტოპოგრაფია „ურარდია“-ში დასტამბა 38 გვერდიანი ბროშურა – **„სომხეთ - საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი** ფაქტობრივი მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე“ (რუსულ ენაზე). ეს ბროშურა დაცულია სომხეთის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – მატენადარანში ნომრით 1660.

ნაშრომში უგულებელყოფილია ისტორიზმის პრინციპები. რეალური ვითარების მრუდე სარკეში წარმოჩენით ავტორი ცდილობს მთელი პასუხისმგებლობა დააკისროს საქართველოს ხელისუფლებას. ბროშურაში ქართული მხარე „იმპერიალისტებადაა“ მოხსენიებული, რომელიც თითქოსდა სარგებლობდა სომხეთის სირთულეებით და გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდა თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას – „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი 1919:12). წიგნში წინა პლანზეა წამოწეული ეთნიკური პრინციპის საფუძველზე ტერიტორიების გადანაწილების აუცილებლობის საკითხი. წიგნში ვკითხულობთ, რომ საქართველოსთან სადავო ახალქალაქის, მიმდებარე წალკის, ბორჩალოს უეზდებში, მდ. ხრამიდან და ყაზახის უეზდის სამხრეთით მდებარე სომხური ნაწილში ცხოვრობს 260 ათასი სომეხი, 7 ათასი ქართველი. აზერბაიჯანთან სადავო ყაზახში 70 პროცენტი სომეხია (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:2). ავტორები რატომღაც არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობა. ამ სტატისტიკაში ისინი არ მოიაზრებენ ყარსსა და



ბათუმს, რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ეს ტერიტორიები ჩამოაჭრეს კავკასიას, რომელზეც ასევე ჰქონდათ პრეტენზიები. ეს დაადასტურა შემდგომი პერიოდის მოვლენებმა.

სომხათ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ რუსულენოვანი ნაშრომები დაცულია სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც. მათგან მნიშვნელოვანია 1919 წელს გამოცემული „Документы, относящиеся к конфликту между грузинским и армянским правительствами с октября по декабрь 1918 года“.

სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ქართველი ავტორის (ავტორი მითითებული არაა) წიგნი „Из истории Армяно-грузинских отношений, 1918 год (пограничные конфликты, переговоры, война, соглашение) (Тифлиς, государственная типография, 1919). ვფიქრობ, ეს წიგნი დაცული იქნება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც. ამიტომ მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა სომხებთან. მეგობრული და ტრადიციული ურთიერთობის საკითხებზე სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებიდან მნიშვნელოვანია ოვანეს თუმანიანის წერილები და მის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მათ შორის უნდა დავასახელოთ: ო. თუმანიანის „სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ“ (ერევანი, 1951) და კ. გრიგორიანის ნაშრომი „ოვანეს თუმანიანი (1869-19230) (ლენინგრადი, 1950).

ოვანეს თუმანიანი უმღეროდა კავკასიის ამ ორი უძველესი ხალხის მეგობრობას. იგი ღირსეულად მოიქცა ძმათამკვლელი ომის დროს და ერევანში ჩარჩენილ შვილებს დაეშუქრა, რომ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში მათზე უარს იტყოდა (ალესილი ხმლები. 1919 წ. 18 დეკემბერს ო. თუმანიანმა, როგორც გაერთიანებული „პატრიოტული კავშირის“ საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია საგანგებო სხდომა და მიიღეს მიმართვა ძმათამკვლელი ომის შეწყვეტის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ, არ არსებობდა ამ ორ მოძმე ხალხს შორის საკითხი, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით“ (კ. გრიგორიანი, 1950:233). ლევან ყიფიანისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ო. თუმანიანმა სომეხ-ქართველთა ომი და მტრობა ხელისუფლებების მიერ შექმნილ ხელოვნურ პრობლემად გამოაცხადა, ხოლო ძმობა-სიყვარული – ბუნებრივად: „ღორეს ხეობაში – წერდა პოეტი, არის ხიდი. ხიდის ერთ ბოლოში დააყენეს სომეხი მეომარი, მეორე ბოლოში-ქართველი. ორივენი არიან შეიარაღებული და შეუპოვრად უთვალთვალებენ ერთმანეთს. როგორც აღმოჩნდა, ისინი მეგობრები იყვნენ, ერთად იბრძოდნენ, ერთად ეწამებოდნენ, ერთად უხაროდნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ. ეხლა ისინი დააყენეს ერთმანეთის პირისპირ. მაგრამ მათ თხოვეს ახლოს მდებარე სოფლებს – იყო თუ არა ახლოს ხელმძღვანელობა და ხომ არ უთვალთვალებდნენ მათ. როცა გაიგეს, რომ არავინ უთვალთვალებდა, ერთმანეთისაკენ გაიქცნენ, მოეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი. შემდეგ დაიკავეს თავთავიანთი ადგილები“ (კ. გრიგორიანი, 1950:234, ასევე, ო. თუმანიანი, 1951:28).

სომხეთის არქივებსა და წიგნსაცავებში სხვა მრავალი საინტერესო დოკუმენტებიცაა დაცული საქართველოზე. მათ შესახებ მკითხველს მოვუთხრობთ სხვა პუბლიკაციებში.

საარქივო დოკუმენტები

2021 წლის 21 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში პროფესორი თამაზ ფუტყარაძე იმყოფებოდა სომხეთის დედაქალაქში, რამაც მისცა შესაძლებლობა გაცნობოდა არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ რუსულენოვან დოკუმენტურ მასალებს საქართველოს შესახებ. ვფიქრობთ, რომ **ზოგიერთი დოკუმენტი სიახლეა ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, განსაკუთრებით ის მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის არსებულ სასაზღვრო დავებთან 1918-1920 წლებში.** ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს 1920 წლის დეკემბრიდან 1921 წლის იანვრამდე. მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნულ დოკუმენტებს.

სომხეთის ეროვნული არქივი

ფონდი 114, ანაწერი 2 ს.

**სომხეთის სსრ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი
(მასალები მიოდია, თარგმნა და ჩამოიტანა თამაზ ფუტყარაძემ)**

1920 წელი

შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ბორჩალოს უეზდის ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის დროებითი შეყვანის თაობაზე

სომხეთში ანგორის მთავრობის თურქული ჯარების შეტევის გათვალისწინებით, ნეიტრალურ ზონაში შექმნილი საფრთხეებიდან, ასევე საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის წინადადებით და ზემოთხსენებული მთავრობების უფლებამოსილებით – საქართველოს მხრიდან: სამხედრო მინისტრის გ. ს. ლორთქიფანიძის და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის კ. საბახტარაშვილის, ხოლო სომხეთის რესპუბლიკიდან – დელეგაციის თავმჯდომარის ს. მამიკონიანის სახით და ტ. ბეკზადიანის, ს. ხაჩატურიანის მონაწილეობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს მთავრობის წინადადებით სომხეთის მთავრობა იძლევა თანხმობას ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების შეყვანის შესახებ;
2. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე არ იძლევა არავითარ უფლებას ამ ტერიტორიების კუთვნილებაზე;
3. ადმინისტრაცია რჩება უცვლელი;
4. ჯარებისათვის საჭირო პროდუქტები შესყიდული იქნება თავისუფალ ფასებში რეკვიზიციის გამოყენების გარეშე;
5. აუცილებლობის შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში სომხეთიდან შეშვებული იქნებიან ლტოლვილები დაახლოებით 10 000 კაცამდე;
6. სომხეთის მთავრობის სახელმწიფო საკუთრება დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაცული ნეიტრალურ ზონაში. ეს ქონება ეკუთვნის სომხეთის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში მას უნდა დაუბრუნდეს;
7. ამ შეთანხმების პირობების შესრულების კონტროლისათვის ნეიტრალურ ზონაში დაინიშნება სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული უფლებამოსილებით წარმოდგენილი პირი;

8. ეს ხელშეკრულება ფორმდება სამი თვით, რის შემდეგაც შესაძლებელია მისი გაგრძელება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. თუ არ შედგება ახალი შეთანხმება, მაშინ ძალას კარგავს ეს შეთანხმება, ქართული ჯარი გადის ნეიტრალური ზონიდან და აღდგება ძველი მდგომარეობა.
9. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და დგება ორ ეგზემპლარად საერთო ხელმოწერით.

13 ნოემბერი, 1920 წელი, თბილისი
სომხეთის ცსა, ფონდი 114, ს. 56, ან. 2ს, ფურც. 47

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

ნეიტრალური ზონის შესახებ 1919 წლის იანვრის სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებით ზუსტად განისაზღვრა საზღვრები და მმართველობის საკითხები ყოველი მომლაპარაკებელი მხარის მიერ.

1. 1928 წ. 31 დეკემბერს, 24 საათში ქართველების მიერ დაკავებული დამაკავშირებელი პუნქტების ხაზი უნდა გადიოდეს ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე;
2. ეს ხაზი უნდა განვიხილოთ, როგორც ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთი საზღვარი – ადგილებზე მიმართულებათა ცვლილებამდე სოფლის მაცხოვრებლების მიერ მიწის დამუშავებასთან დამოკიდებულებით.

ლეკლი-დარის მთა-სოფელ ირგანჩაის მთიანი ფერდის პირდაპირი ხაზი – 798 მ. სიმაღლის. სოფელი ჯანდარი-სიმაღლე 735 მეტრი, სოფელი აკ კერპი სიმაღლე 694 მეტრი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოპრეტამდე – სიმაღლე 492 მ. სოფ. კოჯორის, ვარდაზორის დაშლილი ეკლესია, სოფ. სადახლო, მთიანი ქედი 1554, სადახლოდან ჩრდილოეთით, შემდეგ 2660 მეტრი სიმაღლემდე-ტაპადარის მთა, შემდეგ როდნიკი, ჩრდილოეთით კაჩ-კალას კლდეები და პოლუთლუბაშის მთები.

სოფელი ირგან-ჩაი, საატე, ჯანდარი, აკ-კერპი, ოპრეტი, კოჯორი, ვარდაზორი. სადახლო რჩება პროექტირებული ხაზის ჩრდილოეთით.

ძველი თურქული ხაზი განიხილება, როგორც ნეიტრალური ზონის სამხრეთი საზღვარი. ეს საზღვარი დადგენილია 1918 წ. 25 დეკემბერს. დოკუმენტზე ხელი აქვთ მოწერილი გენერალ რიკფორტს, პოლკ. შარდინს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლის მ. არუთუნიალის მიერ 1918 წ. 25 დეკემბერს, სოფელ კარაკლისში.

სამხრეთი მთა 10.304 ფუნტის, მდ. ოვდარისი, მდ. კარაკალა, პალის ჩაი-კამენკა ძორაკეტის (ბამბაკ-დებედა) ზევით ძორაკეტისაკენ ბაბადჯანის დაშვებამდე. ზევით ბაბადჯანის, კარინჯას და მარჩემს შორის, შემოვბრუნდებით ჩრდილოეთისაკენ, ჩატინდარის მთისაკენ.

ნეიტრალური ზონის სოფლები:

1. ალავერდის უბანი. ვოლოსტი
 - ა. ალავერდისკაია: ალავერდი, ზემო ახტალა, ქვემო ახტალა, ბედნიკი, შამლუხი.
 - ბ. შინიხსკაია: არჩეში, შნოგი.
 - გ. ჩოკანსკაია: ჩოკანი

- დ. ღამბაღინსკაია: კერპილი, ღამბაღლო, აირუმი.
2. უზუნდარკის უბანი. ვოლოსტი
 - ა. უზუნდარსკაია: აგვი, ამოჯი, არდვი, იკარატი, უზუნდარი
 - ბ. ახპატსკაია: აკორი, ახრატი, ვორნაკი, სანაიანი, კარინჯი
 - გ. მაგარტსკაია: კაცაგანი, მგარტი, ოვანდარა, ცატკერი
 3. ვორონცოვსკაია. ვოლოსტი
 - ა. ვორონცოვსკაია: ვრონცოვსკაია, პრივოლნოე
 - ბ. შახნაზაროვსკაია: კოტურ-ბუღაგი, შახნაზარი
 - გ. ურუტსკაია: აიდარბეკი, ურუტი;
 - დ. ილმაზლინსკაია: ჯუჯანანტი, ილმაზლო, ირგან-ჩაი, კარაკალა, სოუს-ბუღაგი, ტეზაკენტი
- ფონდი 114, საქმე 56, ან. 2ს, ფურც. 3,4

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი

9 ნოემბერი, 1920. № 585

ალავერდი

ნეიტრალური ზონის საუბნო კომისრებს

სომხეთის საზღვრებში თურქეთის შეტევის გათვალისწინებით, ნეიტრალურ ზონაში შედის ქართული ჯარი თურქეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იმ შემთხვევაში, თუ ისინი გეზს აიღებენ ნეიტრალური ზონისაკენ. მიზნად ვისახავთ ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას. წინადადებას გაძღვეთ იმოქმედოთ ქართულ ჯართან ერთად. თქვენდამი რწმუნებულ უბნებში მოსახლეობას აუხსენით, რომ ნეიტრალური ზონის მმართველობა რჩება იგივე, უფრო ზუსტად სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების მთავარი კომისარიატის სახით.

ნეიტრალური ზონის კომისარი გ. ღლონტი

ფონდი 114, ანაწ. 2ს, საქმე 56

მიმოწერები ნეიტრალური ზონის ტერიტორიულ საკითხებზე

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი.

13 ნოემბერი, 1920. N.586

ცირკულარულად

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის უბნის ხელმძღვანელებს

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ნეიტრალურ ზონაში შედის ქართული არმიის ნაწილები – თურქეთის თავდასხმის შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის მიზნით. ნეიტრალურ ზონაში ცხადდება სამხედრო მდგომარეობა.

მთელი ადმინისტრაცია დაექვემდებარება დროებით გენერალ-გუბერნატორს.

კომისარიატი მოგიწოდებთ, შეასრულოთ გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება. საუბნო კომისრებისათვის ბრძანების სწრაფად გადაცემის უზრუნველსაყოფად ზონაში შეყვანილ იქნას ორი ცხენოსანი მილიციონერი.

ნეიტრალური ზონის კომისარი გ. ღლონტი.

13 ნოემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2 ს. საქმე 12, ფურც. 4

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი

16 ნოემბერი, 1920. № 623

ალავერდი

მთავარი კომისარიატი წინადადებას გაძღვევთ აწარმოთ სომეხი ლტოლვილების ზუსტი რეგისტრაცია თქვენდამი რწმუნებულ უბნებში და კომისარიატში წარმოდგინოთ სიები თითოეული სოფლის მიხედვით. ეს სიები გადაეგზავნება დახმარების ამერიკულ კომიტეტს ლტოლვილების სურსათით და პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის.

ნეიტრალური ზონის კომისარის მოადგილე კაპიტანი კაციტაძე

ფონდი 114, საქმე № 56, ფურც. 13

სომხეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების ნოტები – საქართველოს მიერ სომხეთის საზღვრების დარღვევის შესახებ

სასწრაფოდ

17 ნოემბერი, 1920. № 4874.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ჩვენი ინფორმაციით, ქართული ჯარები შევიდნენ ქ. ჯელალოღლში – ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე, რომელიც უდავოდ არის სომხური ტერიტორია. საჭიროდ ვთვლით გამოვხატოთ ენერგიული პროტესტი თქვენს მიერ სომხეთის სუვერენიტეტის ხელყოფისათვის. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც მტრული მოქმედება სომხეთის წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ჯარები გავლენ სომხეთის ტერიტორიიდან, რომ მეგობარი საქართველო არ ისარგებლებს სომხეთის სირთულეებით.

ფონდი 114, ანაწ. 2ს, საქმე 11, ფურც. 1

სასწრაფოდ.

ერევანი. საგარეო საქმეთა მინისტრს

8 ნოემბრის № 6298 ნოტის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქეძალ ფაშას ჯარების ბოლოდროინდელ მოძრაობას და აქედან გამომდინარე საშიშროებას.

სომხეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში გადაწყვეიტე უშუალოდ, ნეიტრალური ზონის მეზობლად გავაძლიეროთ საზღვრების დაცვა ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში და დავიწყოთ მოლაპარაკებები სომხეთთან ნეიტრალური ზონის სრულად დაკავებაზე. თქვენი გენერლის კარალოვის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოსდა საქართველომ გადაწყვიტა დაიკავოს ნეიტრალური ზონა სომხეთთან მოლაპარაკების გარეშე, ეფუძნება გაუგებრობას. ჩვენ არ გვინდა ვისარგებლოთ თქვენი სირთულეებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება. მზად ვართ მოლაპარაკებისათვის

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ერევანში

ფონდი 114, საქმე 11, ფურც. 2

1920 წ. 25 ნოემბერი

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობაში

23 ნოემბრის ნოტასთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ თურქეთის ულტიმატუმის პირობების ტექსტი. მაშინ, როცა ნოტაზე პასუხი არ მიგვიღია, საქართველოს მთავრობამ მიიღო სრულიად სანდო ინფორმაცია, რომ სომხეთის მთავრობამ შეთანხმების საფუძველზე მიიღო თურქეთის ულტიმატუმის პირობები, რომელშიც წერია, რომ თურქეთის მიერ უნდა გაიწმინდოს ბორჩალოს უეზდის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალური ზონის – ვორონცოვკის ხაზიდან სოფელ ნაღბანდამდე, ასევე ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილი და მესამე ულტიმატუმის პირობებით ნეიტრალურ ზონაში, სანაიანის სადგურზე დაშვებული უნდა იქნას თურქეთის საკონტროლო კომისია.

სომხეთმა მიიღო ეს პირობები არა მხოლოდ საქართველოსთან შეუთანხმებლად, არამედ არც კი გვაცნობა ამის შესახებ. ამასთან, თურქეთის ულტიმატუმის პირობების მიღებით ბორჩალოს უეზდში შეიქმნა ახალი სიტუაცია. მესამე ძალის შემოსვლამ გაართულა საქმე. ამიტომ, საქართველო აცხადებს კატეგორიულ პროტესტს და იძულებული ვართ მივიღოთ ყველა საჭირო ზომა საკუთარი საზღვრების დასაცავად, ასევე ბორჩალოს უეზდზე ჩვენი ინტერესების დასაცავად. ეს სომხეთის მთავრობის მიერ არ უნდა იქნას აღქმული მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად.

ფონდი 114, საქმე 11, ფურც. 3

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარი

30 ნოემბერი, 1920. № 25

კვლავ ვადასტურებ: 1. დამოკიდებულებას 28.ს/მ, № 16

გთხოვთ, სამხედრო მდგომარეობა და გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლება გამოაცხადოთ უმოქმედოდ და არ აღიაროთ ადმინისტრაციული ხელისუფლების დაქვემდებარება გენერალ-გუბერნატორისადმი, რის შესახებაც აცნობოთ ქვემდებარე პირებს.

თქვენს ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, რომ სანაიანიდან 1,5-2 ვერსტში ადგილი ჰქონდა უზუნდარელების შეტაკებას ქართველ ჯარისკაცებთან. ძმები – გლეხი კოსტანიანები დააპატიმრეს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება შეთანხმების პირობებს ადმინისტრაციის უცვლელად შენარჩუნების შესახებ. ჩემი დაუინებელი მოთხოვნით ძმები კოსტანიანები გაათავისუფლეს.

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე № 56, ფურც. 37

პრედრეკა, ანხ. აივაზოვს

7 დეკემბერი, 1920

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ აიყვანოთ შინაპატიმრობაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი სომხეთში და მთელი მისი თანამშრომლები

პრედრეკოში კასიანი

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე 23, ფურც. 1.

სასწრაფოდ

ერევანი. რეგეომის თავმჯდომე რე კასიანს!

თქვენი 1920 წ. 7 დეკემბრის ნოტის პასუხად, საქართველოს მთავრობის სახელით გაცნობებთ: თქვენი განცხადება, რომ თითქოს დავაკავეთ აზერბაიჯანიდან სომხეთისაკენ მომავალი ტრანზიტული ტვირთები, არ შეესაბამება სიმართლეს. ტრანზიტული ტვირთები გადაადგილდება შეუფერხებლად.

მეორე, საქართველოს მთავრობამ ნეიტრალურ ზონაში ჯარები შეიყვანა სომხეთ-საქართველოს 13 ნოემბრის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მესამე, საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების 7 დეკემბრის დეკლარაციით განაცხადა, რომ იგი დაიცავს ყველა შეთანხმებას, მათ შორის სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმებულ შეთანხმებასაც

10 დეკემბერი, 1920.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

ფონდი 114, საქმე 23, ფურც. 10

რეგეომის თავმჯდომე რეს კასიანს

ერევნიდან მიღებული სარწმუნო ცნობებით, სომხეთში საქართველოს წარმომადგენელი გენერალი კარალოვი და მისიის მდივანი პოლკოვნიკი მიქაბერიძე აიყვანეს შინაპატიმრობაში 1920 წ. 7 დეკემბერს. ეს ფაქტი ჩვენს მიერ განხილულია, როგორც სომხეთის მხრიდან მტრული მოქმედება და ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს. მოვითხოვთ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

10 დეკემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 5

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ჩვენი ინფორმაციით ნეიტრალურ ზონაში შემოიღეთ გენერალ-გუბერნატორობა. იმის გათვალისწინებით, რომ 13 ნოემბრის შეთანხმებით ნეიტრალურ ზონაში აღმინისტრაცია რჩება არსებულ საფუძველზე, გენერალ-გუბერნატორობა არ შეიძლება დაწესდეს ხელშეკრულების დარღვევის გარეშე. გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს.

დიპლომატიური წარმომადგენლობა.

საქართველოში სომხეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საქმის მწარმოებელი

ფონდი 114, , ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 6

ტელეგრამა

თფილისი, სანაიანის ქართული ჯარების სარდალს

23 ნოემბერს ქართული ჯარები შევიდნენ ნეიტრალურ ზონაში და დაიკავეს სომხეთის უღაო ტერიტორიები საღვურ შაგალამდე, რითაც დაირღვა 13 ნოემბრის შეთანხმება. ეს ნაბიჯი არ ემსახურება მეზობელი ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობებს.

სომხეთის რესპუბლიკის ჯარების სახელით გამოვხატავ პროტესტს
ნეიტრალური ზონის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე მედიქოვი
ფონდი 114, ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 9

**კარაკლისის უზდის რეგომის წევრის ერვანდ აირაპეტიანის მოხსენება უზდში სამ-
ხედრო მდგომარეობის შესახებ**

ქართული ჯარის ნაწილები 3 ათასი კაცი შემაღვენლობით იმყოფება სოფ. ვო-
რონცოკიდან სოფ. შაგალის ჩათვლით. სომხეთის ტერიტორიაზე – სოფ. შაგალი-
დან ჯალალოღლამდე იმყოფება დაახლოებით 800 კაცი. ქართული ჯარი შედგება
ნებაყოფილებით დაქირავებული სომხებისგან, რუსებისგან (2000 კაცი) და წითელარ-
მიელი ქართველებისგან (100 კაცი).

ნებაყოფილებით დაქირავებული ჯარი მზადაა ჩვენ შემოგვიერთდეს. ამდენად,
ბრძოლა მოგვიწევს მხოლოდ წითელარმიელებთან.

1-დან 10 დეკემბრამდე ჩავატარეთ ერთი პარტიული და ორი უპარტიო ყრილობა.
გლეხობამ გამოხატა მზადყოფნა შეუერთდეს საბჭოთა სომხეთს. აჯანყების შემთხვე-
ვაში ისინი დაგვეხმარებიან ცოცხალი ძალით, სურსათითა და პროდუქტებით. პარტია
აყალიბებს კომუჯრედებს ყველა სოფელში. ჩვენ ორგანიზება გავუკეთეთ თავდაცვის
ძალებს ყველა სოფელში 50-200 კაცის შემაღვენლობით.

გლეხებმა უარი თქვეს ქართული ჯარისისათვის დახმარების გაწევაზე. ამ სა-
ფუძველზე, გლეხებსა და წითელარმიელებს შორის სოფ. შიხინაში 12 დეკემბერს
მოხდა შეტაკებაც. იყო სროლები.

სოფ. უზუნლარში დღემდე გრძელდება დაპატიმრებები და დევნა.

12 დეკემბერს ხელთ ვიგდეთ ხელმძღვანელობის საიდუმლო ტელეგრამა, რომ-
ლიდანაც ჩანს, რომ ისინი აპირებენ სომხეთის სიღრმეში მათი ჯარის გადმოსროლას.

ჩვენი ორგანიზაცია მომზადებულია აჯანყებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ სა-
ქართველოსთან მიმართებაში ყველა ჩვენი აგრესიული მოქმედება შეთანხმებული უნ-
და იყოს ჩვენს საერთო პოლიტიკასთან, ველოდებით ინსტრუქციას სომხეთის რეგო-
მისაგან.

17 დეკემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 1,2

თბილისი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საწმეთა მინისტრს

თქვენი 10 დეკემბრის № 10725 ტელეგრამის პასუხად, სომხეთის რეგომის სახე-
ლით გაცნობებთ:

პირველი – სომხეთის რეგომს არ შეუძლია ცნოს საქართველო-სომხეთის 1920
წლის 13 ნოემბრის შეთანხმება. პირადად ჩვენს მიერ, წამოყენებული იქნა წინადადე-
გები კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად ქართული ჯარის ნეიტრალური
ზონიდან გაყვანის შესახებ – დეკემბრის თვიდან;

ფორმალურად, თქვენი მთავრობა აპელირებს შეთანხმებაზე, რომელიც თქვენვე
დაარღვიეთ ქართული ჯარის მიერ ნეიტრალური ზონის საზღვრების გადალახვით,
რომლებიც იმყოფებიან სომხეთის ტერიტორიაზე;

მეორე: მოხდა ნეიტრალური ზონის შიგა წესრიგის ადმინისტრაციულ წყობაში ჩარევა – სომეხი მოსამსახურეების დათხოვნისა და ქართველებით მათი ჩანაცვლების გზით;

მესამე – დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა სომხური სოფლების წინაარმდეგ და სროლები, რასაც ჰქონდა ადგილი შინისში.

13 ნოემბრის შეთანხმება თავისი არსით მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას, რადგან იგი ატარებს სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს და განსაზღვრულ მომენტში ჩვენი ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე მისაღები იყო დაშნაკების ხელისუფლებისათვის, მაგრამ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს შეთანხმება კარგავს ძალას. ამიტომ სომხეთის რევკომმა მოახდინა მისი ანულირება და მოითხოვს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას.

სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. ბეკზადიანი,

18 დეკემბერი, 1920

ფონდი № 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 4

სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ა. ბეკზადიანს თბილისიდან

თქვენი 18 დეკემბრის ტელეგრამა № 85-ის პასუხად საჭიროდ ეთვლით გაცნობით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს სომხეთის რევკომის გადაწყვეტილებას ბორჩალოს უეზდის ნეიტრალურ ზონებთან დაკავშირებით გაფორმებული 13 ნოემბრის ხელშეკრულების სრულად ანულირების თაობაზე. ანულირება არ უნდა მოხდეს ცალმხრივი აქტით. მისი გაფორმება მოხდა სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან. თუ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო უნდა დაისვას ამ შეთანხმების ანულირების საკითხი, მაშინ ამავე საფუძველით ყველა დანარჩენი ხელშეკრულებაც უნდა გაუქმდეს, რომელსაც მოაწერა ხელი საქართველომ სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ის ხელშეკრულება არ იყო განპირობებული არანაირი ფაქტობრივი გარემოებებით და დადო გარკვეული ვადით. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ყველა სადაო საკითხის გადაჭრას მშვიდობიანი გზით. ჩვენ არ დაგვირღვევია 13 ნოემბრის ხელშეკრულება. გთავაზობთ, დაუყოვნებლივ შევეუდგეთ ამ საკითხების ერთობლივ განხილვას სპეციალური უფლებამოსილი წარმომადგენლების დელეგირების გზით. მეორეც, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ სატელეფო ხაზები საქართველოს ტერიტორიაზე სრულად გამართულია და ჩვენი მხრიდან არავითარი წინაღობა არაა ერევანთან კავშირისათვის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

ფონდი № 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 5

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

სომხეთის რევკომის სახელით გაცნობებთ შემდეგს: სომხეთის რევკომს არ შეუძლია ცნოს თქვენი მთავრობის აპელირება 1920 წ. 13 ნოემბრის შეთანხმებაზე. ფორმალური მხარე სრულად გამორიცხავს თქვენი მთავრობის ყოველგვარ უფლებას აპელირებდეთ შეთანხმებაზე – ქართული ჯარის მიერ საზღვრის გადაკვეთისა და ნეიტრალური ზონის რიგი პუნქტების დაკავების შესახებ, რადგან ეს არის სომხეთის

უდავო ტერიტორიის ნაწილი. მიუღებელია ნეიტრალური ზონის ადმინისტრაციულ წიგნში ჩარევა, ნეიტრალური ზონიდან სომეხი მოსამსახურეების დათხოვნა და ქართველებით ჩანაცვლება. მესამეც, მიუღებელია სადამსჯელო ექსპედიციის მიერ სომხური სოფლების შევიწროება, რომელსაც ჰქონდა ადგილი შინიხაში.

ამიტომ, ის შეთანხმება სომხეთის რევკომის მიერ სრულად ანულირებულია და მოვითხოვთ ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას.

სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი. 18 დეკემბერი, 1920.

ფონდი № 114, საქმე 42, ფურცელი 3

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

სომხეთის მთავრობა იძულებულია კვლავ მიგითითოთ იმ მდგომარეობაზე, რომელიც სრულად გამორიცხავს თქვენს მიერ 13 ნოემბრის შეთანხმების ზუსტად შესრულებას. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება იქნას მიღებული სომხეთის მთავრობის მიერ, რადგან საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტურად დადგენილი ფაქტებით დასტურდება, რომ ხელშეკრულების პირველი დღიდანვე თქვენ დაარღვიეთ შეთანხმება. თქვენი ჯარები შევიდა ნეიტრალურ ზონაში, დაიკავა კალაგერანი, შაგალი, ჯეღალოლი, ნიკოლაევკა და სხვა პუნქტები, რომლებიც უდავოდ არის სომხეთის ტერიტორია.

მიუღებელია ჩვენთვის ქართველი კომენდანტის დანიშვნა, სომეხი მოსამსახურეების დათხოვნა, 19 ნოემბერს აპარატის კაბინის დაკავება კალაგერანის სადგურში, ტელეგრაფისტების უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ დაპატიმრება, სადამსჯელო ექსპედიციები სომეხი გლეხების წინააღმდეგ სოფელ შინიხაში.

სომხეთის მთავრობა ვერ დაეთანხმება 13 ნოემბრის შეთანხმებას, რადგან იგი არ ეფუძნება არავითარ ფაქტობრივ გარემოებებს. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალურ ზონაში კარგავს ყოველგვარ გამართლებას.

ჩვენი მთავრობა მზადაა დასვას ეს საკითხი განსახილველად. ჩვენი მთავრობა თვლის, რომ ამ პუნქტებიდან თქვენი ჯარები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი, რადგან ეს სომხური ტერიტორიებია.

სომხეთის სსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. ბეკზადიანი

27 დეკემბერი, 1920

ფონდი № 114, საქმე 26, ფურც. 7

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, კოპია გუსეინოვს (ბაქო)

ვდასტურებ 21 დეკემბერს თქვენი ტელეგრამის მიღებას. სომხეთის მთავრობა იძულებულია ყურადღება გაამახვილოს იმ მდგომარეობაზე, რომ ის საერთოდ გამორიცხავს 13 ნოემბრის შეთანხმებაზე აპელირების ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს ხელშეკრულება სრულად ანულირებულია. თქვენი მთავრობის ფორმალური მტკიცებულებას, რომ იცავთ 13 ნოემბრის შეთანხმებას, სომხეთი ვერ მიიღებს. საყოველთაოდ ცნობილია და დადგენილია ფაქტებით, რომ თქვენი ჯარები შეთანხმებას პირველი დღიდანვე არღვევენ. მათ დაარღვიეს ნეიტრალური ზონის საზღვრები და დაიკავეს კალაგერანი, ნიკოლაევკა და სხვა პუნქტები, რომლებიც არის სომხეთის უდავო ტე-

რიტორია. თქვენ დანიშნეთ კომენდანტი, გაუშვით სომეხი მოსამსახურეები და ისინი ჩაანაცვლეთ ქართველებით, 19 ნოემბერს დაიკავეთ სამუშაო ოთახები სადგურ კალაგარენში, უმიზეზოდ დააპატიმრეთ სადგურის ტელეგრაფისტები – გარეგინ ტერ არუთინოვი, ამბარცუმ პეტროსიანი, არტაშეს შავერდოვი... ბოლოს შევიდა დამსჯელი ექსპედიცია სომეხი გლეხების წინააღმდეგ შენისის სოფლებში.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით 13 ნოემბრის შეთანხმებას, რადგან იგი არ ეფუძნება არავითარ ფაქტობრივ გარემოებებს.

მოვითხოვთ, უკანონოდ დაკავებული ყველა პუნქტიდან თქვენი ჯარების გაყვანას, რადგან ეს არის სომხეთის ტერიტორიის ნაწილი.

სომხეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი

ფონდი № 114, საქმე 42, ფურც.4

1921 წელი

ერევანი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, ბეკზადიანს

1920 წ. 29 დეკემბრის თქვენი ნოტის პასუხად გაცნობებთ: თანახმა ვართ თქვენს წინადადებაზე დავიწყოთ მოლაპარაკება ბორჩალოს უეზდის სამხრეთ ნაწილსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პრინციპში არ ვეწინააღმდეგებით რსფსრ-ს მონაწილეობასაც.

სარწმუნო ცნობების საფუძველზე ვაცხადებთ, რომ ჩვენს მიერ ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილის დაკავება წარმართა უმტკივნეულოდ, ექცელების გარეშე. პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი იყო, რადგან ქართული ჯარის შესვლამ შეაჩერა ლტოლვილების ტალღა და დაცარიელებული სოფლები კვლავ შეივსო მოსახლეობით. იქ დასაქმებულმა სომეხმა მოსამსახურეებმა – სომხეთში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ყოველგვარი იძულების გარეშე დატოვეს ეს ადგილები და წავიდნენ სომხეთში.

ჩვენ არ გაგვიგზავნია არც ერთი დამსჯელი ექსპედიცია. პირიქით, ვიცავდით მოსახლეობას და 11 დეკემბერს მძარცველებს უკან დავაბრუნებინეთ გატაცებული საქონელი. განმეორებითი ძარცვა განხორციელდა 11 და 15 დეკემბერს სოფელ არჩიკში. მოსახლეობის თხოვნით იქ შევიდა ჩვენი ქვედანაყოფი და დაიცვა ისინი.

რაც შეეხება აპარატების ოთახების დაკავებას სადგურ კალაგერანში და ტელეგრაფისტების დაპატიმრებას, ეს იყო გარდაუვალი და აუცილებელი ღონისძიება განპირობებული სამხედრო მოსაზრებებით, რადგან გვქონდა ინფორმაცია, რომ ეს ტელეგრაფისტები გარეულნი იყვნენ უცხო ქვეყნის აგენტურაში და აწვდიდნენ ცნობებს ჩვენი ჯარების განლაგების შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

5 იანვარი, 1921 წელი

ფონდი № 114, ან. 2 ს., ს.11, ფურც. 16

ერევანი

საბჭოთა მისიით კარალიკისიდან

ცვლილება ქართულ ჯარში არაა. ვორონცოვკიდან ეკატერინფელდამდე და ეკე-

ტერინფელდში ქართული ჯარი არაა. ჯერ ვერ გავარკვეით რომელი გზიდან იღებენ სურსათს და იარაღს. ჯარის ნაწილი იმყოფება ღორეს სტეპებში. ვვარაუდობ, რომ ეს ჯგუფი ბაზირდება შულავერში – შულავერი-ოპრეტი-ჯელალოდლის ხაზზე, რაც მტკიცდება ოპრეტში 30 ჯარისკაცისა და ერთი ოფიცრის ჩამოსვლით. შულავერში ქართული ჯარი არაა, სადახლოში კი ბევრი კავალერისტია. ზუსტად

გავარკვეით, რომ ეკატერინფელდსა და შულავერში მდგარი სახალხო გვარდია გადაისროლეს წითელი ხიდის მიმართულებით. დაპატიმრებულებს ხვრეტენ გაქცევის მცდელობის საბაბით.

სამხედრო ხელმძღვანელი ოსიპიანცი.

8.01.1921

ფონდი № 114, საქმე 11, ფურც. 7

ხატისიანის ჩანაწერი

ჩვენთვის სასარგებლო საქართველოსთან დავსვით არა მარტო ნეიტრალურ ზონის, არამედ სასაზღვრო დავის ყველა სხვა საკითხი

ჩვენთვის კარდინალური საკითხია ზღვაზე გასასვლელი. ასეთად ითვლებოდა ადრე ალექსანდრეტა, შემდეგ ტრაპიზონი, რიზე და ბოლოს ბათუმი. ბათუმის გარდა სხვა ვარიანტები უნდა უარყოფოთ, რადგან ისინი განუხორციელებელია. ალექსანდრეტიზე არ ღირს საუბარი. რაც შეეხება შავი ზღვის პორტებს, ტრაპიზონი და რიზე უარყოფილ უნდა იქნას, როგორც განუხორციელებელი. ცხადია, რომ სომხეთს არ აქვს შესაძლებლობა გამოინახოს კოლოსალური კაპიტალი ამ გზის მშენებლობისათვის.

კერძო კაპიტალი ააშენებს მხოლოდ შედარებით იაფ და შემოსავლიან გზებს. ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს აღმოსავლეთით მდებარე შავი ზღვის პორტი – ბათუმი. ეს პირველი. მეორეც – რკინიგზის გაყვანა ტრაპიზონიდან ან რიზედან ერზურუმში დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან და მოითხოვს კოლოსალურ ხარჯებს. ტრაპიზონიდან ერზურუმამდე – ოთხ მთაზე უნდა გაიჭრას 25 ვერსზე მეტი სიგრძის გვირაბები, ხეობების გადასალახად გაკეთდეს აკვადუკები. რიზედან მშენებლობის შემთხვევაში სირთულეებს ქმნის პონტოს ქედის კლდოვანი ქანები და საჭირო იქნება გვირაბების გაჭრა 6000 ფუტზე მეტ სიმაღლეზე, რაც ძალზე ძნელია.

თუ კი არსებულს ბათუმს მივუმატებთ, რიზესთან და ტრაპიზონთან შედარებით – ცხადია აქვს უპირატესობა. ეს არის ერთადერთი შესაძლო გასასვლელი ზღვაზე. ერთადერთი სარკინიგზო ხაზი სომხეთიდან გავა ჭოროხის ხეობის გავლით. ეს გზა მოკლეა ყველა სხვა ვარიანტთან შედარებით. გვირაბებისა და აკვადუკების გარეშე სომხეთი დაუკავშირდება ზღვას არა ერზურუმის დაცარიელებული რაიონების, არამედ სომხებით დასახლებული ყარს-ალექსანდროპოლის გავლით. ეს გზა 200 ვერსით მოკლეა ტრაპიზონის და 100 ვერსით მოკლე ბათუმი-თბილისი-ჯუღფის მიმართულებაზე. ამდენად ბათუმი-ყარსი-ჯუღფას ხაზი იქნება მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალი შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებიდან, ასევე რუსეთიდან – შუა აზიის, სპარსეთის ყურისა და ინდოეთისაკენ. ასეთ შემთხვევაში არავინ დაიწყებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობას.

საქართველოსთან მოლაპარაკებისას საჭიროა უზრუნველყოფით ბათუმის პორტის ტექნიკურ საკითხებში მონაწილეობა და მივაღწიოთ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ე.ი. ართვინის რაიონის დათმობას, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 400

კვერსს, ე.ი. უმნიშვნელო ნაწილს, მაგრამ იქ არის მეტად ფასეული სპილენძის საბადოები და ძანსულის სპილენძის ქარხანა.

დასაპროექტებელი გზა მიდის ჭოროხის ნაპირიდან ზევით ოლთი ჩაიამდე, შემდეგ პენიაკამდე. პენიაკთან მიმობნეული ცნობილი ქვანახშირის საბადოებიდან მდ. აგუნდიკის გავლით მერდენეკისაკენ და იქედან ყარსისაკენ. ამ ვარიანტის უდიდესი უპირატესობა ისაა, რომ ის გაივლის ქვანახშირით მდიდარი საბადოების ტერიტორიას, რაც შეამცირებს ბაქოსთან დამოკიდებულებას. გარდა ქვანახშირისა, იქ სპილენძის მდიდარი საბადოებიცაა.

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოგვიწევს თურქეთის ტერიტორიაზე 70 კერსის გავლა, რომელიც მოიცავს 300-400 კვ. კერსის ფართობის ტერიტორიას. ცხადია, გასათვალისწინებელია თურქების მიერ ყარსის დაკავების ფაქტი, მაგრამ სომხეთის არსებობა შეუძლებელია ყარსის დაბრუნებისა და ყარსიდან შავ ზღვამდე გზის გარეშე.

საქართველოსთან დაგა არის საზღვრის ოთხ მონაკვეთზე. 1. ლორე 2. ახალქალაქი 3. ყარსის ოლქი 4. ართვინის რაიონი. ახლა დგას ლორეს საკითხი, მაგრამ ეს ტერიტორია ჩვენია. ეთნოგრაფიული რეალიები, რეალური მოსახლეობა, მოსახლეობის ნება ჩვენს სასარგებლოდაა.

